


K 175064
3

ՀԱՅԿԵՐԱՆ
ՆՈՒՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ



ՌԻՅԱԾ ԲՅԱԿՈՒՅՐԻՈՒ
ԲԱԿՈՒՆԻՐԻ ՃԱՅԳՈՒՄԻՆ ԳՐԵՄԿՈՆ ԱՊՐԵՍՍԵ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



არაორგანული ქიმიისა და ელემენტოქიმიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ НЕОРГАНИЧЕСКОЙ ХИМИИ И ЭЛЕКТРОХИМИИ

სპეკ-2000
შემოწმებულია



А. Ш. Авалиани, Р. В. Чагунава



*Иванэ Джавахишвили —
ревнитель технической культуры
в Грузии*



ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1978

136/30

2017

-85

ა. ავალიანი, რ. ჩაგუნავა



ივანე ჯავახიშვილი —
ქართული ტექნიკური კულტურის
მოამბე

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1978



წიგნში გაშუქებულია დიდი ქართველი მეცნიერისა და მამული-
შვილის ივანე ჭავჭავიძელის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი
ნაკლებად შესწავლილი მხარე — მისი ზრუნვა საქართველოში ტექ-
ნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგების ჩამოყალი-
ბებისა და განვითარებისათვის. სათანადო მასალებზე დაყრდნობით
ნაჩვენებია — რა დიდი ამაგი მიუძღვის მას საბუნებისმეტყველო-
მათემატიკური, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური და სხვა
დარგების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მაღალ დონეზე
დაყენების, სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის, ცალ-
კეული კათედრებისა და ლაბორატორია-კაბინეტების მოწყობის, სა-
მეცნიერო ბიბლიოთეკის დაფუძნებისა და საგამომცემლო საქმის
ორგანიზაციის საქმეში.

ივანე ჭავჭავიძელი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელ-
მაც ისტორიოგრაფიის პრობლემათა შესწავლისათვის ფართოდ გამო-
იყენა ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კვლევის მე-
თოდები.

წიგნში ხაზგასმულია აგრეთვე ივანე ჭავჭავიძელის დეაწლი სა-
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში წერილი ხელოსნობისა და შინა-
მრეწველობის ამსახველი მასალების შეგროვება-შესწავლის მნიშვნე-
ლოვან საქმეში.

რედაქტორი პ. ცისკარიშვილი

17506

30101
M 607(06)—78 46—78

© „მეცნიერება“, 1978

ქ. შარაძის ს. ს. სბმ.
სსრ სხელოწიფი
ჩისაშხალიძის
ხისლიოთის

„საძირკვლის ამოყვანაა ძნელი, თორემ
სხვას [სხვებიც] გააკეთებენ. საძირკვლის ამო-
მყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას,
მაშინ გამოჩნდება გენიოსი“.

ი ლ ი ა

„მამულიშვილობა და მეცნიერება“

„ეს იგი იხიენებს და ჭეყანას ძი შუბლია
შეჩივირდ ი ყუ ვაჟიანი შხდა, იყ ხმ
მშ დათუიისად ვანიისაიჩრუ ი და მუდამ
წამაფრება ში მყდცი მუნიიჩრუა ძი ავადია“

ივანე ჯავახიშვილის სახელი მრავალმხრივ არის გამარადისე-
ბული როგორც მაგალითი ბრძნული შორსმჭვრეტელობისა, საქვეყ-
ნო საქმისათვის მუხლმოუდრეკელი შრომისა და ხალხის მომავ-
ლისათვის უანგარო თავდადებასა, მაგალითი ამაღლებული მამუ-
ლიშვილობისა და კაცური კაცობისა.

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული აზ-
როვნების ქვაკუთხედის ამოსაყვანად არა ერთი და ორი თაობის
პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა მონდომება დამშურალა. მათ
შორის მხოლოდ ივანე ჯავახიშვილს ხედა წილად ბედნიერება —
მისთვის მომადლებული მრავალმხრივი ნიჭიერების და რთული ის-
ტორიული მოვლენების ალღოს აღების უნარის წყალობით ყოფი-
ლიყო ერის საუკუნოვანი ოცნების როგორც სულისჩამდგმელი, ისე
აღმსრულებელიც.

ამ მხრივ დიდი ივანე ქართული კულტურის ისტორიაში განსა-
კუთრებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც და იშვიათია
ნეცნიერი, ერთი მხრივ, ასეთი გულისგულ მკვლევარი ერის წარ-
სულისა, მისი „ისტორიის სჯულმდებელი“, და, მეორე მხრივ, ქვეყ-
ნის მომავლის დიდი მოამაგე, მშენებელი. ეს მაშინ, როდესაც ამ
კაცის ძალდება და დროის უკმარისობა თითქმის გამორიცხავდა, რომ
მის მხრებს ესოდენ მძიმე საქვეყნო ტვირთი ეტვირთა.

დიდი მეცნიერის ნამოღვაწარი ადრე თუ გვიან ღრმა კვლას ავლებს მომიჯნავე დარგების ყამირზედაც. ზოგჯერ ეს კავალთა თავისთავადია, თვით ამ მეცნიერის ჩარევის გარეშე ხდება. ზოგჯერ კი მისი ფართო პორიზონტის, ღონე-შეძლებებისა და მონდობების ნაყოფად გვევლინება.

იშვიათად, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ თავისი მოწოდებით ერთგვარად თითქოს კარჩაკეტილ მეცნიერ-მკვლევარს გული არ უთმენს და ბრძოლის ქარცეცხლსა და ოდიგარში ებმება. და არც უშედეგოდ.

სწორედ ასეთი იშვიათი გამონაკლისის ბედნიერ მაგალითს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. ნამდვილად რომ გაცუების ღირსია ის მრავალმხრივი მეცნიერული და ამასთან ერთად საზოგადოებრივ-პრაქტიკული გარჯილობა, რასაც იგი დაუღალავად და უანგაროდ ეწეოდა უაღრესად არახელსაყრელ პირობებში.

ასეც ხდება, რომ მეცნიერის მოღვაწეობის მრავალმხრივობისაგან განცვიფრებულ მომდევნო თაობას ზოგიერთი მხარე მისი ნამოქმედარისა მთელი სისრულით ვერ შეუგრძენია და დაუთმებია. შეიძლება აქ ერთგვარ ფსიქოლოგიურ წინასწარგანწყობასაც აქვს გავლენა — ვერ დაგიჭერებია, რომ ერთი სიცოცხლე ამდენს დამტვევი შეიძლება იყოს!

ისიც ჭეშმარიტებაა, რომ „მქნელი საქმისა ძნელისა“ თავისთავად სახელმწიფოებრივი და აღმატებულია, ამიტომ წელთა სიმრავლის ბურუსით დაფარული ზოგიერთი ნამოღვაწარის გახსენებამ თითქოს რაღა უნდა შემატოს ისეთი პიროვნების სიდიადეს, როგორც ივანე ჯავახიშვილი იყო. მაგრამ მეცნიერული პირუთენელობა და ბევრისათვის უცნობი ფაქტობრივი მასალის სიმრავლე გვავალებს ჯეროვანი მივუზღოთ ამ ღირსეული მამულისშვილის გარჯის ნაკლებად ცნობილ მხარესაც. მომდევნო თაობებისათვის განსაკუთრებით სამაგალითოა იმის წარმოჩინება, თუ რა დიდ ენერჯიას ზადებს დიდი მიზანი და რა დაბრკოლებათა გადალახვას შეიძლება ადამიანს სამშობლოსათვის საკეთილო ავალას არჩევა ცხოვრებაში.

იმ მასალების გაცნობა, რაც უამთა მსვლელობას გადაუჩრჩია, თავისთავად საინტერესო და მრავლისმეტყველია იმ მხრივაც, რომ ცხადად აღადგენს წინააღმდეგობებით აღსავსე წარსულ დროთა ვითარებას. ამ საბუთებს წითელ ხაზად გასდევს ივანე ჯავახიშვილის



თანამინდევრული, ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლა სრულდებოდა უნივერსიტეტის — ჩვენი ეროვნული განათლებისა და განახლების საფუძველთა საფუძვლის დაარსებისათვის მზადების, დროულად გახსნისა და მისი შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ, მიუხედავად ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელი ღვაწლისა უნივერსიტეტის წიაღში მეცნიერების სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების საქმეში, ზოგჯერ შეიძლება ეჭვის ფრთამ მაინც გაჰკრას ფიქრთა დენას — ხომ არ იყო ამ დროს მსხვერპლად მოტანილი (უნებურად მაინც!) ჩვენი კუთხის ეკონომიური აღორძინებისათვის ესოდენ საჭირო სასოფლო-სამეურნეო და უმალესი ტექნიკური სასწავლებლების არსებობა? მით უმეტეს, რომ ცნობილია — ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას ერთგვარად დაემთხვა ამიერკავკასიის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაკნინება და დახურვაც კი.

მაგრამ უტყუარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, რაზედაც შემდეგ თავებში უფრო დაწვრილებით გვექნება მსჯელობა, ერთმნიშვნელოვნად მტკიცდება დიდი ივანეს მიერ მომავლის განუქრეტის უნარი, მამულისათვის ზრუნვა და მეცნიერული მიუტკრძობელობა, მისი მაღალი პრინციპულობა. უნივერსიტეტის დაარსებამდე და მით უმეტეს დაარსების შემდეგ, ამ სპეტაკი აღამიანის ყოველდღიური შეუწელებელი ზრუნვის საგანს სწორედ ბუნებისმეტყველების, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკის სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა ჩამოყალიბება, გაფართოება და განვითარება შეადგენდა.

მთელი მისი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა მშობელი ხალხის კეთილდღეობას; ყოველივე, რასაც ის აკეთებდა, ამ საერთო საქმის ნაწილს წარმოადგენდა. მას მთელი არსებით სწამდა, რომ ქვეყნის აღორძინება როგორც მეცნიერული აზროვნების, ისე ტექნიკის სრულყოფისა და ეკონომიური აზრის აღმავლობის გარეშე შეუძლებელია.

უნივერსიტეტისათვის ბრძოლის ყოველ ეტაპს — წინაპირობების მომზადება იქნებოდა ეს, საჭირო მომენტის შერჩევა, თუ უნივერსიტეტის ჩამოყალიბებასა და სრულყოფასთან დაკავშირებული უამრავი პრაქტიკული და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემის გადაწყვეტა — მრავალი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკლებლივ ყოველ ეტაპზე თანამესაჯრეებს საიმედო დედაბოძად და მოთავედ



მუდამ ივანე ჯავახიშვილი ეგულებოდათ, მისი ურყევი რწმენა და თავდადება უმაგრებდათ ზურგს. მისთვის არ არსებობდა დიდი და მცირე საქმე — ყველაფერს, რაც უნივერსიტეტის კეთილდღეობას ეხებოდა, იგი ერთნაირი გულმოდგინებით ასრულებდა, ყოველგვარ დავალებათა გარეშე. არ შეიძლება არ გაგვიკვირდეს — როგორ ხერხდებოდა, თუნდაც ფიზიკურად, რომ დიდი ტაძრის მშენებლობაში იგი ერთდროულად ყოფილიყო ზურთმოდგარიც, საშუაოს მწარმოებელიც და ხშირად, თუ საქმე ამას მოითხოვდა, კალატოზიც!

სამშობლოსადმი თავდადება და სიყვარული ვერავითარ ჩარჩოში ვერ მოთავსდება — ასე ესმოდა მას და სწორედ ამაში იყო ამ დიდებული ადამიანის განუმეორებლობა. ქეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ მან რამდენიმე სიცოცხლე განვლო!

უნივერსიტეტის დაარსების იდეა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში გაიხადა ცხოვრების მიზნად. უწინარესად მან დაიწყო სხვადასხვა დარგის ქართული ტერმინოლოგიის შექმნაზე ზრუნვა და ამ საქმეს, ისევე როგორც მის მიერ წამოწყებულ სხვა ყოველგვარ თაოსნობას, იგი გააზრებულად და მთელი მონდომებით (დაჟინებითაც კი!) სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა. ახლაც აღფრთოვანებას იწვევს მის მიერ მეცნიერულად დამკვიდრებული ურყევი პრინციპების გაცნობა, რაც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებას დაედო საფუძვლად.

განსაკუთრებით დიდი გარჯილობა გამოიჩინა ივანე ჯავახიშვილმა 1917—1918 წლებში. გასაოცარი იყო არა მარტო ამ საქმიანობის მოცულობა, არამედ მრავალფეროვნებაც: მან უშუალოდ მოამზადა და ჩაატარა ორი დამფუძნებელი კრება, დამაჯერებლად ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობა და შესაძლებლობა, დააარსა და „ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა“ უნივერსიტეტის საზოგადოებას, დასახა უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული ბევრი საკითხის მოგვარების რეალური გზები და საშუალებები, ჩამოაყალიბა მუშაობის მიმართულება, დარაზმა საზოგადოების წარმომადგენლები ამ საქმის განსახორციელებლად, შეადგინა წესდება, სასწავლო კურსი, უზრუნველყო პროფესორ-მასწავლებელთა საჭირო შემადგენლობის მოწვევა და სხვა და სხვა. იგი დაჟინებით ეძებდა და პოულობდა კიდევ რეალურ შესაძლებლობებს უნივერსიტეტის ნივთიერი სახსრების განსამტკიცებლად. თითქოს უბრალო ფაქტია, მაგრამ ფრთხილ თვალსაჩინო, რომ იმ



წლებში ივანე ჯავახიშვილს არ გამოუტოვებია არც ერთი იმ მრავალსაძიებო ვალ სბდომათაგანი, რომელზედაც უნივერსიტეტის საქმეები ირჩებოდა — საორგანიზაციო კომისია უნდა შეკრებილიყო, საზოგადოების გამგეობა, საფინანსო ან ლატარიის მომწყობი კომისია, პროფესორთა კოლეგია, თუ საკონტროლო საბჭო. საკვირველია ისიც, რომ, მიუხედავად ასეთი დაკავებულობისა, იგი პოულობდა დროს პირადად შეეკვეთა უნივერსიტეტის ლაბორატორიებისათვის სკამები და საჭირო ინვენტარიც კი, უზრუნველყო აუდიტორიების დროულად მოწყობა და სხვ.

ძალიან ხშირად, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების ყოველივე სახსარი გადაწყვეტილი იყო, პროფესორთა საბჭოს მხერა მისი მაღალი ავტორიტეტისათვის მიუბჰყრია: „პროფ. ივანე ჯავახიშვილს ეთხოვოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე საქმის უნივერსიტეტის სასარგებლოდ შემობრუნებისათვის“. და რამდენჯერ ალბათ ნათელი მოჰქვნია მის კეთილ გულს სწორედ ასეთი, თითქოს და სავსებით უიმედო საქმის, „უნივერსიტეტის სასარგებლოდ შემობრუნებისათვის“. ისიც საჭიროა ითქვას, რომ ეს ფრაზა თითქოს უტყნაურად ჟღერს ისეთი პიროვნების მიმართ, როგორც ივანე ჯავახიშვილი იყო: მთელი თავისი არსებით იგი ხომ იმგვარი მეცნიერი-ინტელექტუალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომლისგანაც ძნელად თუ შეიძლება რაიმე პრაქტიკული საკითხის მოგვარებას მოელოდე! და, მართლაც, მთელი სამი წლის მანძილზე მან ვერ შეძლო საკუთარი ბინის რემონტი დაევალებინა სახლმმართველობისათვის, რის შედეგადაც იგი მხოლოდ სასწაულებრივ გადაურჩა უეცრად ჩამოქცეულ ჭერს! მაგრამ აქ საქმე პირადად ეხებოდა! საქვეყნო საქმისათვის კი მას, რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, უაღრესად ენერგიული და, ასე გასაჩვენებელი, პრაქტიკული კაცის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული! სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოველგვარი საჭოქმანო პრობლემის მოგვარება მის ნხრებზე გადადიოდა. და ისიც არაა მცირე თუ უყოყმანოდ იღებდა ამგვარ დაეალებებს, არამედ თვითონაც, ყოველგვარი თხოვნის გარეშე, გამონახავდა და ივალებდა ასეთი თავსატეხის საკითხების გადაწყვეტას.

არც ერთი ფაკულტეტის შექმნა უნივერსიტეტში არ მომხდარა ივანე ჯავახიშვილის მიერ მეცნიერული, ტექნიკური და, ასე გასაჩვენებელი, უაღრესი გულისყურით დამუშავებული ფინანსური დასაბუთების გარეშე — დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვის, სახსრების გამო-



ძებნის საშუალებათა და სამუშაო ბაზებით უზრუნველყოფის უზრუნველური გზების ჩვენების გარეშე. ახლა წარმოდგენაც კი მწელობაა რა დაბრკოლებათა გადალახვა იყო საჭირო ყოველივე ამისთვის. მდუხჭირ დროში თვითეთლი წვრილმანი თუ მსხვილმანი საკითხის მოსაგვარებლად.

სწორედ ასეთი მრავალმხრივი უნარი და გასაოცარი მასშტაბის საქმიანობა გახდა თავმდეები იმ გარემოებისა, რომ უნივერსიტეტის გახსნა ნაფარაუდევ დროზე ადრე მოხერხდა. თითქოს რაღაც „მეორე სუნთქვამ“ შეაძლებინა შეუძლებელი ივანე ჯავახიშვილს და რწმენა ოდნავაც არ შეურყია მაშინაც კი, როდესაც მისმა ახლო თანამოსაქმეებმა ყოყმანი დაიწყეს. 1917 წლის 6 დეკემბრის ცნობილ კრებაზე მან ფაქტიურად ერთმა ირწმუნა უნივერსიტეტის იანვარში გახსნის შესაძლებლობა და აკი გაუმართლდა კიდევ! „ზოგი საგანია... — უთქვამს ილიას — თუ არ იწამე, ვერ დაინახავ“.

ივანე ჯავახიშვილმა, ამ თითქოს და ჩუმმა მოღვაწემ, მაგრამ მგზნებარე მამულიშვილმა, არა მარტო იწამა ამ საბირკველზე „ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარისა და ნაჭირნახულების“ აღორძინება, არამედ გზებიც გამოძებნა და საშუალებებითაც უზრუნველყო მისი დღეგრძელობა. იგი XX საუკუნის საქართველოს მოველინა, როგორც ჩვენი კულტურის სწორუბოვარი ბელადისა და ხელმძღვანელის — დიდი ილიას სიბრძნის ვამგრძელებელი და მის საქმეთა ღირსეული დამაგვირვინებელი. სწორედ მასზეა ახდენილი ილიასავე სიტყვები: „ჩუმი... მოღვაწეობა თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით და პატიოსნებით ნათელცხებული. უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნებოვნებისა“.

„ოჲ ჩვენ ვინდა, ხმ ამ ჩვენს აღიხიროს შევე
სადებოდ ვქნდეს, ყურეთი მკადა ვიდეს და
ყვად ვაიფიქნეს, ყნდა დაყდნა, აჲ ჩვენს იან-
მესუე ვიბიქნას ჩუკუდხედა და საქმის მსუფისი
სამსქელ ვადა შეიძუმაა, ხმ რს ვანხი-
სუ ვადა აიფიი ყნდა დაწედა და აივიბი
დახილ უნის წინამ აყნდა შექედა“.

დიდი გზაც ხომ ერთი ნაბიჯით იწყება, ეს ნაბიჯი ივ. ჯავახიშ-
ვილმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გადადგა ქართული
უნივერსიტეტისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე. ვინაიდან ყველაფერი
ბურუსით იყო მოცული, ამიტომ უწინარესად იგი გულდასმით შე-
უდგა არსებული მდგომარეობის გარკვევას. მისთვის ცხადი გახდა,
რომ ასეთი დიდი საშვილიშვილო საქმის განხორციელება შეუძ-
ლებელი იქნებოდა მრავალმხრივ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატა-
რების გარეშე.

მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების შემდეგ ივ. ჯავახი-
შვილი მტკიცედ განიმსჭვალა მომავლის იმედით, დასახა გზები, გა-
იაზრა საშუალებები და შეუდგა მათი პრაქტიკული განხორციელე-
ბის საქმეს. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება ამ მხრივ იყო პეტერ-
ბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ჩამოყალიბება
(1907 წ.), რომელსაც მომავალი უნივერსიტეტის საორგანიზაციო
ბირთვის როლი განეკუთვნებოდა. ამ წრემ უკვე 1911—1912 წწ. სა-
განგებო ანკეტით მიმართა რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღ-
ლესი სასწავლებლებს ქართველ მეცნიერ-პროფესორებსა და სტუ-
დენტობას, რათა დაედგინა — როგორი სამეცნიერო ძალების იმე-
დი შეიძლებოდა პქონოდა მომავალ უნივერსიტეტს. „რა სასწავ-
ლებელი დაამთავრეთ“, „რა საგანი გაინტერესებთ სპეციალურად“,
„იღებთ თუ არა მონაწილეობას ქართულ ან სხვა სათვისტომოში,
აგრეთვე სამეცნიერო წრეებში“, „რა უცხო ენები იცით კარ-
გაუ“ — აი ამ ანკეტის ტიპური კითხვები (პეტერბურგის სტუდენ-

ტობისათვის რუსული ანკეტა 57 მუხლს შეიცავდა, ხოლო ქართული — რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქის (სტუდენტობისათვის — 15 მუხლს).

ჩვენი დიდი მეცნიერი აკ. შანიძე, რომელიც მაშინ ამ წრის გამგეობას თავმჯდომარეობდა, მოგონებაში — „ქართველი სტუდენტი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე“, აღნიშნავს: „ანკეტამ ცხადპყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია; არ იყო თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომ მას არ დასწავებოდეს ქართველი სტუდენტი. ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო“¹.

მართლაც, ანკეტის პასუხებმა ივ. ჯავახიშვილს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა ქართველ მეცნიერთა (მათ შორის ტექნიკის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა) რაოდენობასა და შესაძლებლობებზე. რეალური მდგომარეობის ცოდნა კი დასახულ სამოქმედო გეგმას კონკრეტულ გეზს აძლევდა.

ივ. ჯავახიშვილი მართო ქართული სამეცნიერო ძალების ფიქსირებით რაღი დაკმაყოფილდა: იგი დაულალავად იღვწოდა მათი გამრავლებისა და დაოსტატებისათვის. პეტერბურგის უნივერსიტეტში ბევრი რამ იყო უკვე ცნობილი მისი მუშაობის შესახებ; ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ ფაქტზე, რაც კიდევ უფრო ფართოდ წარმოაჩინს ივ. ჯავახიშვილის ზრუნვას თანამემამულეთა მიერ სხვადასხვა (მათ შორის ტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო) განხრით უმაღლესი სწავლა-განათლების მიღებაზე. ამ მხრივ საინტერესოდ მიგვაჩნია, კერძოდ, ცნობილი ქართველი ქიმიკოსის პროფ. ვ. პეტრიაშვილის 1905 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც მან ივ. ჯავახიშვილს გაუგზავნა ოდესიდან. ვ. პეტრიაშვილს, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს, ამ დროს ოდესის უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა. წერილში აღძრული საკითხებიც სწორედ უნივერსიტეტში სწავლასთანაა დაკავშირებული:

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე! თქვენი წერილის პასუხად შემოძლიან მოგახსენოთ, რომ მე უკვე ჩავერიცხე ივ. ლორთქიფანიძე დროებით სტუდენტათ...“

¹ გაზ. „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“, 26 თებერვალი, 1928 წ.



საბუნებით-მეტყველო და მათემატიკურს ფაკულტეტებზე და აგრეთვე იურიდიულს და ფილოსოფიურს ფაკულტეტებზე თავსუფალი ადგილები ჯერ კიდევ ბლომათ არის; მხოლოდ საექიმო ფაკულტეტზე კომპლექტი შევსებულია და ამიტომ ამ უკანასკნელზე ჩარიცხვა აღარ შეიძლება... დავეთები მარადის თქვენი ერთგული ვ. პეტრიაშვილი².

ეს ცნობა სხვადასხვა ფაკულტეტზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ უთუოდ ივ. ჯავახიშვილის შეკითხვის პასუხი უნდა იყოს. სამწუხაროდ, თვით ამ შეკითხვის ტექსტს ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ვ. პეტრიაშვილის პასუხი საშუალებას გვაძლევს რამდენიმე საყურადღებო დასკვნა გამოვიტანოთ. წერილიდან ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველების მიერ უმაღლესი განათლების მიღების საქმეს. ამ მხრივ კოდესის უნივერსიტეტი, საქართველოდან შედარებით ახლოს მდებარე და კლიმატურად შესაფერისი, კარგად პასუხობდა ივ. ჯავახიშვილის განმანათლებლურ მიზნებს. ამასთანავე, აქ მუშაობდნენ ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი, სახელმწიფოეპილი მეცნიერები; სამშობლოსადმი მათი უანგარო სიყვარული იმისი თავდები იყო, რომ ოდესაში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდა ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა და საჭირო ცოდნას შეიძენდა. ამიტომ აინტერესებდა ივ. ჯავახიშვილს — რა მდგომარეობა იყო ოდესის უნივერსიტეტში, რომლის რექტორთანაც, როგორც წერილიდან ირკვევა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონია; საფუძველს მოკლებული არ არის ის აზრი, რომ სწორედ მისი ჩაგონებით სწავლას მოწყურებულ არა ერთ ქართველ ახალგაზრდას უნდა აეღო გეზი ოდესისაკენ. ასეთი იყო წერილში მოხსენებული ივ. ლორთქიფანიძეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილი ერთნაირად დაინტერესებული ჩანს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტით. ესეც, რასაკვირველია, სამშობლოსათვის მრავალმხრივი მეცნიერული ძალების მომზადებაზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი, რაც ყოველთვის გამოკვეთილად გასდევს ივ. ჯავახიშვილის მთელ მოღვაწეობას როგორც ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებამდე, ისე მისი მუშაობის გამლისა და გაღრმავების ყველა საფეხურზე.

ქართული უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირება წარმო-

² კ. კვეციანის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 2143.

უდგენელი იყო დახვეწილი ქართული ტერმინოლოგიის გარეშე. ივ. ჯავახიშვილი ამ მხრივაც წინასწარ იკერდა თადარიგს. ბურჯინ სტუდენტთა და ბესტუფევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელთა გაერთიანებულმა წრემ მისი ხელმძღვანელობით 1910-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო სხვადასხვა დარგის ტერმინების ამოწერა ძველი ძეგლებიდან და სახელმძღვანელოებიდან. შემდგომ ეს სამუშაო გააგრძელა ივ. ჯავახიშვილისავე ინიციატივით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ. ამ წამოწყებამ შემდგომში მრავალმხრივ უზრუნველყო ტექნიკური განათლებისათვის მკვიდრი საფუძვლის შექმნა ჩვენში.

უნივერსიტეტის დაარსების იდეის განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული პროგრესული ძალების გამოცოცხლებას, ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, მიზნის ცხოველყოფილობაში დარწმუნებას და დარაზმვას. ივ. ჯავახიშვილი ყველა ამ მიმართულებით ახერხებს ქმედითი მუშაობის გაშლას. საქართველოში მის მიერ ჯერ კიდევ 1907—1910 წწ. წაითხულმა ლექციების ციკლმა ქართული კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხებზე მრავალმხრივ გამოაცოცხლა ჩვენი ხალხის თვითშეგნება. საქართველოს ბრწყინვალე წარსულზე ყურადღების გამახვილება ივ. ჯავახიშვილის ლექციებში მარტო ჩაგრული ხალხის ეროვნული გრძნობის გასაღვიძებლად და სასაღბუნოდ როდი იყო გამიზნული — წარსულის დიდების გახსენებას აწმყოს გაუმჯობესების სურვილი უნდა აღეძრა, რასაც თავის მხრივ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის რწმენა უნდა განემტკიცებინა, იმედი გაეღვიძებინა. ივ. ჯავახიშვილის მიერ განხორციელებულმა მოსამზადებელმა ღონისძიებებმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს უქველად დიდი ამაგი დასდო. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება უწინარესად მხოლოდ უნივერსიტეტის გახსნისათვის საჭირო წინასწარი პირობების შექმნას ემსახურებოდა. მართალია, ამ საქმის დაგვირგვინება თითქოს პრაქტიკული განხორციელების სფეროში უნდა გადასულიყო ჯერ კიდევ 1914 წელს, როდესაც მეფის მთავრობა იძულებული გახდა მისთვის ესოდენ არასასურველი ნაბიჯი გადაედგა და გამოეცა კანონი არარსულ ენებზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ნებართვის შესახებ. მაგრამ კანონი მხოლოდ ქალაქზე დარჩა და მას ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საქმე იოტის ოდენადაც არ წაუწევია წინ. მხოლოდ ახალი

ძვრების პირობებში, მეფის საქმეველი რეჟიმის დათრგუნვის შემდეგ, გამოჩნდა იმედის ნაპერწკალი, და ივ. ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა ამ მომენტის გამოყენება. მან მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და მგზნებარებით გააცხოველა ვითარების შესაფერისი საქმიანობა.

ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი შ. ნუცუბიძე იგონებდა: „უმაღლეს სკოლაზე საქართველოში უმკველია მანამდეც ბევრს უოცნებია, მაგრამ, როგორც რეალური საკითხი, იგი პირველად პროფ. ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა...“

პირველ მარტს 1917 წ. ივანე ჯავახიშვილის ბინაზე ლახტიანის ქუჩაზე შესდგა პირველი თათბირი. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. სხდომას დაესწრნენ აწ განსვენებული იოსებ ყიფშიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვები. სხდომამ მოისმინა ივანე ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენება უმაღლესი სკოლის პერსპექტივების შესახებ საქართველოს სინამდვილეში, მისი სამეცნიერო ძალებით უზრუნველყოფის შესახებ და სხვ. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ზოგიერთების აზრებში ცოტაოდენი ეჭვი სჩანდა მაგოდენ დიდი საქმის ასე მოულოდნელად წამოყენებისა და მისა განხორციელების შესაძლებლობის გამო. ივანე ჯავახიშვილის ოპტიმიზმი და შეუდრეკელი რწმენა უმაღლესი სკოლის მომავლისათვის გადამწყვეტი მომენტი იყო და კრებამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა“...³

საინიციატივო ჯგუფის თათბირს მცირე ხნის შემდეგ მოჰყვა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეული კრება. პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე საპროგრამო მოხსენებით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი. კრებამ დაწვრილებით იმსჯელა მოხსენებაში წამოჭრილ საკითხებზე და ერთსულოვნად დაადასტურა საქართველოში სხვადასხვა დარგის მომცავი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის გარდუვალობა და აუცილებლობა.

უნივერსიტეტის დაარსების იდეის განხორციელების გზაზე შემდგომი ნაბიჯი იყო ივ. ჯავახიშვილის ჩამოსვლა თბილისში (1917 წ. მაისი). პრაქტიკული სამოქმედო გეგმა, როგორც ჩანს,

³ საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ორცხა, თბ.), ფონდი 471, საქ. 564ა, ფურც. 1.

ივ. ჭავჭავაძის უკვე პეტროგრადშივე ჰქონდა დაწვრილებით გა-
აზრებული: თბილისში მან თან ჩამოიტანა ქართული უნივერსიტე-
ტის წესდების ძირითადი დებულებანი⁴.

უწინარესად იგი საჭიროდ მიიჩნევდა სპეციალური კრების
ორგანიზაციის საქმეს. კრებაზე მონაწილეობისათვის მოსაწვევი
ბარათები დაეგზავნა ყველა სამეცნიერო, საზოგადო, კულტურული
და საკრედიტო დაწესებულების საბჭო-გამგებებს, იმდროინდელ
პოლიტიკურ პარტიათა მთავარ კომიტეტებსა და პარტიულ გამო-
ცემათა რედაქციებს. კრებას საფუძველი უნდა ჩაეყარა ქართველ
საზოგადოებაში უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული პრაქ-
ტიკული საქმიანობის ფართოდ გაშლისათვის. პირველი ღონისძიე-
ბა ამ მხრივ უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის დამხმარე საზოგა-
დოების ჩამოყალიბება.

კრებამ, რომელიც 1917 წლის 12 მაისს შედგა, მოისმინა ივ.
ჭავჭავაძის ვრცელი და ღრმად დასაბუთებული მოხსენება სა-
ქართველოში მეცნიერული აზროვნების აღორძინებისათვის უნი-
ვერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის
შესახებ.

„ნერს ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფე-
როშიაც კი — აღნიშნა მომხსენებელმა — თეორიული მეცნიერების
წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული. რაც უნდა კარ-
გად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით
უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეც-
ნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს
ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა, მცირედი ღირებულება
აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს“. ივ. ჭავჭავაძი-
ლი აუცილებლად თვლის ისეთი ქართული უმაღლესი სამეცნიერო
დაწესებულებების შექმნას, რომელიც გააერთიანებს რუსეთსა და
საზღვარგარეთ გაფანტულ იმ ქართველ მეცნიერებს, რომელთა
„უმთავრესა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეც-
ნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე
ზრუნვა უნდა შეადგენდეს“. რაც შეეხება ამგვარი დაწესებულების
ტიპს — უნივერსიტეტს, აკადემიას თუ უმაღლეს ტექნიკურ სასწავ-
ლებელს — ივ. ჭავჭავაძის აზრით, საქართველოსათვის უპირა-
ტესობა უნივერსიტეტს უნდა მინიჭებოდა. მხედველობაში იყო მი-

⁴ ექვთ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, 1, 1968, გვ. 416.



საღებო, რომ „აკადემია ვიწროდ შემოზღუდული დაწესებულებაა, მეცნიერების სრული და მთლიანი სამფლობელოს მაგიერ იქ ყველა დარგები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი... საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან... არავითარი კავშირი არა აქვს“. ააქვე ვერ პასუხობდა დროის შესატყვისის მოთხოვნილებებს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელიც. „უნივერსიტეტს ის ცხადი უპირატესობა აქვს — ასაბუთებდა ივ. ჯავახიშვილი — რომ უნივერსიტეტი მეცნიერების შემოქმედებითი, დამავიწყებელი ძალა, თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში კი ყურადღება განსაკუთრებით თეორიული მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული“. აკადემიისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გახსნაზე ფიქრი — ივ. ჯავახიშვილის აზრით — მომავლის საქმე იყო, როცა ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა ამ დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად როგორც მატერიალური სახსრებით, ისე სამეცნიერო-პედაგოგიური ძალებით. აქვე, ივ. ჯავახიშვილს მოყავს საინტერესო გეგმა, რომელიც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს მომავალში გათვალისწინებული ტექნიკური სწავლების საქმის ორგანიზაცია: „უნივერსიტეტთან კი შემდეგში შეიძლება სასოფლო-მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან. ამ ვზით ხარჯები ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცალებით ნაკლები დაგვეკირდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მომზადებულ ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა სიმცირე პირველ ხანებში მაინც ძალიან საგრძნობი იქნება“.

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ეხება მომავალი უნივერსიტეტის წინაშე წამოჭრილ საკითხებს. მოწოდებად გაისმა მისი სიტყვები: „ყოველი ქართველი გრძნობს ეხლა, რომ ჩვენი ხსნა დაუცხრომელ შრომაში, კერძო თაოსნობაში და საკუთარ მრეწველობის შექმნაში... ამისათვის ერთის მხრით პოლიტიკური ეკონომიისა და საფინანსო მეცნიერებისა, მეორეს მხრით საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მედგარი კვლევა-ძიებაა საჭირო. შეუძლებელია რაიმე ეკონომიურ და საფინანსო პოლიტიკის წარმოება იმ ქვეყნებში, სადაც აღებ-მიცემობის, მრეწველობის ვითარება და ქონებრივი ძალა გამორკვეული და მეცნიერულად შესწავლილი არ არის“.

2. ა. ავალიანი, რ. ჩავუნავა

დ. შარტნიის საბ. საბ.
სსრ სსხბელმწიფომ
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ამ მიმართულებით საქართველოს დიდი ჩამორჩენა: „როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც წიგნთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლია და ნიმუშები ანალიზისათვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში უნდა გაიგზავნოს“... ყოველივე ეს აუცილებელს ხდის უნივერსიტეტის გახსნას, რომელსაც საქართველოში მეცნიერების აღორძინება დაეკისრება. მხოლოდ ამის შემდგომ იქნება რეალური ქართული კულტურის სწრაფი წინსვლა და თუ „ქართველი მეცნიერი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებენ და საკმაო ნიჭს გამოიჩენენ, ქართულ უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურებას გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს“⁵.

მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო უნივერსიტეტის ორგანიზაციის პრაქტიკულ გეგმას და ამ საკითხთან დაკავშირებულ ფინანსურ მხარეს. შემდეგ გაიმართა ხანგრძლივი კამათი მოხსენებაში აღძრულ საკითხებზე. საბოლოოდ „კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის წინადადება და გადაწყვიტა დაარსდეს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველის სათანადო ფაკულტეტებით: მხოლოდ ამ თავად უნდა გაიხსნას სიბრძნის მეტყველების განყოფილება (ფილოსოფიური და ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი), რომელსაც მომხსენებლის ანგარიშით დასჭირდება წელიწადში ზედმიწევნით 120 000 მანეთი შესანახად, თუ ბინა უსასყიდლოთ ექნება. ამასთანავე ერთდროული ხარჯებისათვის (მოწყობა) მოუხდება 25 000 მანეთი“...

შემდეგ აირჩიეს კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე და სხვ.), რომელსაც დაევალია მომავალი უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის შემუშავება და წინადადებათა წამოყენება საჭირო თანხების გამონახვის გზების დასადგენად. კრების დასასრულს თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა ივ. ჯავახიშვილთან წინასწარი მოთათბირების შემდეგ წამოაყენა წინადადება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დაარსების შესახებ. კრებამ დაადგინა: „დაარსდეს განსაკუთრებული სა-

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, თსუ შრომები, 33B, 1948, გვ. 1—11.



ზოგადოება ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტისა, რომლის დამყარებას
ფუძნებელ კრებად დღევანდელი კრება ჩაითვალოს⁶⁶.

12 მაისს კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის
გახსნისათვის გაჩაღებული საქმიანობის საწყის საფეხებზე. ამ
კრებით ფაქტიურად იწყებოდა საზოგადოების ფართო ფრონტით
დარაზმება. იდეა, რომელიც ივ. ჯავახიშვილს თავის პეტროგრადი-
სულ საინიციატივო ჯგუფთან ერთად ჰქონდა ჩამოყალიბებული,
ახლა უკვე საზოგადოების მზრუნველობის სფეროში ექცეოდა. მაგ-
რამ ივ. ჯავახიშვილი მარტო ამით როდი დასაყოფილდა — შემდ-
გომი მისი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს მეორე კულტურული
ცენტრის — ქუთაისის საზოგადოების ჩასაბმელად ამ დიდ საქმეში.

სულ რაღაც 5 დღის შემდეგ, 17 მაისს, ივ. ჯავახიშვილი ქუთა-
ისში იწვევს ადგილობრივ კულტურულ და საფინანსო დაწესებუ-
ლებათა და პრესის წარმომადგენლების კრებას, რომელიც თავისი
შინაარსით თბილისის კრების ანალოგიას წარმოადგენდა.

კრების უმრავლესობამ გაიზიარა მომხსენებლის დებულება და
მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისში ქართული უნივერსიტეტის
დაარსება. დასასრულს თავმჯდომარემ ი. ოცხელმა კრების სახელით
მადლობა გადაუხადა კრების მომწვევსა და მომხსენებელს ივ. ჯა-
ვახიშვილს.

ამით დასრულდა ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრულ ღონისძიე-
ბათა მოსამზადებელი ეტაპი. პეტროგრადას, თბილისისა და ქუთა-
ისის კრებებმა მოწინავე საზოგადოებაში განამტკიცა რწმენა იმის
შესახებ, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმე საესე-
ბით რეალურად განსახორციელებელი სადღეისო ამოცანაა.

17 მაისის შემდგომ უნივერსიტეტის გახსნის საკითხებზე მუ-
შაობა თბილისსა და ქუთაისში ამორჩეულმა კომისიებმა განაგრ-
ძეს. ძირითადი წარმმართველი ძალა იყო თბილისის კომისია, რომ-
ლის მთელ საქმიანობას ფაქტიურად ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვა-
ნელობდა.

ამ კომისიის მუშაობა უწინარესად მომავალი უნივერსიტეტის
ზარკთალრიცხვის შემუშავებისა და მატერიალური სახსრების ძიე-
ბის გზით წარიმართა.

ორი კერძო თათბირის შემდგომ, 1917 წლის 3 ივნისს შედგა
კომისიის პირველი ოფიციალური სხდომა.

წინააღმდეგ დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, — განაცხადა სხდო-

⁶⁶ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 1.

მაზე ივ. ჯავახიშვილმა, — რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცხად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაეყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ეხლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში და მხოლოდ ერთენულ იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თაყიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ“.

სხდომამ განიხილა ფინანსური შემოსავლის ყველა საგარაუდო წყარო და დასახა ღონისძიებები მათი ათვისების რეალური შესაძლებლობის გამოსარკვევად. აქვე გადაწყდა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების შემუშავება. პროექტის შედგენა ივ. ჯავახიშვილმა აიღო თავის თავზე⁷.

კომისიის 15 ივნისის სხდომა ამ პროექტის განხილვას მიეძღვნა. „სოციერთი მცირე შესწორებისა და წესდებით განსაზღვრულ ამა თუ იმ თანხის და გადასახადის რაოდენობის გამორკვევის შემდეგ, — აღნიშნულია ოქმში — კრებამ გადასწყვიტა საბოლოო რედაქცია წესდებისა მოისმინოს 22 ამა ივნისს... იმავე კრებაზე განხილულ უნდა იქმნას ზედმიწევნითი ხარჯთაღრიცხვა მომავალი უნივერსიტეტისა“⁸. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა სხდომას აუწყა, რომ მან პეტროგრაღში წერილობითი შეკითხვა გაუგზავნა ზ. ავალიშვილს საჯარო მომგებიანი ლატარიის მოწყობის შესახებ⁹. ლატარია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ იქნა მიჩნეული კომისიის წინა სხდომებზე და ზ. ავალიშვილს უნდა გაერკვია, იყო თუ არა შესაძლებელი მიეღოთ მთავრობისაგან ნებართვა მის მოსაწყობად.

22 ივნისს ივ. ჯავახიშვილმა სხდომას გააცნო უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების საბოლოო რედაქცია და თვით უნივერსიტეტს ძირითადი დებულებები. მისივე წინადადებით უნივერსიტეტისა და მისი საზოგადოების სრული სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „თავისუფალი“, რომელიც კერძოობით ხასიათს ანიჭებდა ამ დაწესებულებებს.

ბოლოს „როგორც საზოგადოების წესდება, აგრეთვე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, მცირე შესწორებით, რომელიც

7 ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 7—8; თ. ტაბლიაშვილი, ავღმიკოსი ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დოკუმენტური მასალები), საისტორიო მოამბე, 21—22, 1967, გვ. 331—332 (ძველი ყველგან მითითებულია შემოკლებით: საისტ. მოამბე და გვერდის ნომერი).

⁸ იქვე, ფურც. 14.

⁹ იქვე.



სხდომაზე იყო შეტანილი წაკითხულ პროექტებში — კრებამ ერთხმად მიიღო¹⁰.

3 აგვისტოს საორგანიზაციო კომისიის წევრებმა თბილისის ნოტარიუსის გ. მაჭავარიანის თანდასწრებით ხელი მოაწერეს პროექტების საბოლოო რედაქციებზე და დასამტკიცებლად გაუგზავნეს ადგილობრივ მთავრობას (ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს). წარდგინების ბარათში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „ყოველგვარ საქმეთა წარმომადგენლობა ეკისრებოდა პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს“¹¹.

საგანგებო კომიტეტმა წარდგენილი მასალები 22 აგვისტოს განიხილა. არაკომპეტენტურობის მომიზეზებით, მან უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების პროექტი დასამტკიცებლად პეტროგრადში დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს გადაუგზავნა. რაც შეეხება უნივერსიტეტის საზოგადოების წესდებას, კომიტეტმა „შესაძლოდ სცნო“ მისი დამტკიცება (გარდა ერთი პარაგრაფისა — ლატარიის მოწყობის შესახებ) და თბილისის საოლქო სასამართლოში სარეგისტრაციოდ წარდგენა. ეს გადაწყვეტილება თითქმის უიმედო მდგომარეობაში აყენებდა წამოწყებულ საქმეს: უნივერსიტეტის დებულებათა პეტროგრადში გადაგზავნით ამკარად ჭიანჭურდებოდა მისი დამტკიცება, ხოლო ლატარიის ჩატარებაზე უარის თქმა ფაქტიურად ფინანსური შემოსავლის ძირითადი წყაროს აღკვეთას მოასწავებდა.

შექმნილმა ვითარებამ ივ. ჯავახიშვილი არ დააბნია. იურიდიულა კონსულტაციებისა და სხვადასხვა დაწესებულებებთან მოლაპარაკების შემდგომ 20 სექტემბერს მოწვეულ სხდომაზე მან დაწერილებით მოახსენა კომისიის წევრებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ და კონკრეტული სამოქმედო გეგმა წამოაყენა. მისი აზრით, „საზოგადოებას შეუძლიან უკვე მოქმედებას შეუდგეს, რადგანაც ამგვარი დაწესებულებანი ე. წ. განცხადებითის წესით მოქმედებენ. რეგისტრაცია აძლევს ამ დაწესებულებას იურიდიულ პიროვნების უფლებას, რასაც საქმის დაწყებისათვის არა აქვს მნიშვნელობა“. დროის მოგების მიზნით საჭირო იყო საზოგადოების საერთო კრების მოწვევა და ხელმძღვანელი ორგანოების — გამგეობისა და საკონტროლო საბჭოს არჩევა. ფინანსურ მხარესთან და-

¹⁰ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 16.

¹¹ იქვე, ფურც. 18.

ჯავახიშვილი ივ. ჯავახიშვილიმ აღნიშნა, რომ გამოინახა ახალი სა-
შუალება და უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. სათავედახსნა-
რო ბანკის რწმუნებულებმა აღიარეს შუამდგომლობა, ^{გამგეობის} ~~გამგეობის~~
წინაშე საერთო კრების მოწვევის შესახებ, რომელიც დაადგინდა
„შესაძლებელია თუ არა უნივერსიტეტს მოხმარდეს ის თანხა,
რომელიც შემდგარია ხაზინებულის ბანკის გირავნობის ფურცლების
სავალდებულო განაღდებას ზედმეტის გადასახადიდან“.

თავის სიტყვის დასაბრუნს ივ. ჯავახიშვილიმ ერთხელ კიდევ
გაუსვა ხაზი საზოგადოების საერთო კრების მოწვევის მნიშვნე-
ლობას და დასძინა, რომ კრების მოწვევამდე პრესაში გამოქვეყნ-
დებოდა უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, უნივერსიტეტის
ძირითადი დებულებანი და მის მიერ თბილისსა და ქუთაისში წა-
კითხული მოხსენება.

კრებამ, ივ. ჯავახიშვილის მოხსენების საფუძველზე, დაადგინა
უნივერსიტეტის საზოგადოების კრების მოწვევა 2 ოქტომბერს¹²,
მანამდე კი ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება დაეთმო პრესას. საერთოდ ივ. ჯავახიშვილი მთელი
თავისი მოღვაწეობის მანძილზე ხშირად მიმართავდა ინფორმაცი-
ის ამ ყველაზე გაფრცვლებულ საშუალებას. ეს შემთხვევითი არ
იყო: ხელმძღვანელობდა რა ყველა საქმეში კოლექტიური თანამშ-
რომლობის პრინციპით, საკითხის დასმასთან და სათანადო გეგმი-
ჩამოყალიბებასთან ერთად, იგი თანამშრომლობისაკენ მოუწოდებ-
და საზოგადოების ფართო მასებს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც: პრესა-
ში გამოქვეყნებული მასალები თითქმის მთელი საქართველოსათვის
იყო განკუთვნილი და დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად ახა-
ლი ძალების მოზიდვას ითვალისწინებდა. გაზეთ „სახალხო საქმის“
23 სექტემბრის ნომერში დაწერილებითაა მოთხრობილი იმ საქმი-
ანობის შესახებ, რაც 12 მაისის კრების შემდეგ ჩაატარეს ივ. ჯავა-
ხიშვილიმ და საორგანიზაციო კომისიამ. გაზეთი იუწყებოდა აგრეთ-
ვე უნივერსიტეტის საზოგადოების მომავალი კრების დღის წესრიგის
შესახებ¹³.

კრების მოწვევამდე გაიმართა საორგანიზაციო კომისიის კ-
დევ ერთი სხდომა (29 სექტემბერს), რომელზედაც ხელახლა იქნა
ხელმოწერილი საგანგებო კომიტეტის მიერ „შესწორებული“ და

¹² ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 22—23.

¹³ გაზ. „სახალხო საქმე“, 23 სექტემბერი, 1917 წ.

საოლქო სასამართლოში სარეგისტრაციოდ წარსადგენი უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, სხდომამ განიხილა აგრეთვე მთავრობის ვალა კრების მზადებასთან დაკავშირებული საკითხები¹⁴.

უნივერსიტეტის საზოგადოების საერთო კრება, რომელიც 3 ოქტომბერს გაიმართა (2 ოქტომბრის ნაცვლად, რის შესახებაც ადრევე დროულად ეცნობა საზოგადოებას), გახსნა ივ. ჯავახიშვილი. კრების თავმჯდომარეობა ეთხოვა ე. თაყაიშვილს, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ ერთსულოვნად იქნა არჩეული პროფ. პ. მელიქიშვილი. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი. კრების ოქმში, რომელშიაც ლაყონურად არის ფიქსირებული ეს გამოსვლა, ვკითხულობთ: „... ი. ა. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრის აღორძინება, თან და თანი განვითარება და პრაქტიკული საქმიანობა ამ აზრის განსახორციელებლად. შემდეგ მან აღწესსა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ, გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. დასასრულ აუწყა დამსწრეთ წესდების და მთავარ დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება. სხვათა შორის ი. ა. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო საკითხს ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობისას კავკასიის უნივერსიტეტთან შედარებით და მრავალის მოსაზრებით დაასაბუთა თავისი აზრი ამ უპირატესობების შესახებ. პრ. დოც. ჯავახიშვილის მოხსენება საზოგადოებამ დიდის ტაშისკერით მიიღო...“

შემდეგ კრებამ განიხილა საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების (გამგეობის, საკონტროლო საბჭოს და საფინანსო კომისიის) არჩევნების საკითხი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა ეს საქმე დაევალებინათ სპეციალურად არჩეული სარეკომენდაციო კომისიისათვის, რომელსაც სათანადო რეკომენდაციები 8 ოქტომბრისათვის უნდა წარმოედგინა¹⁵.

8 ოქტომბრის კრებამ, რომელიც 3 ოქტომბრის კრების გაგრძელებას წარმოადგენდა, მოიწონა კომისიის მიერ დასახელებული კანდიდატურები და ერთხმად აირჩია ისინი ხელმძღვანელ ორგანოებში. ამის შემდეგ კვლავ გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი. ამჯერად ის

¹⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 31.

¹⁵ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 3ა, ფურც. 1—2.

შეეხო უახლოეს სამოქმედო და სასწავლო გეგმებს და ფინანსურ უზოუნველყოფის საკითხებს.

„თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილებას ვაგასწავლონებრივად შევიძლით, — აღნიშნა მომხსენებელმა — მაშინ რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი; ამიტომ ახლაც შეგვიძლიან გამოვაცხადოთ სამკურნალო ფაკულტეტის დაარსება. მხოლოდ, რადგანაც ამ ფაკულტეტს დასჭირდება სხვადასხვა კლინიკები, — საჭიროა ამ თავითვე ზრუნვა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი სამკურნალო გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს“¹⁶.

ივ. ჯავახიშვილის მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრების მონაწილეებზე. ეს არც იყო გასაკვირი: პირველად, უკვე დაწერილებით ირჩეოდა იმ დაწესებულების სტრუქტურა, რომელზედაც რამდენიმე წლის წინ ოცნებაც კი უსაფუძვლოდ ჩაითვლებოდა. შთაბეჭდიანი იყო თვით წარმოდგენილი სასწავლო გეგმაც. მის განსაკუთრებულ ღირსებაზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ მინიმალური ფინანსური დანახარჯებით შესაძლებელი ხდებოდა უმოკლეს ვადებში სრული უნივერსიტეტის ჩამოყალიბება.

კრებას არ შეეძლო ახლა უკვე მთელი სიცხადით არ ეგრძნო — რა დიდი შრომა იყო გაწეული და რა როლი განეკუთვნებოდა ამ საქმეში ივ. ჯავახიშვილს. ამიტომაც „კრებამ ხანგრძლივი ტაშით დააკვირდოვა მომხსენებელი. გრ. დიასამიძის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა ი. ა. ჯავახიშვილს, როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე დაულალავი სამეცნიერო მუშაობისათვის“¹⁷.

კრების მეორე დღესვე, 9 ოქტომბერს კ. აფხაზის თავმჯდომარეობით გაიმართა ახლად არჩეული გამგეობის, საკონტროლო საბჭოსა და საფინანსო კომისიის წევრთა პირველი გაერთიანებული სხდომა, რომელიც განიხილავდა სამ ძირითად საკითხს: 1. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის შედგენის საკითხს; 2. ივ. ჯავახიშვილის წინადადებას სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების შესახებ; 3. სხვადასხვა წინადადებასა და მოსაზრებას ნივთიერ საშუალებათა გამოსაძებნად.

პროფესორთა მოწვევა და მათი კოლეგიის შედგენა კრებამ

¹⁶ საისტ. მოამბე, გვ. 334—335.

¹⁷ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 3ა, ფურც. 3—4.

მახდო ივ. ჯავახიშვილს, პ. მელიქიშვილსა და ანდ. რაზმაძეს. ამ-
რიგად, მომავალი უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალების თავმოყ-
რის სათავესთან ისტორიკოს ივ. ჯავახიშვილთან ერთად ცნობილი
ქიმიკოსი და მათემატიკოსი იდგა. ეს, რასაკვირველია, ფრიად ნი-
შანდობლივი გარემოება იყო, რომელიც ერთგვარად თავიდანვე
განსაზღვრავდა უნივერსიტეტის მომავალ სახეს.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კრებამ დაადგინა: „ეთხოვოს
ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოს-
კოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარა-
შვილს — ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, რომ თუ რო-
დის არის ახლო მომავალში შესაძლებელი, რომ ქართულ უნივერ-
სიტეტში სამკურნალო ფაკულტეტიც დაარსდეს... უნდა გადაწყდეს
თუ ადგილობრივ საავადმყოფოებს შორის, რომლის გამოყენება
შეიძლება საუნივერსიტეტო კლინიკად და რა და რა საშუალებაა
საჭირო, რომ განზრახული საავადმყოფოები აუცილებლად ფა-
კულტეტის კლინიკად იქმნას ცნობილი“. — ამ მოკლე, მაგრამ საქ-
მიანი სტრუქტურების მიღმა საკითხის აღმძვრელის — ივ. ჯავახიშვი-
ლის ხელწერა იგრძნობა და არ შეეცდებით, თუ ამ დადგენილების
ინიციატორადაც მას მივიჩნევთ.

ნიკოეირი სახსრების გამონახვასთან დაკავშირებით მიღებულ
იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები: გამგეობას ეთხოვა სათა-
ვადანაჯირო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების მოწვევის
დაჩქარებისათვის ზრუნვა, საფინანსო კომისიას დაევალა შეესწავ-
ლა და პრაქტიკულად განეხორციელებინა ის „ფინანსური კომბი-
ნაციები და წინადადებები, რომელნიც აღძრეს ზოგიერთმა წევ-
რებმა... კერძო შემოწირულობათა გაძლიერების, საკრედიტო და
სხვა დაწესებულებათა მიერ დახმარების, თვითდაბეგვრისა და სხვა
ლონსძიებათა შესახებ“.

სხდომამ გამოიტანა სხვა პრაქტიკული სახის დადგენილებებიც,
მათ შორის უნივერსიტეტის შენობის შესახებ. გადაწყდა: „აღიძრას
მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება ქართულ გიმნაზიის საზოგადოე-
ბის გამგე კომიტეტთან იმის შესახებ — თანახმა იგი თუ არა და-
უთმოს საუნივერსიტეტო საზოგადოებას განზრახულ უნივერსიტე-
ტის მოსათავსებლად სადგომი და რანაირ პირობებზე“¹⁸.

სხდომის დადგენილებები გამოირჩევა კონკრეტულობით. უკვე
დამაჯერებლად იგრძნობა, რომ უნივერსიტეტის გახსნის საქმე გა-

¹⁸ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 3ა, ფურც. 6.

დამწყვეტ ფაზაში შედის. ასეთივე განწყობილება მკვიდრდება ქა-
თელი ინტელიგენციის ფართო წრეებშიაც. ხშირდება სხვადასხვა
საზოგადოებებიდან და დაწესებულებებიდან ფულადი შემოწირუ-
ლებები. როგორც პროფ. ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, „განსაკუთრებით
მნიშვნელოვანი იყო ქართული კოოპერატივების როლი ფულადი
სასწრების შეგროვებაში. ბევრი მათგანი ერთდროული შენატანე-
ბით: არ კმაყოფილდებოდა და განსაზღვრული დონის ზემოთ მიღე-
ბული მოგების სისტემატურ გადარიცხვას ჰპირდებოდა მომავალ
უნივერსიტეტს“¹⁹. გახშირდა უნივერსიტეტის სასარგებლოდ გა-
მართული საღამოები და სხვ. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ
ცალკეულ პირებსაც. ასეთი გზით შემოსულმა თანხამ მნიშვნელო-
ვან სიდიდეს მიაღწია. წერილები მოდიოდა საქართველოს სხვადა-
სხვა კუთხიდან და მის ფარგლებს გარედანაც. იწერებოდნენ სხვა-
დასხვა პროფესიისა და შეხედულებების მქონე პირები, რომლებსაც
ამჯერად ერთი იდეა — ქართული უნივერსიტეტის დაარსება აკავ-
შირებდათ.

სომხეთის საამაყო შვილმა, პოეტმა და მოქალაქემ ოვანეს თუ-
მანიანმა 1917 წ. 25 ოქტომბერს უაღრესად გულთბილი წერილი
გამოგზავნა გრ. დიასამიძის სახელზე და 100 მან. შესწირა მომავალ
უნივერსიტეტს:

«Дорогой Григорий Николаевич! Только наука, литера-
тура и искусство заполняет пропасть, разделяющую народы
и лишь они создадут грядущую лучшую жизнь и истинного
человека.

Вы поймете поэтому мою радость, когда я узнал про от-
крытия грузинского университета.

Я с восхищением представляю жизнерадостного и бла-
городного грузина, на родном языке получившего высшее
образование.

Когда же мы будем приветствовать открытие и прочим
народам Кавказа высших учебных заведений, дабы на почве
науки и искусства нам встретиться вместе и установить
взаимное понимание и уважение?

Прошу Вас, дорогой Григорий Николаевич, принять и пе-
редать кому следует мой горячий привет по этому поводу, а

¹⁹ ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება,
ქრ. „თბილისის უნივერსიტეტი (1918—1968)“, 1968, გვ. 22.

также мою скромную лепту, которая может быть послужит одним из камней великого злания разцветающей грузинской культуры»²⁰.

უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ 7 ნოემბრის საბასუსო წერილით უღრმესი მადლობა გადაუხადა სომხეთის სასიკადულო პოეტს ასეთი გულთბილი თანაგრძნობისათვის:

«В глубоко прочувственных словах Ваших как лучшего сына своей Родины и талантливого выразителя ее дум и чувств, мы видим ласку и привет всего армянского народа, — тысячелетия добрососедски живущего бок о бок с грузинским народом и находящегося с ним в постоянном взаимоотношении на почве культурного развития и духовного совершенствования»²¹.

უნივერსიტეტის გახსნილ თარიღს მოახლოება სულ უფრო და უფრო ართულებდა მის შესწავლას საქმიანობას. 19 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის უკვე ახალ, 11 ნოემბერს შექმნილ მთავრობას (ამიერკავკასიის კომისარიატს) მიმართა შუამდგომლობით უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა დამტკიცების და ლატარიის ჩატარების თაობაზე²². დროებითი მთავრობის განათლების სამინისტრომ, მართალია, ადრე დაამტკიცა წესდება ორი პუნქტის ამოღებით, მაგრამ ამ ცნობამ ფოსტით თბილისამდე ვერა და ვერ ჩამოაღწია. ამასობაში დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დროებითი მთავრობა დაამხო და სამინისტრომ ისე შეწყვიტა თავისი უღიმღამო არსებობა, რომ ქართულ უნივერსიტეტს თანხმობა ფაქტიურად არ აღირსა.

1917 წ. 26 ნოემბერს ექვთ. თავაიშვილის ბინაზე ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი სხდომა. ქართული უნივერსიტეტის ტიპის შესახებ მიღებულ იქნა ივ. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებული სქემა. „მხოლოდ ამ თავითვე — აღნიშნულია ოქმში — გაიხსნას ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება“. განიხილეს აგრეთვე უნივერსიტეტისათვის გიმნაზიის შენობის გადმოცემისა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის საკითხები²³.

²⁰ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 1, ფურც. 50.

²¹ იქვე, ფურც. 52.

²² იქვე, საქ. 1, ფურც. 62.

²³ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 4.



29 ნოემბერს უნივერსიტეტის საზოგადოებამ, დრამატულმა საზოგადოებამ და მსახიობთა კავშირის საზოგადოებამ უკვე ამიერკავკასიის კომისარიატისაგან მიიღო ნებართვა 5 მილიონიანი ლატარიის მოწყობის შესახებ²⁴. აირჩიეს კომისია, რომელშიაც ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა. ლატარიის გავრცელებას საკმაოდრო დასჭირდა და მისგან მიღებულმა შემოსავალმა ვერ მოუხსნო უნივერსიტეტის გახსნას. ფულის გაბონებამ კი ამ თანხის სცილვითი უნარი საგრძნობლად გააუფასურა.

6 დეკემბერს შედგა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა ივ. ჯავახიშვილისა და პ. მელიქიშვილის მონაწილეობით. გამგეობაში შეიყვანეს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წარმომადგენელი. მთავარი ყურადღება მიექცა უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებს. ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და ფაქულტეტზე წასაკითხი საგნების სრული ნუსხა. აღინიშნა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება 1918 წლის სექტემბრიდან დაიწყებოდა, ხოლო სამკურნალო ფაქულტეტის გახსნა ორ წელიწადზე ადრე ვერ მოხერხდებოდა²⁵.

„აზნავითარი დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“

„...ჩი უიუე ზეჰი შხმა და მხენჯა საჭიხ ჭიიუკ ვ. ცერიქიუსა და მხუენჯის აყუენამდის...“

უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის 6 დეკემბრის გაერთიანებულ კრებაზე ძირითად საკითხად გადაიქცა უნივერსიტეტის გახსნის თარიღი, რამაც ცხარე კამათი გამოიწვია. ივ. ჯავახიშვილმა მტკიცედ მოითხოვა ძალაში დარჩე-

²⁴ ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—19.
²⁵ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 3ა, ფურც. 9.

ნილიყო თავდაპირველი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის 1918 წლის იანვარში გახსნის თაობაზე: „ამის შესახებ უკვე იყო გამოცხადებული, საზოგადოება ამის მოლოდინშია, პროფ.-ლექტორება დათათბირებულნი არიან და შეუძლებელი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ეს დაპირება არ იქნება განხორციელებული“.

მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობას და მათ შორის პ. მელიქიშვილსაც მიაჩნდა, რომ „არც ნივთიერი მდგომარეობა, არც ტექნიკური ვითარება უნივერსიტეტის მოწყობისა, აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურა — საშუალებას არ იძლევა, რომ უნივერსიტეტი იანვარში ვაიხსნას. უფრო ხელსაყრელია უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრისათვის გადაიდოს“. ამგვარი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, მისაღებად ძნელი იყო კრებისათვის, მაგრამ უხვა გამოსავალი არ ჩანდა. ივ. ჯავახიშვილსაც კარგად ჰქონდა შეგნებული რეალური ვითარება, მაგრამ იგი სხვებისაგან გამორჩევით მხოლოდ უკან დასახევე გზას ვერ ხედავდა. მას, რომლის მხრებზედაც გადაიარა უნივერსიტეტის დაარსების ძირითადმა სიძნელეებმა, კარგად ესმოდა, რა მოჰყვებოდა საქმის გადადებას. მისმა ურყევმა რწმენამ ერთგვარ დათმობაზე წაიყვანა კრების მონაწილენი. დადგენილებაში შეტანილი იყო ერთის შეხედვით თითქოს და უმნიშვნელო მუხლი: „თუ მაინც და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამ თავითვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება“²⁶.

ამგვარად, უნივერსიტეტის გახსნა სექტემბრისათვის გადაიდო, მაგრამ ამავე დროს არ იყო გამორიცხული იანვრის ვარიანტიც, თუ ამისათვის ხელშემწყობი პირობები შეიქმნებოდა.

ივ. ჯავახიშვილისათვის ასეთი, თითქოს და „უწყინარი“ მინიშნებაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმ მიზნის მისაღწევად, რაც სხვებმა შეუძლებლად ჩათვალეს. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ყველას დაანახვა, რომ რწმენამ და თავდადებას ივ. ჯავახიშვილს სწორედ რომ შეუძლებელი შეაძლებინა. კეთილი მიზანი აღამიანში კუმშვარითად დიდ ენერჯიას ბადებს!

1918 წლის იანვრის თვეში ქართველი ხალხი ზეიმით შეხვდა უნივერსიტეტის გახსნას, ხოლო სექტემბერში, უნივერსიტეტის გახსნის თარიღად რომ იყო ნაგარაუდგვი, უკვე მეორე — საბუნე-

²⁶ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 3ა, ფურც. 9—10.



ბისმეტყველო-სამათემატიკო განყოფილება დაარსდა. სწორედ ამგვარმა თავდადებამ ათქმევინა 1924 წელს პეტრე მელქონიანის გულითადი სიტყვები: „ეგანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერაფერს შეეუბნებოდა და შეეზიარებოდა“.

1917 წლის 8 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილმა პროფესორთა კოლეგიის სხდომას მოახსენა უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ. განიხილეს აგრეთვე საერთო ხარჯთაღრიცხვა (ფ. გოგიჩაიშვილი). სხდომამ უნივერსიტეტის მთავარ დასაყრდენ წყაროდ სწავლის ფულის, უნივერსიტეტის საზოგადოებისა და ეროვნული საბჭოს დახმარებასთან ერთად, მიიჩნია კერძო შენაწირულებანი²⁷.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე უნივერსიტეტის მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის საკითხები. ივ. ჯავახიშვილმა ძირითადად სიმძიმე პროფესორთა კოლეგიაზე გადაიტანა. 19 დეკემბერს წინასწარმა (რიგით მეოთხე) სხდომამ იმსჯელა სასწავლო გეგმების შესახებ. მათი შემუშავება დაევალა სავანგებოდ არჩეულ სამოსწავლო კომისიას ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. დადგინდა აგრეთვე უნივერსიტეტში მიღების პირობები და განისაზღვრა სწავლის ფულის გადასახადის რაოდენობა.

სამოსწავლო კომისიის მიერ შემუშავებული გეგმა ივ. ჯავახიშვილმა პროფესორთა კოლეგიას 27 დეკემბერს გააცნო, ხოლო 1918 წლის 3 იანვრის სხდომაზე მან უკვე ლექციების განაწილების ცხრილი წარმოადგინა.

10 იანვრის პროფესორთა კოლეგიის სხდომამ განიხილა უნივერსიტეტის გახსნის ხასიათი და თადარიგი. დაადგინა, რომ ამ ღონისძიებისათვის სისადავის ელფერი მიეცათ. დამტკიცდა მოსაბაძიებელ სტუმართა სია. სხდომამ იმსჯელა აგრეთვე სასწავლო აუდიტორიისა და ბიბლიოთეკის მოწყობის საკითხებზე და დასახა საჭირო ღონისძიებები. აქვე, ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, განიხილეს ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის აუცილებელი აღჭურვილობისა და წიგნების მიღების შესაძლებლობა სხვადასხვა დაწესებულებიდან²⁸.

როგორც ამ სხდომის ოქმიდან ჩანს, პროფესორთა კოლეგია

²⁷ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 6.

²⁸ იქვე, ფურც. 7—12.



არა მარტო მიმდინარე საკითხებზე ზრუნავდა, არამედ მომავალ საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო განყოფილებებისა და სამკუთხედულ ნალო ფაკულტეტის გახსნისათვისაც წინასწარ იჭერდა თადარიგს.

13 იანვარს ქართული გიმნაზიის შენობაში შედგა პროფესორთა საბჭოს პირველი ოფიციალური სხდომა. სხდომას დაესწრნენ: პ. მელიქიშვილი (თავმჯდომარე), ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუკუნიძე, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე (მდივანი) და ივ. ჯავახიშვილი. განიხილეს უნივერსიტეტის გამგეობის საკითხი. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე ყველას ერთსულოვანი აზრი იყო ივ. ჯავახიშვილის არჩევა, მაგრამ თვით ივ. ჯავახიშვილს სხვა მოსაზრება ჰქონდა ამ საკითხზე: მისი მოღვაწეობის სპეციფიკური ხასიათისა და სამეცნიერო შრომათა უმრავლესობის ქართულ ენაზე გამოქვეყნების გამო, საერთაშორისო ასპარეზზე მას ნაკლებად იცნობდნენ. რექტორის საპატიო მოვალეობა, მისი აზრით, უნდა ეყისრა მეცნიერს, რომლის სახელსაც მსოფლიო კარგად იცნობდა. ქართულ უნივერსიტეტს ჩამოყალიბებისათვის პრესტიჟი ესაჭიროებოდა. ამ საქმისათვის შესაფერისი პიროვნება კი სწორედ ამ პრესტიჟის განმტკიცების სრულ გარანტიას მოუპოვებდა. ამ მხრივ პროფესორი პეტრე მელიქიშვილი ყველა თავისი მონაცემებით პასუხობდა წამოჭრილ მოთხოვნებებს. მის მეცნიერულ ნაშრომებს ქიმიის დარგში კარგა ხანია საერთაშორისო აღიარება ჰქონდათ მოპოვებული. ღ. მენდელეევი იგი „ელემენტთა პერიოდული სისტემის განმამტკიცებლად“ მიიჩნია. გენიალური ქიმიკოსის ეს შეფასება კომენტარებს არ საჭიროებდა. ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ამ მოსაზრებით კრებას რექტორის პოსტზე პ. მელიქიშვილის კანდიდატურა შესთავაზა. კრებამ მიიღო ივ. ჯავახიშვილის წინადადება და რექტორად ერთხმად აირჩია პ. მელიქიშვილი. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობა ივ. ჯავახიშვილმა იყისრა, სწავლული მდივნობა იოსებ ყიფშიძეს დაევალა, ხოლო ხაზინადარობა — ფილიპე გოგიჩაიშვილს. უნივერსიტეტის გახსნის დღესთან დაკავშირებით სხდომამ დაადგინა: „უნივერსიტეტი გაიხსნას 26 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს“. თვით დღის ამორჩევაშიც იყო რაღაც სიმბოლური. დავით აღმაშენებელმა ქართულ საგანმანათლებლო საქმეს ხომ განუზომელი ამაგი დასდო — სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი სახელგანთქმულ გელათს „სასწავლოდ ყოველისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“ და მის ხსოვნის დღეზე უნივერსიტეტის გახსნა წარსული დიდების აღორძინების რწმენას განამტკიცებდა.

ამავი სხდომაზე გაირჩა ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი. ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოახსენა, რომ მან სკამები უკვე შეუკვეთა ზელოსანს და ინჟ. მ. ქურდიანთან ერთად შეამოწმა აუდიტორიების მზადყოფნის მდგომარეობა²⁹.

პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 17 იანვრის სხდომაზე, რომელსაც სხვებთან ერთად ცნობილი ქართველი მეცნიერი ანდ. ბენაშვილიც დაესწრო, განიხილეს ლექტორთა მოწვევის საკითხი³⁰.

20 იანვარს უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას ივ. ჯავახიშვილმა წარუდგინა უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიის გეგმა, წაიკითხა მოსაწვევ ორგანიზაციათა და პირთა სია³¹.

უნივერსიტეტის გახსნის ძირითად სამზადისს მიექძენა აგრეთვე პროფესორთა კოლეგიის 21 იანვრის მესამე ოფიციალური სხდომა. აქ საბოლოოდ დაზუსტდა ყოველი წვრილმანი³².

1918 წლის 26 იანვარს დადგა მრავალნაწიერი ქამი უნივერსიტეტის საზეიმო გახსნისა. უამრავი ხალხი მოაწყდა ქართული გიმნაზიის შენობას. საზეიმო კრება გახსნა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა. შემდეგ სიტყვით გამოვიდა რექტორი პ. მელიქიშვილი, რომელმაც ილაპარაკა უნივერსიტეტის ამოცანებზე. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული მეცნიერების ტაძარში უნდა განვითარებულიყო როგორც ჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო-მათემატიკური მეცნიერებანი.

პროფ. ი. ყიფშიძის მოხსენება მიექძენა უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. საგანგებოდ აღინიშნა ივ. ჯავახიშვილის განსაკუთრებული ღვაწლი ამ საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

მოხსენებების შემდგომ დაიწყო მისალმებები სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან. მათ შორის იყვნენ სხვა ქვეყნების (პოლონეთის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვ.) წარმომადგენლები. წაიკითხეს მრავალი მისალოცი დეპეშა.

პირველი ლექცია, რომელიც ივ. ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა, ხალხის სიმრავლის გამო, 30 იანვრისათვის გადაიდო.

²⁹ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 13—16.

³⁰ იქვე, ფურც. 17.

³¹ იქვე, საქ. 3ა, ფურც. 12.

³² იქვე, საქ. 2, ფურც. 19.



ამ შესანიშნავ ვითარებაში, როდესაც სინამდვილედ იქცა ერის საჯუქუნოვანი ოცნება, არ შეიძლებოდა საგანგებოდ არ აღნიშნულიყო ამ საქმის დიდი მოამაგის ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი.

და მართლაც, ზეიმის დასასრულს მადლიერმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა მისი ნაამაგარი. გაზეთი „ერთობა“ 1918 წ. 28 იანვარს წერდა: „კმაყოფილმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციებით დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს“³³.

მართალია, უნივერსიტეტი კოლექტიური შრომისა და არა ერთი თაობის თავდადების ნაყოფად მოგვევლინა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის როლი მაინც განსაკუთრებული და განუმეორებელი იყო. 1907 წლიდან იგი არა მარტო გულში ატარებდა ამ იდეას, არამედ შეუპოვრადაც იბრძოდა მისი განხორციელებისათვის. გეგმაზომიერად, მეთოდურად ესხმებოდა ხორცი უნივერსიტეტის გახსნის ანცელებლობის საქმეს, მზადდებოდა წინაპირობები და მკვიდრი საფუძველი ეყრებოდა ამ დიდ ეროვნულ მოვლენას. „თვით უკიდურესი ოპტიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, — აღნიშნა ზეიმზე იოსებ ყიფშიძემ, — რომ ტფილისი ასე მალე ეღიროებოდა უნივერსიტეტს და ისიც ქართულ უნივერსიტეტს, მაგრამ ამ ზღაპრულმა ჟანთა სრბოლამ, რომლის მოწმენი აგერ ეს ერთი წელია ჩვენც ვართ, ერთის შეხედვით შეუძლებელი შესაძლებლად გახადა და დღეიდან ქართული უნივერსიტეტი ოფიციალურად გახსნილია“³⁴.

ჩვენ ზემოთ შევეცადეთ უფრო დამწერილებით მოგვეჩაზა ივ. ჯავახიშვილის მიერ თუნდაც უკანასკნელ წელს გაწეული ღვაწლი. რა დაბრკოლებებით არ იყო აღსავსე ეს წელი! მცირერიცხოვან ენათუნიასტთა გვერდით, ივ. ჯავახიშვილის გამოთქმით — „გაგარეულზე უფლები შინაურების და გაშინაურებული გარეულების“ დაუფარავე წინააღმდეგობა, ეკონომიური ხელმოკლეობა, ხელისუფლების ამკარა ხელშემშლელი ღონისძიებები და კიდევ მრავალი მცირე და დიდი დაბრკოლება, რომელთა გადალახვა თითქმის ყველაც წარმოუდგენლად მიიჩნდა.

მეფის შავრაზმული პოლიტიკის გამგრძელებელი დროებითი მთავრობა მარტო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების გაჭიანურებას როდი დასჯერდა. მან აქტიური კამპანიაიც კი ჩაატარა ქართული განათლების კერის გახსნის ხელის შესაშლელად. ქართული

³³ ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

³⁴ იქვე, გვ. 30; ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 564ბ, ფურც. 3.

უნივერსიტეტის გახსნას მთავრობამ დაუპირისპირა თბილისში³⁵ ამ-
ერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებ-
ა. „ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება — იუწყებოდა
აკ. შანიძე 1917 წ. 14 ოქტომბერს — ერთი რუსული, მეორე ქარ-
თული, ერთი მთავრობის, მეორე კერძო, ერთი უფლებრივი უპა-
რატესობით აღჭურვილი და სახელმწიფოს მიერ ზურგგამაგრებუ-
ლი, მეორე უფლებას მოკლებული და პირადი თაოსნობის მოიმედე,
ერთი ბაზინის მიერ შენახული და ბუნებრივად უზრუნველყოფილი,
მეორე კერძო პირთა გულშემატკივრობასა და მზუნველობაზე დამ-
ყარებული“³⁵.

დადგენილება რუსული უნივერსიტეტის გახსნის შესახებ პეტ-
როგრადიდან პირდაპირი მათეულით მოვიდა თბილისში, ქართული
უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების ცნობამ კი თბილისამდე
ვერც ჩამოაღწია. რუსული უნივერსიტეტის გახსნას, განათლების
მინისტრის პროფ. ალ. მანუილოვისა და სხვათა ჩანაფიქრით, ნია-
დაგი უნდა გამოეცალა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის,
რომელსაც ვერ უნდა შესძლებოდა პირველისათვის მეცნიერული
მეტოქეობის გაწევა³⁶. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტუ-
რი რევოლუციის გამარჯვების შედეგად გახდა შესაძლებელი თბი-
ლისში 26 იანვრის ზეიმი.

³⁵ ვაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ. 14 ოქტომბერი.

³⁶ სხვათა შორის, ეს ის მანუილოვია, რომელიც შემდეგ ბედისწერის უცნა-
ური დამთხვევით თბილისში ჩამოვიდა და ქართულმა უნივერსიტეტმა იგი თავის
რიგებში მიიღო.



„მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვნებით და მრავალმხრივობით“

„იყო ჩვენი ჯიხა ჩვენი ნაჩვენა ყველა მხრივ და საყვებელნი იყს, ყნა იმდენს ვეკანნი, ხმ ჩვენი მტრისა. მაგვ ავით მთავრეყსუნთა და მთავრეყსუნთა ვაიყსუნს.“

ქართულმა უნივერსიტეტმა თავისი არსებობა სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტით დაიწყო. ამით გაივლო პირველი ხნული ქართველი ერის საგანმანათლებლო ყამირზე, რომელსაც „ეს ერთი და სხვა მრავალი“ დაუბედა თავიდანვე. ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოსაგრე ვუთნისდედების რუდუნებამ.

ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის დღეებში ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტი იქნება“, მეცნიერების ყველა ძირითადი დარგით. ეს დებულება ყოველთვის წითელ ხაზად გასდევდა ივ. ჯავახიშვილის საქმიანობას. მისი სამოქმედო ვეგმის დედაარსი ცხადად გამოვლინდა უნივერსიტეტის დამფუძნებელ და მ ოქტომბრის პირველ საზოგადო კრებებზე. ამ ვეგმას უთუოდ დიდი ღირსება ჰქონდა, ვინაიდან საკმაოდ ნოყრძალეებულ საშუალებებზე დაყრდნობით დიდ შესაძლებლობათა მიღწევას უზრუნველყოფდა; ჯერ, მართალია, ჰუმანიტარული განყოფილება გაიხსნა, მაგრამ ჩქარა მას უნდა მოჰყოლოდა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და შემდგომ კი სამკურნალო ფაქულტეტის დაარსება. „რაკი სამკურნალო ფაქულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილები-სა — ასაბუთებდა ივ. ჯავახიშვილი — ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაქულტეტი“. უნივერსიტეტთან უნდა დაარსებულიყო აგრეთვე ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განხრის ინსტიტუტები, რომლის მსმენელები ზოგად საგნებს

სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენდნენ და შეისწავლიდნენ. ხოლო სპეციალურ საგნებს — ინსტიტუტებში. „ამ გზით ~~განმარტავდა~~ ივ. ჯავახიშვილი — ხარჭებიც ძალზე შემცირდება და შეცნირთა რიცხვიც ნაკლები დაგვირდება“³⁷.

ცხოვრებამ დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის გეგმის მართებულობა. რასაკვირველია, ამ გეგმაში გზადაგზა ზოგიერთი შესწორების შეტანა გახდა საჭირო, მაგრამ მისი ავტორის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ნათელი ხდება.

მაგრამ ივ. ჯავახიშვილის დეაწლი სრული უნივერსიტეტის შექმნის საქმეში მარტო სამოქმედო გეგმის დასახებით როდი ამოიწერებოდა. იანვრის თვიდან, როდესაც პირველი ფაკულტეტის მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, გადაუდებლად დაიწყო მეორე განყოფილების გახსნაზე ზრუნვა. საჭირო გახდა გარკვეული სახის მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩატარება: სათანადო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოწყობა, სამასწავლებლო-სამეცნიერო კადრების დაკომპლექტება, შესაფერისი სათავესოების გამოჩხვა და ა. შ. ამ დიდ და შრომატევად ორგანიზაციულ საქმეს ისევ და ისევ ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, მიუხედავად იმისა, რომ თვით სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მუშაობის წარმართვა მას, როგორც დეკანს, საკმაოდ დიდ ღროსა და ენერგიას ართმევდა.

პირველსავე თვეებში ჩატარდა ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება: მიიღეს თანხმობა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებისაგან თბილისში ჩამოსვლის თაობაზე, საფუძველი ჩაეყარა ქიმიის ლაბორატორიას, გეოდეზიისა და მინერალოგიის კაბინეტებს.

და აი უნივერსიტეტის გახსნიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, პროფესორთა საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ფაკულტეტის დაარსების შესახებ. კრების ოქმის დადგენილებაში ვკითხულობთ: „მომავალი ენკენისთვის დაიხსნეს საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო ფაკულტეტი შემუშავებულ იქნეს შემდეგი მორიგი კრებისათვის ამ ფაკულტეტისათვის: საჭირო ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის შედგენა თავრიდვა დეკანმა ივ. ჯავახიშვილმა“³⁸. ერთი თვის შემდეგ პროფესორთა საბჭომ სამკურნალო ფაკულტეტის ჩამოყალიბებაც გადაწყვი-

³⁷ საისტ. მოამბე, გვ. 335, 337, 344, 349; ივ. ჯავახიშვილი, დამატ. მოხსენება, გვ. 10.

³⁸ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 30.



ტა: „დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები ორივე ფაკულტეტის ენკენისთვიდან გახსნისა და მოწყობის შესახებ: 1. ეთხოვოდ მთავრობას დაუთმონ უნივერსიტეტს ერთერთი შესაფერისი შენობა: სასურველია დაეთმოს ქართული გიმნაზიის შენობა. 2. უნივერსიტეტის შესანახი ფული მთავრობამ უზრუნველყოს და უნივერსიტეტი მთავრობის უნივერსიტეტად გამოცხადდეს. 3. ეცნობოს მთავრობას, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან სამეურნეო განყოფილებაც შეიძლება გაიხსნეს“³⁹.

განსაკუთრებით მტკივნეული იყო შენობის საკითხი. უნივერსიტეტს თავდაპირველად ქართული გიმნაზიის IV სართულზე სამხრეთ ნაწილის მხოლოდ სამი ოთახი ეკავა; მართალია, 1918 წლის აპრილში ქართული გიმნაზიის გამგეობამ უნივერსიტეტს მთლიანად გადასცა ეს სართული, მაგრამ ამით პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი რჩებოდა. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გულდასმით დაათვალიერა სხვადასხვა შენობა და ყველაზე შესაფერისად ისევ გიმნაზიის შენობა სცნო. ივ. ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მეცადინეობის წყალობით, 27 აგვისტოს განათლების სამინისტროდან მოვიდა ცნობა, რომ უნივერსიტეტს გადაეცა მთელი შენობა მიმდებარე ეზოსთან ერთად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გამოცხადების საკითხს. ამ შემთხვევაში დაფინანსება უკვე მთავრობას დაევალებოდა; ეს კი უნივერსიტეტის არსებობისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო. ამ მიზნით 19 ივნისს მთავრობას წარედგინა უნივერსიტეტის გამგეობის შუამდგომლობა, რომელსაც თან ერთვოდა უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1918—1919 სამოსწავლო წლისათვის და შესაბამისი განმარტებითი ბარათი. ყველა ამ დოკუმენტს უშუალო ავტორად ივ. ჭავჭავაძის გვევლინება⁴⁰.

1918 წლის 3 სექტემბერს უნივერსიტეტი სახელმწიფო დაწესებულებად გამოცხადდა და ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

გაერთიანებული საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის თაობაზე მსჯელობა 17 აგვისტოს გაიმართა. გადაწყდა პროფესორ-მასწავლებელთა დამატებით მოწვევა: ბოტანიკაში — ს. ქურდიანის, მინერალოგიაში — ა. თვალჭრე-

³⁹ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 38.

⁴⁰ იქვე, საქ. 564, ფურც. 13—18.

ლიქის, ანატომიაში — ა. ნათიშვილის, ფიზიოლოგიაში — ვ. მონაშვილისა (რომელსაც დროებით დეკანის მოვალეობის შესრულება დაევალა). უნივერსიტეტში მანამდე მოღვაწეობდნენ საბუნებისმეტყველო-მათემატიკური დარგის სპეციალისტები. პ. მელიქიშვილი, ანდ. რაზმაძე და ანდ. ბენაშვილი, მაგალითად, პროფესორთა საბჭოს წევრები იყვნენ. მათემატიკის ლექტორობა ჯერ კიდევ 10 მაისიდან ნიენდო არჩ. ხარაძეს, ხოლო 1 აგვისტოდან ალ. ჯანელიძე გეოლოგიის კათედრასთან იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. სხდომაზე გაიჩნა აგრეთვე უნივერსიტეტის სხვადასხვა უწყების ლაბორატორიებთან კავშირის საკითხი. ფაკულტეტებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა წარმოუდგენელი იყო სათანადო ტექნიკური ბაზის გარეშე და პროფესორთა საბჭომ გამოიწვია კიდევ გზა ამ საკითხის მოსაგვარებლად.

1918 წლის 20 ოქტომბერს პ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით შედგა საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და სამკურნალო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა. გაიჩნა სტუდენტთა და თავისუფალ მსმენელთა მიღების საკითხი. ახალ ფაკულტეტს ბევრი მსურველი მიეძალა. ამიტომაც იძულებული გახდნენ დაედგინათ, რომ მსმენელთა რიცხვი 500 კაცს არ ასცილებოდა (აქედან 200 — საბუნებისმეტყველო-მათემატიკური განხრით); ლექციები ელიმინტარულ მათემატიკაში უნდა მოესმინათ იმ პირებს, ვისაც საამისო ცოდნა უნივერსიტეტში შემოსვლამდე არ ჰქონდა მიღებული, ხოლო ვრცელი საუნივერსიტეტო კურსი — სათანადოდ მომზადებულებს. სამკურნალო ფაკულტეტის მსმენელები ანატომიის სრულ კურსს გაივლიდნენ, ხოლო საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ფაკულტეტის მსმენელები — შემოკლებულს.

ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს პროფ. ვარლამ მოსეშვილი. მდიენად — ასისტენტი არჩ. ხარაძე. შემდეგ მასვე დაევალა ლექციების განაწილების ნუსხის შედგენა⁴¹.

1 ნოემბრიდან დაიწყო ლექციების კითხვა გაერთიანებულ საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ და სამკურნალო ფაკულტეტებზე, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სრული უნივერსიტეტის შექმნის გზაზე. მაგრამ ამავე დროს ძალზე ბევრი რჩებოდა გასაკეთებელი. ივ. ჯავახიშვილი კვლავ მოვლენათა მსვლელობის ცენტრში იყო და თანმიმდევრულად ანხორციელებდა თავ-

⁴¹ ა. შანიძე, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, კრებ. „თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918—1928)“, 1928, გვ. 90—91.

დაპირველად დაახულ გეგმას. ახლად ჩამოყალიბებული ფაკულტეტისადმი ქმედითი ზრუნვა მას არ შეუწყვეტია შემდეგშიც. გაერთიანებული ფაკულტეტის 29 აპრილის სხდომაზე გადაწყვეტილება დაფუძნდა ერთმანეთისაგან განცალკევება. საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ფაკულტეტის 6 მაისის სხდომამ დეკანის თანამდებობაზე აირჩია ანდ. რაზმაძე, ხოლო მდივნის მოვალეობა ისევ არჩ. ხარაძეს დაეკალა, რომელიც მანამდე ამ ფუნქციებს გაერთიანებული ფაკულტეტისათვის ასრულებდა.

1919 წლის შემოდგომიდან საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ფაკულტეტს დაემატა სააგრონომიო ფაკულტეტი.

1919 წლის ბოლოს ფაკულტეტის დეკანად ანდ. რაზმაძის ნაცვლად აირჩიეს ანდ. ბენაშვილი.

1920 წლის შემოდგომის სემესტრიდან ფაკულტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნივერსიტეტთან გაიხსნა პარალელური სწავლება რუსულ ენაზე ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მსმენელთათვის, ვინაიდან მთაწრობის დადგენილებით ეს დაწესებულება დაიხურა და მისი ქონება ძირითადად უნივერსიტეტს გადამოეცა⁴².

1921 წელს უნივერსიტეტმა გარკვეული ცვლილება განიცადა: განათლების სახალხო კომისარიატის წინადადებით, საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტები გაერთიანდნენ პედაგოგიურ ფაკულტეტად.

უნივერსიტეტის არსებობის საწყის ეტაპზე საბუნებისმეტყველო-მათემატიკურმა ფაკულტეტმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. ამ ფაკულტეტით ჩაეყარა საქართველოში საფუძველი მეცნიერების ფუნდამენტურ დარგებს. მისი მეშვეობით განხორციელდა უნივერსიტეტში ჯერ სამკურნალო, ხოლო შემდგომ სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ფაკულტეტებისა და ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილების დაარსება.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი ცოდნის შექმნისა და გავრცელების საქმეს ივ. ჯავახიშვილი საქართველოსათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მიზნით მას საჭიროდ მიაჩნია უნივერსიტეტთან სათანადო ინსტიტუტის ჩამოყალიბება⁴³. პროფესორთა საბჭომ ეს საკითხი 1918 წლის 25 ივნისს განიხილა და მიზანშეწონილად სცნო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან სამეურნეო გან-

⁴² ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—98.

⁴³ საისტ. მოამბე, გვ. 31.

ყოფილები: დაარსება⁴⁴. სათანადო სასწავლო გეგმების შემუშავება უფრო მოგვიანებით დაეწყო კომისიას ს. ქურდიანისა, ნ. ნავაშვინის, გ. ქურდიანისა და დ. გედევანიშვილის შემადგენლობით.

1919 წ. 30 მაისს პროფ. ს. ქურდიანის თავმჯდომარეობით გაიშალა უნივერსიტეტის თანამშრომელთა საგანგებო კრება, რომელშიაც მონაწილეობდნენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებულ წარმომადგენლები, აგრონომები და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. კრებამ დაწერილებით განიხილა სამეურნეო განყოფილების პირველი სამი კურსის სწავლების საკითხები⁴⁵.

იმვე წლის ივლისში ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი იყო შემადგომლობა მიწათმოქმედების სამინისტროს ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ქიმიური ლაბორატორიის უნივერსიტეტისათვის გადმოცემის შესახებ. სექტემბრის თვეში ეს ლაბორატორია უნივერსიტეტში მიიღო და პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით იქ დაიწყო აგრონომიული ქიმიის ლაბორატორიის მოწყობა. 1920 წლის შემოდგომისათვის განყოფილებას კიდევ რამდენიმე ოთახი შეემატა უნივერსიტეტის შენობაში, ხოლო შემდეგში დაეთმო მე-1 სართულის ერთი ფართი მთლიანად და მეორე სართულის ხუთი ოთახი.

პროფესორ-მასწავლებელთაგან განყოფილებამ წინადადებულ ნიდაგემცოდნობისა და ზოგად მიწათმოქმედების კათედრაზე მოიწვია დ. გედევანიშვილი, სასოფლო-სამეურნეო მექანიკის კათედრაზე — კ. ამირეჯიბი, მეტყვეობის კათედრაზე — დროებით ზ. ყანჩაველი; პროფ. ს. ქურდიანს, რომელიც უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოდან იყო მოწვეული ბოტანიკის კათედრაზე, დაეკისრა სატყეო ენციკლოპედიის კურსის წაკითხვა. ამგვარად, 1920—1921 სამოსწავლო წელს უკვე მოქმედებდა ოთხი კურსი; მესამე და მეოთხე კურსების გახსნამ გამოიწვია საცდელი მინდვრების გამოყოფის საჭიროება. განყოფილებას დიდი რაოდენობის სტუდენტობა მოაწყდა; ეს კი მუშაობისათვის ახალი ფორმის გამოძებნას თხოვლობდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით 20 მარტს პროფესორთა საბჭომ დაადგინა: „წინადადება მიეცეს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს წარმოუდგინოს საბჭოს დასაბუთებული მოხსენება აგრონომიული დარგის საბოლოო ჩამოყალიბების შესახებ⁴⁶“.

⁴⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქმე 2, ფურც. 38.

⁴⁵ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 23, ფურც. 31.

⁴⁶ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 91.



1920 წლის 29 მაისს პროფესორთა საბჭომ მოისმინა ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და დაადგინა: „სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან დაარსდეს ცალკე ინსტიტუტი, რომლის მიზანია თეორიული კვლევა-ძიება სამეურნეო საკითხებისა და სწავლულ აგრონომთა მომზადება“.

სამწუხაროდ, დასახულმა ღონისძიებებმა ფინანსური ხელშეწყობის გამო, შემდგომი განვითარება ვეღარ ჰპოვეს. 1921 წლის 10 ივლისს პროფესორთა საბჭომ განიხილა უნივერსიტეტის სამეურნეო ინსტიტუტის დებულებისა და სასწავლო გეგმის პროექტი. დაადგინეს: „დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ნაცვლად განყოფილებისა სამეურნეო ინსტიტუტი. დებულებანი სამეურნეო ინსტიტუტის შესახებ მიღებულ იქნეს იმ რედაქციით, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა“⁴⁷.

1921 წლის 25 ივლისს უნივერსიტეტმა განათლების სახალხო კომისარიატისაგან მიიღო ცნობა, რომ აკადემიური ცენტრის მიერ წარმოდგენილი გეგმით უნივერსიტეტში უნდა ყოფილიყო ხუთი ფაკულტეტი და მათ შორის აგრონომიულიც. 29 ივლისის სხდომაზე საბჭომ მიიღო ეს წინადადება. ამ დროიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დარგის დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით არსებობა. ფაკულტეტის პირველ სხდომაზე 1921 წლის 30 სექტემბერს დეკანად აირჩიეს პროფ. პ. მელიქიშვილი.

სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის შემდგომ, ქრონოლოგიურად, უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტი გაიხსნა, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი ცალკე თავში გვაქვს წარმოდგენილი, აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

1923 წელს პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ქიმიო-ფარმაცევტული განყოფილება. პროფ. ი. ქუთათელაძესთან ერთად აქ დიდი მუშაობა გასწია ივ. ჯავახიშვილმა, რომლის დაინტერესებამ და უშუალო მონაწილეობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა განყოფილების დაარსების საქმეში.

არანაკლები დამსახურება მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს უკვე დაარსებული ფაკულტეტებისა და განყოფილებების შემდგომი სრულყოფის საქმეში. ამ მხრივ მისი მოღვაწეობა გამოირჩევა საოცარი შრომატევადობითა და მრავალმხრივობით.

სრული (როგორც ჰუმანიტარული, ისე ტექნიკური დარგების მომცავი) უნივერსიტეტის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება მოი-

თხოვდა გარკვეული წესდების შემუშავებას, რომელიც საქმიანობას ყველა მხარეს უნდა შეეხებოდა.

1918 წლის 13 იანვარს პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული წესდების ნაწილი, რომელიც უნივერსიტეტის საორგანიზაციო მხარეს შეეხებოდა. წლის ბოლოს კი, როდესაც უნივერსიტეტმა ფართოდ გაშალა ფრთები, საჭირო გახდა სრულ წესდების შემუშავება; პროფესორთა საბჭომ ეს საქმე მიანიჭო კომისიას ივ. ჯავახიშვილის, გამგეობის წევრებისა და ანდ. რამაშაძის შემადგენლობით. წესდების ცალკეულ ნაკვეთებს დრო და დრო საბჭო ამტკიცებდა თავის სხდომებზე. არქივში დაცულია ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფი ამ წესდებას სრული ტექსტით⁴⁸.

წესდებას წინ უძღვის საერთო დებულება, რომლის ძირითადი პრინციპებიც ივ. ჯავახიშვილმა ადრე შეიმუშავა. ადრევეა ჩამოყალიბებული წესდება სამეცნიერო-სასწავლო პერსონალის შესახებ, სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისადმი მიძღვნილი თავებიც ასევე წინანდელი რედაქციითაა წარმოდგენილი. მოგვიანებით, 1921 წ. 25 ნოემბერს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური მოხსენება გააკეთა სადოქტორო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ. სხდომამ საჭიროდ სცნო წესდებაში შეეტანათ ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული ორი პუნქტი. სახელდობრ ის, რომ „საჭიროა ხარისხის მაძიებელს წინასწარ თუ ორისა არა ერთი უცხო ენის (დასავლეთ ევროპული) ცოდნა მოეთხოვოს“ და რომ ხარისხის მაძიებლის მიერ „უნდა წარმოდგენილ იქნეს ერთ-ერთი სამეცნიერო გამოცვლევა, საიდანაც ასპირანტის სამეცნიერო კვლევის უნარი უნდა ჩანდეს“⁴⁹.

დიდი წვლილი მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს დანარჩენი თავების შემუშავებაშიც; მათში განსაზღვრულია პროფესორთა საბჭოს, ფაკულტეტის სხდომებისა და უნივერსიტეტის თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობანი.

საერთოდ ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა უნივერ-

⁴⁸ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 10, 13, 49; საისტ. მოამბე, გვ. 436—451. ტექსტს თ. ტაბლიაშვილი 1923 წ. 5 მაისით ათარილებს; ასეა აღნიშნული ჰირველი გვერდის შტამზე, რაც უნივერსიტეტში დოკუმენტის შემოსვლის თარიღს მიუთითებს; მაგრამ თვით წესდება, ჩვენი აზრით, გაცილებით ადრე უნდა იყოს შედგენილი. ტექსტში მოხსენებულია განათლების სამინისტრო ნაცკლად იმჟამად არსებული განათლების სახალხო კომისარიატისა; ეს კი ცხადყოფს, რომ წესდება 1921 წ. 25 თებერვლამდეა შედგენილი.

⁴⁹ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 151; საისტ. მოამბე, გვ. 419—420.



სიტეტის სამეცნიერო და სასწავლო განაწესის დაცვას და მის შემდგომ დახვეწაშიც მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

უნივერსიტეტის საქმიანობის ახალი ფორმების ძიებაში ოციანი წლების შუა პერიოდში თავი იჩინა სწავლების საუნივერსიტეტო ფორმის ეგულვებელყოფის მისწრაფებამ. საბედნიეროდ, აქ დიდი როლი ითამაშა ივ. ჯავახიშვილის პრინციპულმა პოზიციამ და მის მიერ გაწეულმა შრომამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო⁵⁰.

„ივანე ჯავახიშვილის პრინციპული თვალსაზრისის წყალობით — აღნიშნავს პროფ. ს. ჯორბენაძე — იმ წლებში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებს შედეგად არ მოჰყოლია უნივერსიტეტის დაარსებიდან ჩამოყალიბებული სწავლებისა და კვლევის ტრადიციების ხელაღებით უარყოფა“⁵¹.

გარდა უნივერსიტეტის წესდებისა, რომელიც უნივერსიტეტის ზოგად საკითხებს შეეხებოდა, ივ. ჯავახიშვილი მთელი რიგი კერძო განაწესების ინიციატორი, ავტორი ან თანამონაწილე იყო. ზოგ შემთხვევაში მის მიერ წამოჭრილი საკითხები თითქოს და მოულოდნელიც იყო მისი პროფესიის ადამიანისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტრუქტურის ღრმა ცოდნის მეშვეობით, ეს წინადადებები უნივერსიტეტის არსებობის განმსაზღვრელი ხდებოდა.

გამგეობის 1919 წ. 4 ივლისის სბდომაზე ივ. ჯავახიშვილს შემოაქვს წინადადება უნივერსიტეტში მიღების დებულებათა და საგამოცდო პროგრამების დაბეჭდვის აუცილებლობის შესახებ⁵². წლის ბოლოს იგი უნივერსიტეტის კანცელარიის საქმიანობის დამდგენი კომისიის მუშაობაშიც კი მონაწილეობს⁵³.

იმევე წელს ივ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება. მასში განსაზღვრულია ობსერვატორიის სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის მიმართულება.

პრავალმზრივ საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის წინადადება უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებათა შემდგომი ზრდის შესახებ. 1921 წ. 11 ივნისს ივ. ჯავახიშვილი მიმართავს ფაქულტეტის დეკანებს:

„ამით გაცნობებთ, რომ თანახმად პროფესორთა საბჭოს სხდომის დადგენილებისა (ოქმი № 30) თითოეულს ფაქულტეტს დავა-

⁵⁰ საისტ. შოამბე, გვ. 427—436, 467—475.

⁵¹ ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

⁵² ორცსა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2. ფურც. 56.

⁵³ იქვე, ფურც. 108ა.

ლებული აქვს შეძლებისდაგვარად მოკლე ხნის განმავლობაში შე-
იმუშაოს ფაკულტეტთან არსებული ლაბორატორიების, კლინიკე-
ბის, ინსტიტუტების და სხვ. მართვა-გამგეობისა და მოქმედების
დაწვრილებითი ინსტრუქცია და წარუდგინოს პროფესორთა საბ-
ჭოს“.

ერთი თვით ადრე ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა წინადადება ფა-
კულტეტების მიერ შეთანხმებული ტერმინოლოგიების წარმოდგე-
ნის შესახებ⁵⁴. პროფესორთა საბჭომ 1925 წ. 17 აპრილის სხდო-
მაზე აირჩია კომისიები, რომელთაც დაევაღათ დასაბუქდ შრომებ-
ში ერთიანი ტერმინოლოგიის გამოყენება.

ივ. ჯავახიშვილის საქმიანობის დახასიათებისას არ შეიძლება
გვერდი აუღაროთ მისი მოღვაწეობის კიდევ ერთ მხარეს — უნი-
ვერსიტეტის ხარჯთაღრიცხვების შედგენას. საინტერესოა აღინიშ-
ნოს, რომ ამ ხარჯთაღრიცხვებში ერთ-ერთი პირველი ადგილი ლა-
ბორატორია-კაბინეტებისა და აუდიტორიების მოწყობის თანხას გა-
ნეკუთვნება. თანდართულ განმარტებით ბარათებში ყოველთვის
ხაზგასმულია მათი დიდი მნიშვნელობა საბუნებისმეტყველო-მა-
თემატიკური და სხვა ფაკულტეტების საქმიანობის უზრუნველსა-
ყოფად⁵⁵.

ხარჯთაღრიცხვასა და მის განმარტებით ბარათთან ერთად, 1918
წელს ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა და მთავრობას წარუდგინა უნი-
ვერსიტეტის, როგორც უკვე სახელმწიფო დაწესებულების, წესდგე-
ბის ძირითადი დებულებანი.

შემდგომ წლებში ხარჯთაღრიცხვების შედგენა ფაკულტეტე-
ბის მიერ მოწოდებული ცნობების მოხდევით ხდებოდა. პირველი
სიტყვა აქაც ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნოდა და განმარტებით ბარა-
თებსაც ისევე თვითონ ადგენდა. მათგან ბევრი რამ იყო დამოკე-
დებული, და ივ. ჯავახიშვილის წერის საოცრად შინაარსიან მანერას
ბევრჯერ უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაუწყვეტია არც თუ
ისე ადვილად მოსაგვარებელი საკითხი, რა დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდა უნივერსიტეტი ამ მოხსენებით ბარათებს, კარგად ჩანს
პროფესორთა საბჭოს ოქმებიდან, სადაც ხშირად გვხვდება საბჭოს
მადლობები ივ. ჯავახიშვილის მიმართ⁵⁶.

საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, სამკურნალო და სხვა
ფაკულტეტების დაარსებასთან ერთად წამოიჭრა მათი სასწავლო-

⁵⁴ იქვე, საქ. 2, ფურც. 142ა.

⁵⁵ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 564, ფურც. 13—18.

⁵⁶ იქვე, საქ. 2, ფურც. 68, 101.



ექსპერიმენტული ბაზის სათანადო დონეზე დაყენების საკითხი. იმდროინდელ პირობებში ლაბორატორიების, კლინიკებისა თუ სახელობრივ ბინეტების აპარატურითა და მასალებით უზრუნველყოფა რთული პრობლემა იყო და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ათავაჯვარ ხერხს მიმართავდა მის გადასაჭრელად. თითქმის ყოველთვის დონისძიებათა ერთპიროვნული თაოსანი ივ. ჯავახიშვილი იყო ხოლმე.

უნივერსიტეტის გახსნამდე ერთი კვირით ადრე პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა წინადადება შემოიტანა დახურული ან დასახურავი დაწესებულებებიდან უნივერსიტეტისათვის საჭირო ქონების გამოთხოვის შესახებ. განსაკუთრებით ძვირფასი შენაძენი იყო სამხედრო უწყებათა და ამიერკავკასიის უნივერსიტეტიდან გადმოცემული აღჭურვილობა. ყველა ამ საქმეში ივ. ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა. ფრიად დამახასიათებელია სახელმწიფო არქივში დაცული ერთი დოკუმენტი — სამხედრო უწყებიდან გადმოცემული გეოდეზიური ხელსაწყოების სია, რომელშიაც ივ. ჯავახიშვილის ხელით ჩართულია შენიშვნები ამა თუ იმ ხელსაწყოს ვარგისიანობისა ან დაზიანების ხარისხის შესახებ. ბოლოში მიწერილია:

„სახ-ფო ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციის გემოკვების განყოფილებისაგან 1918 წ. 30 მარტს მივიღეთ. ივ. ჯავახიშვილი, ი. უიფშიძე⁵⁷. სიაში შეტანილი შენიშვნების სიმრავლე და ზასი-ათი ნათლად გვეჩვენებს, თუ რა ყურადღებით და პასუხისმგებლობით ვრწმუნობით ჩაუტარებია ივ. ჯავახიშვილს ეს საქმე. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის დაარსებიდან რაღაც ორიოდ თვის შემდეგ უკვე ჰმედიით თაღარიგს იჭერენ მომავალი ფაქულტეტების გახსნისათვის და ამ საქმეს ივ. ჯავახიშვილი მეთაურობს.

ივ. ჯავახიშვილის პირადი კონტაქტებისა და დიდი ტაქტით შედგენილი შუამდგომლობების წყალობით უნივერსიტეტს არც თუ ისე მცირე შენაძენი შეემატა სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებისაგან, განსაკუთრებით ქიმიური ლაბორატორიებისათვის.

პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით ამ მიმართულებით გამოინახა კიდევ ერთი ახალი გზა. პროფესორთა საბჭოს 1916 წ. 17 აგვისტოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „იქ ლაბორატორიები, რომელნიც სხვადასხვა უწყებას ეკუთვნის და

⁵⁷ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 14, ფურც. 83.

რომელთაც დიდი სახელმწიფოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ, უნივერსიტეტს დაუკავშირდნენ და მის ზედამხედველობის ქვეშ შემოვიდნენ, ისე, რომ მათ თავისი პრაქტიკული მიზნებიც შეასრულონ და უნივერსიტეტსაც საშუალება მიეცეს მათი სარგებლობისა და გამოყენებისა⁵⁸.

მოკლე დროში უნივერსიტეტმა სხვადასხვა სამმართველოდანი მიიღო სათანადო ლაბორატორიები. ცენტრალურ და ივ. ჯავახიშვილის ჰიკად არქივში დაცულია მრავალი დოკუმენტი, რომლებშიც ივ. ჯავახიშვილი სთხოვს რიგ დაწესებულებებს უნივერსიტეტისათვის ლაბორატორიების გადმოცემას, პარალელურად მათი ინტერესების დაცვის პირობით. შინაურ ფრინველთა მომშენებელ ამხანაგობის „ორნიტოს“ შუამდგომლობაზე უნივერსიტეტის ეზოს უკანა ნაწილის იჯარით დათმობის თაობაზე (ფრინველების მოსამშენებლად), გამგეობამ 1921 წ. 30 ივნისს გამოიტანა დადგენილება: „დაეთმოს ადგილი უნივერსიტეტის მეორე შენობის ეზოში იმ პირობით, რომ სამეურნეო ინსტიტუტს შეძლება ექნება ისარგებლოს სამოსწავლო მიზნებისათვის „ორნიტოს“ დაწესებულებით“⁵⁹.

მაგრამ ამ გზებით ლაბორატორიების სრული აღჭურვა ვერ მოხვდებოდა, ამიტომ ხშირად იძულებული იყვნენ მოწყობილობა შეესყიდათ კერძო პირებისა თუ დაწესებულებებიდან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ასეთ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილი მოქმედებდა არა მარტო როგორც უნივერსიტეტის იურიდიული წარმომადგენელი, არამედ თავის მხრივაც აწარმოებდა მოლაპარაკებას.

გამგეობის 1919 წლის 27 დეკემბრის სსდომის ოქმში, მავალითად. ვკითხულობთ: „განცხადება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა როზალით მიხაილიდისთან ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის იარაღების შეძენის შესახებ, რომელშიაც მან მის მიერ წარმოდგენილი სიისა და პროფ. პ. მელიქიშვილის დასკვნის თანახმად, აღუთქვა 50.000 მან. ღირებულო აბრეშუმის პარკის მიცემის შესახებ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე“⁶⁰.

მეორეჯან აღნიშნულია: „თანახმად რექტორის წინადადებისა,

⁵⁸ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 43.

⁵⁹ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 108, ფურც. 60.

⁶⁰ იქვე, საქ. 4, ფურც. 112.



უნივერსიტეტის მიერ შექმნილ იქნა ენტომოლოგიის კაბინეტი-სათვის ივანე გეპნერის ხოცობის კოლექცია... პროფ. ივ. ჭავჭავაძის შვილმა განაცხადა, რომ პირადად დაათვალიერა კოლექცია, რომელიც ნეტად ნმვენერი და მდიდარია ტროპიკული ხოცობებით, შეესება აკლია მხოლოდ ადგილობრივი ხოცობებით. უკვე შესაძლებელია საფუძვლიანად მეცადინეობის დაწყება ენტომოლოგიის დარგში⁶¹.

უნივერსიტეტს თავისი ბიუჯეტიდანაც გარკვეული თანხა ჰქონდა გათვალისწინებული საზღვარგარეთ აღჭურვილობის შესაძენად. ჯერ კიდევ 1918 წ. 7 დეკემბერს, ივ. ჭავჭავაძის შვილმა, რომელიც ევროპაში უნდა გამგზავრებულიყო საზავო დელეგაციასთან ერთად, გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მისთვის 70 ათასი მან. გამოყოფის შესახებ საჭირო ლიტერატურისა და სალაბორატორიო ნივთების შესაძენად⁶². ეს საქმე ივ. ჭავჭავაძის შვილმა შემდგომშიც გააგრძელა, მაგრამ უკვე იმ პირობების მეშვეობით, რომელთაც სამსახურებრივი მოვლეობის გამო საზღვარგარეთ ყოფნა უხდებოდათ. ფრიალ დამახასიათებელია, მაგალითად, პარიზიდან ი. გობეჩიას მიერ 1919 წლის 7 ივნისს მოწერილი ბარათი: „ბატონო ივანე! თქვენი მინდობილობა უნივერსიტეტის ლაბორატორიის მოწყობილობის შექმნაზე გადავეცი ბ. გამბაშიძეს, რადგანაც მან გამოაცხადა სურვილი ამ საქმის ინგლისში მოწყობისა“⁶³.

პროფესორთა საბჭოსა და უნივერსიტეტის გამგეობის ოქმებში დ. ლამბაშიძე ხშირად მოიხსენიება⁶⁴. ივლისის თვეში (1920 წ.) იგი საქაროველოში დაბრუნდა. მას პირადად ეწვია ივ. ჭავჭავაძის შვილი, ესაუბრა დაკვეთების თაობაზე. ყოველივე ამის შესახებ მოხსენდა გამგეობის სხდომას⁶⁵. 29 ოქტომბერს ივ. ჭავჭავაძის შვილმა პროფესორთა საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მის სახელზე რომიდან 25 აგვისტოს თარიღით გამოგზავნილი დ. ლამბაშიძის წერილი. ეს უკანასკნელი იუწყებოდა, რომ შეკვეთილია სხვადასხვა სალაბორატორიო ნივთები და საჭიროა ოსმალეთის ეროვნულ ბანკში 1 368 757 მარკის შეტანა. თანხა ძალზე დიდი იყო. საბჭომ ფულის გამოთხოვის თავისებური გზა გამოიხატა: მთავრობაში უნდა მისუ-

61 იქვე, ფურც. 222.

62 იქვე, საქ. 4, ფურც. 2.

63 საისტ. შოამბე, № 38.

64 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 84, 132ა; საქ. 4, ფურც. 177ა.

65 იქვე, ფურც. 212ა.

ლიყო დეკანებისა და კათედრის გამგე მეცნიერთა ჯგუფი და დოქტორწმუნებინა ხელისუფლების წარმომადგენლები საჭირო თანხები გალების აუცილებლობაში⁶⁶. 1919—1920 წწ. უნივერსიტეტის დასამატებითი ხარჯთაღრიცხვის ნახევარზე მეტი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოსაწყობად იყო გათვალისწინებული, რადგან „არც ტფილისში, არც საქართველოს სხვა ადგილას არც ერთი ისეთი დაწესებულება არ არსებობს, რომ ქიმიის, მინერალოგიის, ფიზიოლოგიის და განსაკუთრებით ფიზიკის სამეცნიერო საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებს აკმაყოფილებდეს. ამის გამო თითქმის ყველაფერი სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ხელახლა შესაქმნელი და მოსაწყობია და არც გასაკვირველია, თუ მას ასეთი შედარებით დიდი თანხა სჭირდება“⁶⁷.

ფულის კურსის საშინელი მერყეობა უნივერსიტეტის ისედაც მცირე თანხებს გაუფასურებთ ემუქრებოდა. ამ საქმეში შესაშურო გამჭირაობა გამოიჩინა ივ. ჯავახიშვილმა. „სიტყვიერი განცხადება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა — ეკითხულობთ გამგეობის 1919 წ. 18 ოქტომბრის სხდომის ოქმში — უნივერსიტეტისათვის ხელსაყველი იქნება ოსმალური ლირების გერმანულ მარკებად გადახურდავება და საზღვარგარეთიდან შემოტანილ ნივთებში მიცემა“⁶⁸. 1920 წლის 13 მაისს კი ივ. ჯავახიშვილს გამგეობის სხდომაზე შემოაქვს წინადადება ინგლისური სტერლინგების შექმნის საჭიროებაზე, რომლებიც საზღვარგარეთ დაკვეთილ ნივთებსა და წიგნებს უნდა მოხმარდეს⁶⁹.

გულმოდგინედ ზრუნავდა ივ. ჯავახიშვილი სხვა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისთვისაც. ჯერ კიდევ 1918 წლის მარტის თვეში იგი შეუდგა გეოდეზიური და ფოტოგრაფიის კაბინეტებისათვის საჭირო ფართის გამოძებნას⁷⁰. ამავე წლის 9 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ სპეციალური კომისია აირჩია, რომელსაც უნივერსიტეტის შენობაში სხვადასხვა ფაკულტეტისა და ლაბორატორიის გამწესება დაევალა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდგომ კომისიას ივ. ჯავა-

66 იქვე. ფურც. 126.

67 საისტ. მოამბე, გვ. 371.

68 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 88.

69 იქვე. ფურც. 177.

70 საისტ. მოამბე, გვ. 340.



ბაშვილიც ამოუდგა მხარში და მისთვის ჩვეული ენერგიით წარ-
მართა საქმე. 1919 წლის აგვისტოს თვეში, სამკურნალო ფაკულტეტის
კლინიკების მოწყობასთან დაკავშირებით, მან გამგეობას
საგანგებო სხდომა მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში ჩა-
ატარა. ასეთი გამსვლელი სხდომის მიზანი იყო ადგილზე საქმის
ვითარების საფუძვლიანად შესწავლა და ამის მიხედვით საჭირო
ლონისძიებების გამომუშავება. სხდომას გამგეობის წევრებთან ერ-
თად (ანდ. ბენაშვილი, აკ. შანიძე) ფაკულტეტის წარმომადგენლე-
ბიც ესწრებოდნენ. აზრთა ურთიერთგაცვლის შემდგომ მიღებულა
იყო მნიშვნელოვანი დადგენილებები მიხეილის საავადმყოფოს გა-
დაკეთების, კლინიკების განაწილებისა და სხვათა შესახებ⁷¹.

ვითარების ადგილზე გაცნობისა და ამის მიხედვით გადაწყვე-
ტილების მიღება ივ. ჯავახიშვილის დამახასიათებელი მეთოდი იყო.
1920 წლის აგვისტოში, მაგალითად, მან სამკურნალო ფაკულტეტის
წარმომადგენლის თანხლებით პირადად დაათვალიერა დიაგნოსტი-
კის ახალი აუდიტორია. მშენებელთა მიერ ჩატარებული სამუშა-
ოებით იგი უკმაყოფილო დარჩა, რის გამოც სათანადო შენიშვნები
წარუდგინა გამგეობის სხდომას⁷².

მაგრამ ამ დიდი ადამიანის საქმიანობა გაცილებით კიდევ
უფრო მრავალფეროვანი და ბევრის მომცველი იყო, ვიდრე შემორ-
ჩენილი წერილობითი მასალებით შეიძლებოდა გვემსჯელო. ამ პე-
რაოდში ივ. ჯავახიშვილს სხვა უამრავი მეცნიერული და ორგანი-
ზაციული ხასიათის საზრუნავიც აწვა მხრებზე — სიბრძნისმეტყვე-
ლებისა და შემდგომ პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო და მე-
ცნიერული მუშაობის წარმართვა, სასწავლო კომიტეტისა და სა-
ხელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობა და მრავალი
სხვა: ყოველივე ეს ამ ადამიანის საქმიანობას თითქმის დაუჭერე-
ბელს ჰდის. ნიკოლოდ მიზნის სიდიადემ და თავდადებამ შეაძლები-
ნა მას შეუძლებელი, რომ თვითვე ამ დარგის საქმიანობას არა
მარტო ღირსეულად გაძლოლოდა, არამედ განესაზღვრა კიდევ მათი
განვითარების გზები და საშუალებანი:

71 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 68.

72 იქვე, გვ. 213.



„...აქ მჭიდვ სკოლი კუმიხია მნიხად და
მამავა დაძაძ მხირ აქ მსად ზრე
სწვა მნიხიხოს სხუე ვ, მკსიხე
მიმინაიქა და მნიხიქა დაძმე
ბადა შიხ ჩეუე...“

უნივერსიტეტის შემდგომმა ზრდამ თავისთავად წამოჭრა ტექნიკურა დარგების ჩამოყალიბების საკითხიც, მით უმეტეს, რომ მაშინდელი რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო: დიდ ფინანსურ გაჭირვებასთან ერთად, იგი არც კვალიფიციური კადრებით იყო უზრუნველყოფილი; განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა მასწავლებელთა ნაკლებობა სპეციალურ დისციპლინებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი დაისვა. 1920 წლის ივნისში განათლების სამინისტრომ შექმნა ინსტიტუტის მდგომარეობისა და მისი მომავლის შემსწავლელი სპეციალური კომისია. თავმჯდომარედ დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებად პროფესორთა საბჭომ აირჩია ანდ. რაზმაძე და ნ. ყიფიანი⁷³.

კომისიის 18 ივლისის დადგენილებს ოქმში ვკითხულობთ: „ყოველმხრივ გაარჩია რა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მდგომარეობა, კომისია მიდის დასკვნამდე, რომ არ არის გამორიცხული საკითხის გადაწყვეტა იმ მიმართულებით, რათა მთელი ინსტიტუტი ან რომელიმე ფაკულტეტი შეუერთდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტს“⁷⁴. შემდგომში უნივერსიტეტის და ინსტიტუტის წარმომადგენელთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. უკანასკნელებმა 31 ივლისის სხდომაზე განაცხადეს, რომ „ინსტიტუტის საბჭო საჭიროდ თვლის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას, როგორც მთლიანად ავტონომიური და დამოუკიდებელი დაწესებულებისა“⁷⁵.

⁷³ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 116ა.

⁷⁴ ივ. ყიფიანი, უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში, 1953 წ., გვ. 19.

⁷⁵ საისტ. მოამბე, გვ. 386.

ასეთი გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ უმაღლესი ტექნიკური განათლების წარმატებით მიღება მხოლოდ და მხოლოდ განცალკევებულ, სპეციალურ სასწავლებლებში იყო შესაძლებელი. ეს გადაწყვეტილება ამავე დროს ერთგვარ წინააღმდეგობას შეიცავდა იმ დებულების მიმართ, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება ითვალისწინებდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ჯერ კიდევ „1917 წლის 11 ივლისს თვით პოლიტექნიკუმის წარმომადგენელი რუსეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობდნენ: პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაფართოებას, ინგლისის, ბელგიისა და ამერიკის მაგალითისამებრ, ტექნიკური განყოფილებების მქონე უნივერსიტეტად, — ერთიანი უმაღლესი სკოლის იდეის განხორციელების მიზნით“⁷⁶.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაურკვეველმა პოზიციამ ჩიხში ჩააყენა კომისიის საქმიანობა და ისიც იძულებული გახდა მოეხსნა თავისი რწმუნებები.

შემდგომში პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა დამოუკიდებლად გააგრძელა თავისი საქმიანობა, თუმცა მისი არსებობის საკითხი ისევ ღიად რჩებოდა.

„1921 წელს, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს — წერს ცნობილი ქართველი ინჟინერი პროფ. ივ. ყიფშიძე — კიდევ დაისვა ამ ინსტიტუტის დახურვის საკითხი. განათლების სახალხო კომისარმა წინადადება მისცა თბილისის პოლიტექნიკუმს გაეხსნა ქართული სექტორი, მაგრამ ინსტიტუტმა ეს წინადადება არ მიიღო. ამან ინსტიტუტის მასწავლებელთა შორის გამოიწვია ერთგვარი აურზაური, რადგან მათი უმეტესობა ქართული სექტორის წინააღმდეგი იყო.“

ამის შემდეგ პროფესორთა ჯგუფმა — ტელეტოვმა, ბაბოვმა, ლუკინმა და სპირნოვმა — შეიტანა განცხადება რექტორთან (ალ. დიდებულნიძესთან) და მოითხოვა საბჭოს მოწვევა „რექტორატის შექმნის დასადასტურებლად“⁷⁷. რექტორატში აირჩიეს პროფ. ი. ტელეტოვი, ა. ზაიცევი და ი. ბაბოვი. ალ. დიდებულნიძემ განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ.

შექმნილმა გარემოებამ ხელახლა გააცხოველა კამათი იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტისა თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გზით ჩაყროდა საფუძველი საქართველოში ტექნიკური განათლებას

⁷⁶ იქვე, გვ. 385.

⁷⁷ ივ. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

მნიშვნელოვან საქმეს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა იგ. ჯან-
ვახიშვილის მოსაზრება, რომელიც მან განათლების მინისტრის ამხანაგისადმი 1920 წლის 27 ნოემბერს წარდგენილ მოხსენებით
რაათში ჩამოაყალიბა:

„ეს საკითხი მიზანშეწონილობისა და ქონებრივ-კულტურული შესაძლებლობის თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული, — აღნიშნა და იგი, — რადგან თავისდათავად ორგვარივე გზით, უნივერსიტეტთან დაკავშირებული პოლიტექნიკური დაწესებულებათა საშუალებითაცა და ცალკე არსებულ პოლიტექნიკუმითაც ქვეყნის ნივთიერ კულტურის წარმატებას შესაძლებელია ღირსეულად ხელი შეუწყოს მთავრობამ. ამ ორ გზათაგანის უპირატესობისა და უპიჯობის გადამწყვეტა ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი ცხადია, რომ მხოლოდ მდიდარსა და ხანგრძლივი კულტურის პატრონს სახელმწიფოებს ძალუძთ უნივერსიტეტებიცა და დამოუკიდებელი, ცალკე უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები იქონიონ. საამისოდ მეცნიერთა მოქარბებული თე არა, ისეთს თეორიულსა და საზოგადო საგნებში, როგორც, მაგალითად, უმაღლესი მათემატიკა, მექანიკა, ქიმიკა, ფიზიკა... და სხვა საგნებია, მეცნიერთა ორმაგი რიცხვი მაინც არის საჭირო. ხოლო თე ერთი და იგივე პირნი წაიკითხავენ ამ საზოგადო საგნებს უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკუმში, ეს სწორედ იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი იქნება, რომ ამ ქვეყანას ორი დამოუკიდებელი და სრულებით განცალკევებული უმაღლეს სასწავლებლისათვის ძალა არ შესწევს.“

მეორე ქონებრივი საკითხია. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის ისედაც დიდძალი ფულია საჭირო მანქანებისა, ხელსაწყოებისა და სხვაგვარი მოწყობილობისათვის. ამას უნდა დე ემატოს საზოგადო თეორიული საგნების წამკითხველი პროფესორებისა, დოცენტებისა და ლაბორანტებისათვის ჯამაგირი და იმავე საგნებისათვის საჭირო ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოსაწყობად და შესანახად გაწეული ერთდროული და ყოველწლიური ხარჯები... ცხადია, რომ მხოლოდ ეკონომიურად მდიდარსა და დამწინაურებულს სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთ მეცნიერთა ორმაგი რიცხვი იყოლიონ და ერთი და იმავე საგნისათვის ორკეც ხარჯები გასწიონ. ამგვარი ნამეტნაობის საშუალება ეკონომიურად



ჩამორჩენილ და მეცნიერულად დაუწინაურებელ ქვეყნებს არ აბაღიათ ხოლმე⁷⁸.

უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ანუ საინჟინრო ფაკულტეტის გახსნისათვის ქართული ტექნიკური საზოგადოებაც იღვწოდა. ეს საზოგადოება 1917 წელს შეიქმნა ქართველ ინჟინერთა პატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ. 1919 წლისათვის კი იგი უკვე 150-ზე მეტ წევრს ითვლიდა და ფაქტიურად ქართული საინჟინრო ძალების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.

უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკუმის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ივ. ჯავახიშვილი განიხილავდა სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისითაც:

„საქართველო უაღრესად თავისებური და მრავალფეროვანი ბუნებისა და თვისებების ქვეყანაა, ჯერჯერობით ძალიან ნაკლებ შესწავლილი. უდავოა აგრეთვე, რომ ჩვენ მეურნეობა-წარმოების მხრავ მეტად ჩამორჩენილები ვართ. ასეთს პირობებში მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გაკაფვა და გვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდან. უბრალო მიმბაძველობა და ტენიკის ხელოსნური შესწავლა ვერას გვიშველის. როგორც ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაწინაურებისათვის საქართველოს ნიადაგის თვისებისა, ზორბლუეულობისა, მცენარეთა და ხეხილების ჯიშების, ღვინისა და რძის ნაწარმების, საქონლის ჯიშების მეცნიერული თეორიული დაკვირვებითი შესწავლაა საჭირო, რომ თვითელი მათგანის თვისება და ღირსება-ნაკლი იყოს გამორკვეული და ამისდა მიხედვით მიზანშეწონილი გეგმა შემუშავდეს, ამგვარადვე, ცხადია, ჩვენი სამთამადნო მრეწველობის განვითარების აუცილებელ პირობას საქართველოს მინერალოგიური, პეტროგრაფიული და გეოლოგიურ-ქიმიური შესწავლა შეადგენს. ასეთი თეორიული კვლევა-ძიების წარმოება და გზის გაკაფვა კი უპირველესად უნივერსიტეტს ეხერხება. ცნობილია, რომ რუსეთის ნიადაგმეცნიერულ შესწავლის პირველი და ნიჭიერი სულის ჩამდგმელი დოკუმადევი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და უნივერსიტეტში მუშაობდა. ცნობილია და ამას პროფ. პრიანიშნიკოვიც ადასტურებს, რომ გერმანიის საუკეთესო სამეცნიერო და დამაწინაურებელი აგრონომიული ძალა და კვლევა-ძიება უნივერსიტეტთან არსებულ კათედრებთან არიან დაკავშირებული. უდავოა, რომ

78 საისტ. მოამბე, გვ. 379.

გერმანიის მრეწველობის თანამედროვე აყვავებას უმთავრეს გერმანული ქიმიური მეცნიერების შემოქმედებამ შეუწყო ხელი. ან თვალსაზრისითაც ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის სწორედ რომ საუკეთესო გზა იქმნებოდა, რომ პოლიტეხნიკური მეცადინეობაც უნივერსიტეტთან ყოფილიყო დაკავშირებული. თუ. რიული, საზოგადო-სამეცნიერო დარგების წარმომადგენელი თავიანთ კვლევა-ძიებით გზას გაუკაფავენ და მიზნებს გადაუშლიან პრაქტიკული საგნების წარმომადგენლებს და ამით სამოქმედო გეგმის შემუშავებას გაუადვილებენ.

ამ მხრივ ჩვენს უნივერსიტეტს უკვე დაწყებული აქვს მოქმედება და პროფ. პ. მელიქიშვილის მიერ და მისი თაოსნობით უნივერსიტეტის რაოდენობითი და აგრონომიულ ქიმიურ ლაბორატორიუმში უკვე სამი ქართული მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხია შესწავლილი...“

მოსხენების ბოლო ნაწილში ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ამგვარად უეჭველია, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნების თავისებურება, მისი სიპატარავე და ხალხის და მეცნიერთა შედარებითი მცარე-რიცხოვნება, ქონებრივი სახსრის მომკირნეობა, უნივერსიტეტთან ტექნიკური განყოფილების ან ინსტიტუტის გახსნას გეოკარნახებდნენ და არა ცალკე პოლიტეხნიკუმის შენახვას. ამის განსაზოცნელებლად უნდა საგანგებო გეგმა შემუშავდეს, რომელიც ჩვენი კულტურულ-ქონებრივს სახსართან და მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეფარდებული“⁷⁹. ამ აზრმა მცირე ხნის შემდეგ უკვე იწყო ხორცმსხმა. პროფესორთა საბჭოს 1920 წ. 3 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„წევრების არჩევა კომისიაში, რომელსაც ევალება განიხილოს საკითხი უნივერსიტეტთან მოეწყოს ტექნიკურ ცოდნათა გამაერცლებელი განყოფილებანი. არჩეულ იქმნენ პროფესორები ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ა. რაზმაძე, ალ. დიდებულისძე და ალ. ჯავახიშვილი“⁸⁰.

ივ. ჯავახიშვილის შეყვანა კომისიაში გაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მას დიდი გამოცდილება ჰქონდა საუნივერსიტეტო მუშაობისა და ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა ფაკულტეტების მუშაობასთან. ამასთანავე იგი უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

⁷⁹ საისტ. მოამბე, გვ. 384—385.

⁸⁰ ორცსა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 132ა.



უნივერსიტეტთან ტექნიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების იდეა ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსებამდე ჰქონდა შემუშავებული. ამას ადასტურებს 1917 წ. 12 მაისს უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე მომავლის გეგმებთან დაკავშირებული მისი განცხადება: „შემდეგში შეიძლება სასოფლო-მეურნეობის და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდეს, თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან“⁸¹.

შემდგომ ამ დებულებას ივ. ჯავახიშვილი თანამიმდევრულად აეთმარებდა და პრაქტიკულად ახორციელებდა. სწორედ ამ დებულებით იხელმძღვანელა ახლად არჩეულმა კომისიამ, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია სათანადო პროექტის შესამუშავებლად.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სწორედ ამ ისტორიულმა მოვლენამ გაუხსნა ფართო სარბიელი ქართველი ხალხის სულიერ და ეკონომიურ განვითარებას და დასახა ახალი, ჯერ არნახული პერსპექტივები.

1921 წლის 10 ივნისს პროფესორთა საბჭომ განიხილა კომისიის მუშაობის შედეგები და დაადგინა: „უნივერსიტეტთან დაარსდეს სატექნიკო ინსტიტუტი. წარმოდგენილი დებულებანი სატექნიკო ინსტიტუტისა მიღებულ იქნას უცვლელად. სასწავლო გეგმის შესამუშავებლად არჩეულ იქნას კომისია შემდეგ პირთაგან: პრ. აღ. დიდებულიძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, ლ. ლეიბენზონი, ნ. მუსხელიშვილი“...⁸²

1921 წლის 29 ივლისს პროფესორთა საბჭომ განიხილა სახალხო კომისარიატის დებულებანი უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ, რომლის თანახმად უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტების ნაცვლად ყალიბდებოდა შემდეგი ფაკულტეტები: პოლიტექნიკური, სამკურნალო, სასოფლო-სამეურნეო, სოციალ-ეკონომიური და პედაგოგიური. საბჭოთა ხელისუფლება იწყებდა ფართო ღონისძიებათა გატარებას საქართველოში სწავლა-განათლების მზარდა აღმავლობისათვის; უნივერსიტეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თავის მხრივ ისიც ყოველნაირად მზარს უბამდა ამ დიდ და საჭირო საქმეს. პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნისათვის ყველაფერი მზად აღმოჩნდა. კრების ოქმში აღნიშნულია: „ვინაიდან სამკურნალო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი ჩვენს უნივერსიტეტში

81 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, გვ. 10.
 82 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 148ა.

არსებობს. ხოლო პოლიტექნიკურის გახსნა უკვე გადაწყვეტილი იყო, ამიტომ რეფორმა შეეხება მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს... და აგრეთვე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტსაც⁸³.

წლის ბოლოს უკვე რეალურად დადგა პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსების საკითხი. პროფესორთა საბჭოს 16 ნოემბრის სხდომამ განიხილა კომისიის მოხსენება სასწავლო გეგმის შესახებ. პროფესორთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო: „ნაცვლად განზრახული სატექნიკო ინსტიტუტისა დაარსდეს უნივერსიტეტის სატექნიკო ფაკულტეტი“. მართალია, თვით ფორმა უმაღლესი ტექნიკური განათლების დაწესებულებისა — ფაკულტეტი თუ ინსტიტუტი — პრინციპულ განსხვავებას იმ პერიოდში არ შეიცავდა, მაგრამ საჭირო იყო მომავლის გეგმებში ზოგიერთი შესწორების გათვალისწინება. საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია: „ფაკულტეტის მოსაწყობად შედგეს კომისია უნივერსიტეტის იმ პროფესორთაგან, რომელთაც მომავალს სატექნიკო ფაკულტეტზე სავალდებულო კურსების წაკითხვა დაევალიათ იმ მიზნით, რომ მათ გამოარკვიონ თუ რამდენი განყოფილებისა და კურსის გახსნა იქნება შესაძლო ამ თაგითვე. ამ კომისიის შედგენა და მოწვევა მიენდოს პროფ. ა. დიდებულისს, მიეცეს აღნიშნულ კომისიას უფლება კოორპორაციის წესით მცოდნე პირებისგან თავისი შემადგენლობის შეესებინა“⁸⁴.

აღ. დიდებულისს შეადგინა კომისია ანდ. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის, ანდ. ბენაშვილის, გ. ნიკოლაძის, არჩ. ხარაძის (უნივერსიტეტიდან) და საქართველოს ტექნიკური საზოგადოების წევრების ბ. ჭიჭინაძის, ლ. დიასამიძის, გრ. ქურდიანის, გ. გედევანიშვილის, ვ. კაკაბაძის, ნ. გვარამაძის, ი. ვაწაძის და ივ. ყიფშიძის შემადგენლობით. კომისია მუშაობის დაწყებისთანავე ხელმძღვანელობდა მისაზრებებით, რომელთა არსი, ივ. ყიფშიძის გადმოცემით, შემდეგში გამოიხატებოდა⁸⁵:

1. საბჭოთა ხელისუფლების ახალი გეზის თანახმად მოსალოდნელია, რომ „მომავალში მრეწველობის განვითარება მოხდება მა-

83 იქვე, ფურც. 148ა.

84 ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 153ა.

85 ივ. ყიფშიძე, პოლიტექნიკური ფაკულტეტი, კრებ. „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1916—1928)“, 1928, გვ. 224—225.



სალი და ენერგეტიკის რესურსების ადგილობრივ არსებობის და მოპოვების საფუძველზე“.

2. ამასთან დაკავშირებით საქართველოში, რომელიც მდიდარია ბუნებრივი ნედლეულით და თეთრი ნახშირით, „მოსალოდნელია და აუცილებელი მრეწველობის მრავალი ახალი დარგის შექმნა და განვითარება“.

3. ერთის მხრივ მშენებლობის ტემპები, რომელიც აღებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას და მეორეს მხრივ ქართველი ხალხის მასიური მისწრაფება ტექნიკური განათლებისკენ, „აუცილებლივ საჭიროდ ზღის ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას“.

4. „ასეთი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსდეს ტფილისს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ვინაიდან უნივერსიტეტს უკვე აქვს ამისათვის ნაწილობრივ საჭირო დაწესებულებები — ლაბორატორიები და კაბინეტები და ჰყავს საჭირო ძალები, პროფესორები და დოცენტები, ზოგიერთი საერთო ძირითადი საგნების წასაკეთხად“.

5. პირველი კურსის ტექნიკურ საგნებს ადვილად გაუძლევიან ადგილობრივი საინჟინრო ძალები, „ხოლო უკანასკნელ კურსებზე დასპეციალებისათვის უნდა მოვიწვიოთ უცხოეთიდან სათანადო სპეციალისტები“. გარდა ამისა, ზოგჯერ საჭირო იქნება ადგილობრივი საინჟინრო ძალების გადამზადება საზღვარგარეთ.

კომისიამ მოკლე დროში დაამუშავა ფაქულტეტზე თანამიმდევრულად ასათვისებელ სპეციალობათა სია, შეადგინა სასწავლო გეგმები და საგნების მოკლე პროგრამები. პროფესორთა საბჭოს 30 დეკემბრის სხდომაზე კომისია შემდეგი განცხადებით წარსდგა:

„სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაქულტეტი სამ განყოფილებას უნდა შეიცავდეს: ა. სააღმშენებლოს, ბ. მექანიკურს და გ. სამთამადნოს. რადგანაც სამივე განყოფილების პირველი კურსის მასალა თითქმის ერთი და იგივეა, კომისიას შესაძლებლად მოაჩნია 1922 წლის იანვარში გაიხსნას მხოლოდ ერთი სემესტრი ყველა განყოფილებისათვის საერთო“. საბჭომ მოიწონა წარმოდგენილი დებულებები და დაადგინა ფაქულტეტის გახსნა⁸⁶.

სტუდენტების მიღება ფაქულტეტზე 1922 წლის 7 იანვარს გამოცხადდა: ჩაირიცხა 182 სტუდენტი, მათგან 70 კაცი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. 16 იანვარს შედგა პოლიტექნიკური ფაქულტეტის პირველი სხდომა. აღსანიშნავია, რომ სხდომა

⁸⁶ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 155.

ივ. ჯავახიშვილმა გახსნა, რომელმაც მიულოცა დამსწრეთ უნივერსიტეტის ახალი წარმატება და ილაპარაკა უმაღლესი ტექნიკური განათლების მნიშვნელობაზე საქართველოსა და საერთოდ უნივერსიტეტისათვის. ამავე სხდომაზე ჩატარდა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის არჩევნები. დეკანად აირჩიეს პროფ. ალ. დიდებულიძე, მდიანად ივ. ყიფშიძე

ფაკულტეტს მრავალი რთული საკითხის გადაჭრა მოუხდა — პედაგოგიური პერსონალის სრულად დაკომპლექტება, ლექციების ქართულ ენაზე პირველად წაკითხვის გამო ტერმინოლოგიურ სიმწიფეთა გადალახვა, სპეციალური ლაბორატორია-კაბინეტების მოწყობა და რთული სამეცნიერო კურსების ჩამოყალიბება და სხვ.

თავდაპირველად ფაკულტეტის სამ განყოფილებაზე 9 სპეციალობა იყო გათვალისწინებული. სამშენებლო განყოფილება მოცავდა არქიტექტურულ, საგზაო და ჰიდროტექნიკურ სპეციალობებს. მექანიკური განყოფილება — ელექტრომექანიკურ, ჰიდრომექანიკურ და თერმომექანიკურს, ხოლო სამთო-ქიმიური (ამ სახელწოდებით დაიწყო არსებობა კომისიის დადგენილებაში წარმოდგენილმა სამთამადნო განყოფილებამ) — მეტალურგიულ, სამთამადნო და ქიმიურ-ტექნოლოგიურ დარგებს. ფუნდამენტალურ დისციპლინებს — ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიას და სხვ. პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო-მათემატიკური განყოფილების პროფესორ-მასწავლებლები კითხულობდნენ, რაც შეეხება სპეციალურ საგნებს, მათი გაძლიერება ქართველ ინჟინრებს დაეწავლა. 1922 წ. 3 მარტს პროფესორთა საბჭომ განიხილა საკითხი „პრაქტიკული საგნების მასწავლებელთა მოწვევის შესახებ საზოგადოდ და კერძოდ საპოლიტექნიკო ფაკულტეტისათვის“. დაადგინეს: „პრაქტიკული საგნების მასწავლებელთა და ლექტორთა მოწვევის წესი ყველა ფაკულტეტისათვის განისაზღვროს შემდგენიარად:

ა) განხილულ იქნას ფაკულტეტში ყველა სათანადო საბუნთო კანდიდატისა.

ბ) დაევალოს მას ორი ლექციის წარმოდგენა: პირველი უნდა წარმოდგენილ იქნეს წერილობით და მის შესახებ ფაკულტეტმა თავისი დასკვნა გამოიტანოს და დასამტკიცებლად საბჭოს გადასცეს. მეორე წაკითხულ იქნას საჯაროდ⁸⁷. ლექტორთა შერჩევის ანეთი წესი უზრუნველყოფდა ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას. აღსანიშნავია

⁸⁷ ორცხა (თბ.), ფ. 471, საქმე 2, ფურც. 158ა.

მეორე ღონისძიებაც, რომელიც გამოწვეული იყო ფაკულტეტზე მი-
ღების მსურველთა მოზღვავეებით და სწავლების მაღალი დონის გან-
მტკიცებას ემსახურებოდა. პროფესორთა საბჭოს 1922 წ. 30 ივნის-
ის დადგენილებით ფაკულტეტზე მისაღებ საკონკურსო საგნებად
გამოცხადდა ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია. ამ მიმარ-
თულებით განხორციელებული ღონისძიებები იყო პირველი ნაბიჯი
უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამის სრულყოფის გზაზე. შემ-
დგომში ეს ტრადიცია დამკვიდრდა სხვა ფაკულტეტებზედაც.

1921 წ. 20 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ პოლიტექნიკური
ფაკულტეტის დოცენტად დაამტკიცა ინე ივ. თულაშვილი

1922 წ. მარტში ამავე ფაკულტეტზე გამოყენებითი მექანიკის
ასისტენტად დამტკიცდა ინე. ლ. დიასამიძე, აქსონომეტრიაში —
ჰ. გრიწევსკა, მათემატიკაში — ა. ხარაძე, ფიზიკაში — ვ. ყიფშიძე,
სამთხველოვნებაში — ინე. ივ. ყიფშიძე. შემდგომში მოწვეულ იქ-
ნენ ინიერები: გამოყენებით მექანიკაში — ი. ვაწაძე და გ. კოჩინა-
შვილი, ლაზონების ტექნოლოგიაში — გ. გედევანიშვილი, ფიზიკა-
ში — ნ. აკინფიევი. მოგვიანებით ფაკულტეტს შეემატნენ მ. მაჭავა-
რჩიანი, ა. კალგინი, გრ. წულუკიძე, არჩ. გულისაშვილი და ალ. მუ-
სხელიშვილი⁸⁸. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ნიკოლაძის ღვაწ-
ლი. ეს მრავალმხრივ ერუდირებული მეცნიერი ლექციებს კითხუ-
ლობდა უმაღლეს მათემატიკაში, მხაზველობით გეომეტრიაში, მე-
ქანიკასა და მეტალურგიაში.

ამ ღონისძიებათა შედეგად, უნივერსიტეტის პოლიტექნიკური
ფაკულტეტი მძლავრ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრად გადაიქ-
ცა.

რაც შეეხება ამიერკავკასიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, იგი
თავის უღიმღამო არსებობას 1928 წლამდე განაგრძობდა, რის შემ-
დეგ უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან გაერთიანდა.

⁸⁸ ივ. ყიფშიძე, კრებ. „ტფილისის სახ. უნივერსიტეტი (1918—1928)“,
გვ. 222—228.

„იმ ენის, რომელიც იაყის სამეფო ენაა
შესაფიქსირებელი და განვივიჩინოს, და შეყვანიონ
დაწესივი განვივიჩინოს ამჟამად ეს სვეტიცხოვე
მოღვაწის, ხადგან მას ამისათვის აუცილებელი
საქმის იჩაღი და აწადია.“

მეცნიერული აზროვნების აღმავლობა წარმოუდგენელი იყო კარგად გამართული ქართული სამეცნიერო და უწინარესად კი მოქნილი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის გარეშე. ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ეს საქმე არა ერთი და ორი თაობისა და ათეული წლების გულდამჯდარ სერიოზულ მუშაობას მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფის სწორი გეზით წარმართვას. მისი ამ მიმართულებით ადრეულ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული წერილში, რომელიც მან 1915 წ. 22 ივლისს გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს. მასში გამოთქმულია მოსაზრებები ტერმინოლოგიის დამუშავების ძირითად დებულებათა ირგვლივ, რასაც თან ერთვის ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მანამდე განხორციელებულ ღონისძიებათა მოკლე მიმოხილვა⁸⁹.

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1907 წლიდან („ამ 8 წლის წინადა“) შედგომა ტერმინოლოგიის საკითხების დამუშავებას. თბილისში მას საგანგებო კრებაც კი მოუწვევია 40-მდე კაცის შემადგენლობით, სადაც ყველასათვის სავალდებულო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების საჭიროებაზე გაუმახვილებია ყურადღება. სამწუხაროდ, ამ წამოწყებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ეს იყო მეცნიერის პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთი საგულისხმო ღონისძიება, ფრიალ დამახასიათებელი მისი შემდგომი სისტემატური ტერმინოლოგიური

⁸⁹ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1495.

მოღვაწეობისათვის. თვით კრების მოწვევის ფაქტი ცხადყოფს, რომ ივ. ჯავახიშვილი დასაწყისშივე ტერმინოლოგიის კოლექტიური ძალეებით შემუშავების პრინციპით ხელმძღვანელობდა, რასაც იგი შემდგომში ყოველთვის თანამიმდევრულად ანხორციელებდა.

მართალაა, პირველ ნაბიჯს წარმატება არ მოჰყოლია და კარგა-ხანს მას თვით უხდებოდა ტერმინების ამოკრეფაზე მუშაობა (რასაც იგი, ბუნებრივია, მანამდეც აწარმოებდა), მაგრამ ეს მხოლოდ ოდნავ დასაინანი შეფერხება იყო უფრო ხელსაყრელი ვითარების მოლოდინში.

სხვადასხვა დარგის ქართული სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის მომზადების საქმეს ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულ-განხორციელების საფუძველი შეუქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტთა წრის“ ძალებზე დაყრდნობით, მას შემდეგ, რაც დასრულდა წრის პირველი სამეცნიერო შრომა — ქართული ბიბლიოგრაფია. უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ივ. ჯავახიშვილმა ტერმინოლოგიურ მუშაობაში ჩააბა ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების ქართველ მსმენელთა სამეცნიერო წრე და სხვა უმაღლესი სასწავლებლების (ტექნოლოგიური ინსტიტუტის, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის) ქართველი სტუდენტობა.

სამუშაოს ძირითად ობიექტად მე-18 საუკუნის მწერლობა და საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო დარგის სახელმძღვანელოები იყო არჩეული.

1913 წლის მიწურულისათვის სამეცნიერო წრის წევრებმა და თვით ივ. ჯავახიშვილმაც, რომელიც უფრო ადრეულ ძეგლებზე-დაც მუშაობდა, უკვე იმდენ მასალას მოუყარეს თავი, რომ შეიძლებოდა მათ დაბეჭდვაზე ფიქრიც. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია ექიმ დ. ახვლედიანის 1913 წ. 10 ოქტომბრის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი:

„ქართველ ექიმთა ჯგუფმა ექიმ ვირსალაძის თავმჯდომარეობით გადაწყვიტა სამეცნიერო (საბუნებისმეტყველო და საექიმო) ტერმინოლოგიის შემუშავება. ორი კრება უკვე გვექონდა და მუშაობა დავანაწილეთ სექციებათ. როგორც ვიცი მე — ვ. ვირსალაძემაც დაადასტურა, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობაც თქვენის თავმჯდომარეობით მუშაობს ამ საქმეზე, გვესმის რომ ამ ტერმინოლოგიის დაბეჭდვასაც შესდგომიხართ.

ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ ვიცოდეთ — რა და რა საგნებს შეეხება თქვენი ტერმინოლოგია? რა მასალებით სარგებლობთ, ძველი ლიტერატურით თუ ახლით? თუ ორივეთი? შესაძლებელია ჩვენი და თქვენი მუშაობა ერთნაირია — შესაძლებელია თქვენ მასალა უკვე მზათ გაქვთ და მალე გამოაქვეყნებთ, ჩვენ კი ესლავიწყებთ. თუ კი ასეა, მაშინ ჩვენი შრომა ტყუილი დროს დაკარგვა იქნება.

ამისათვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობანი აღნიშნული საკითხის გასათვალისწინებლად⁹⁰.

როგორც ეტყობა, ივ. ჯავახიშვილი მოცემულ კითხვაზე ზერტულე პასუხით არ დაკმაყოფილდა. მან მიზანშეწონილად ჩათვალა ტერმინოლოგიაზე მომუშავე ექიმთა ჯგუფისათვის საკუთარი მასალებიც გადაეცა. 1915 წ. 22 ივლისის ზემოთ მოყვანილ წერილში, სრულყოფილი ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის ძველი წყაროების გამოყენების აუცილებლობაზე მითითების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი წერს გ. ყაზბეგს: „ჰკითხეთ თ-დ გ. გ. მაღალაშვილს, რომელიც ქართ. (ველ) ექიმთა სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარე არის და ის გიამბობთ, რამოდენა ტანჯვა და წამება გამოიარეს, რომ ქართულად გადმოეთარგმნათ მრავალი ინტიმური და განსაკუთრებით ოსტეოლოგიური ტერმინები და მაინც ხშირად ვერას გახდნენ იმ დროს, როდესაც ძველ ქართულ მწერლობითაგან ამოკრეფილი საანატომიო ტერმინებმა, რომელიც მე შეკრებულ მქონდა და მათ გადაეცემა, მრავალი საკამათო საკითხი საბოლოოდ გამოარკვია“.

ექიმებთან წამოწყებული ეს თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდა. 1919 წელს, უნივერსიტეტში ანატომიის კათედრის გახსნასთან ერთად, საჭირო გახდა ანატომიური ტერმინოლოგიის სასწრაფოდ შედგენა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომებსაც, მ. კომახიძის ცნობით, „ესწრებოდა აგრეთვე პროფ ი. ჯავახიშვილი. კომისიის მიერ დამუშავებულ ტერმინოლოგიას ივ. ჯავახიშვილი უკეთებდა საბოლოო რედაქციას. მოკლე დროში ცალკე წიგნად გამოიცა ანატომიის ტერმინოლოგია“⁹¹. უდავოა, რომ ტერმინოლოგიის ასე სწრაფად დამუშავება გაპირობებული იყო იმ მონაცემების გამოყენებით, რომლებიც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის

⁹⁰ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1614.

⁹¹ მ. კომახიძე, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნელო ფაკულტეტის ორგანიზაცია“. „მნათობი“, 1968 წ., № 9, გვ. 108.



დაარსებამდე ჰქონდათ შეგროვილი ივ. ჯავახიშვილსა და მის თანამოღვაწეებს.

სტუდენტთა წრეების მიერ შეგროვილი მასალის სიმრავლემ ბუნებრივად მოაწვია მისი გადამუშავების აუცილებლობა, რაც ისევ ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით შექმნილმა კომისიამ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, იოს. ყიფშიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერძენი, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა და ვ. ლამბაშიძე) აიღო თავის თავზე.

1915 წ. 12 ივნისს გაზ. „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნდა საპროგრამო წერილი სათაურით „ქართული ლექსიკონის შესახებ“.

წერილის შესაჯავლში აღნიშნულია რომ „ქართული ვრცელი ლექსიკონი არასდროს ისე საჭირო არა ყოფილა, როგორც ესლა“. თუ წარსულში თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველმა ხალხმა შეძლო ენის წმინდად შენახვა ისე, რომ მოხლოდნა, სპარსულსა და სხვა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს მისი საძირკვლის შერყევა. უკანასკნელ ხანებში ცარიზმის მიერ რუსიფიკაციების პოლიტიკის გატარებამ ამ მხრივ რეალური საშიშროება წარმოშვა — „ქართულ სახელმწიფოებრივ, სასამართლო და სამეცნიერო ენის მივიწყების გამო უმრავლესობას აზრი შეეპარა კიდევ. ვითომც მეცნიერების მაღალი აზრების გამოთქმა ქართულად შეუძლებელი იყოს“.

ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „ენა ერის სტიქიური სულიერი ბუნებისა და ძალის გამომხატულებაა და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი, მისი გადაგვარება თვით ერის სულიერ გადაგვარების მომასწავებელია“.

ენის აღდგენა-განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას ავტორები ვრცელი ლექსიკონის შედგენაში ხედავენ, რომელმაც „განსაკუთრებით ძველი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განახლებით და ახლის შექმნით განათლებულს ქართველს მეცნიერების უაღრესის აზრის გამომხატველი სამწერლობო ცოცხალი ენა შეუქმნა ისე კი, რომ ახალ სამეცნიერო ტერმინოლოგიას ჩვენს მრავალსაუკუნოვან მწერლობასთან კავშირი შეწყვეტილი არა ჰქონდეს და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილს ქართველს თავის წინაპართა საკულტურო ნამუშევრის შეთვისებაც გაუადვილდეს“.

ავტორებს ააჭიროდ მიაჩნიათ ძველი ფილოსოფიის, საისტორიო, საბუნებისმეტყველო, სამკურნალო და სხვა დარგების ძეგლებისა და საბუთების, აგრეთვე XVIII—XIX სს. გამოცემული სახელმძღვანელოების შესწავლა და მათგან საჭირო ტერმინების

ამოკრეფა. ცხადია ისიც, რომ ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება მხოლოდ კოლექტიური შრომის შედეგად არის შესაძლებელი.

წერილში ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო დებულებები ამ სასუშაოს ჩასატარებლად: „ნაყოფიერების გულისათვის შრომა მონაწილეთა შორის დარგებისა და მიხედვით უნდა იყოს განაწილებული“. შეგროვილი მასალის შესწავლის შემდეგ, თვითოეულ დარგში სამუშაოს დასკვნით ეტაპზე აუცილებლად არის ჩათვლილი საგანგებო კრებების მოწყობა ამ დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით. ეს კრებები უფლებამოსილი უნდა იყოს ტერმინის საბოლოო სახით დაკანონებაზე. დიდი საერთო ლექსიკონის გამოცემაზე კრებამ მიზანშეწონილად მიიჩნია პატარ-პატარა დარგობრივი ლექსიკონების გამოცემა.

სტატიის ბოლოს აღნიშნულია, რომ ლექსიკონის მასალები შეგროვებისა და გამოცემის საქმეს თავისთავზე იღებენ ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ავ. შანიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე, იოს. ყიფშიძე, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა და ე. ლამბაშიძე. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ „ამ საქმისათვის უკვე მუშაობენ პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტთა ქართული სამეცნიერო წრისა და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების ქართველ მსმენელთა სამეცნიერო წრის წევრები და სხვა უნივერსიტეტების ზოგიერთი სტუდენტები“.

მცირე ხნის შემდეგ, დაახლოებით ივლისის მეორე ნახევარში, მეცნიერთა ამ ჯგუფმა გამოაქვეყნა სამუშაო ინსტრუქცია — „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“.

არაფალი მაგალითი ადასტურებს, რომ ივ. ჯავახიშვილი წყაროებიდან ტერმინების ამომკრებ პირებს თვითონ უდგენდა დაწვრილებით გეგმას, ყოველი წერილმანის გათვალისწინებით (მეთოდოლოგია, წყაროები, მათი მოპოვების გზები და სხვა). ეს კი ტერმინოლოგიაზე მომუშავეთა გააზრებულ და ნაყოფიერ საქმიანობას უზარუნველყოფდა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი სატერმინოლოგიო კომისიის მუშაობა პეტროგრადში 1917 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე მათ წინაშე ახალი დროის შესაფერისი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არ წამოიჭრა. რევოლუციამდელ პერიოდში ივ. ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ ჩატარებულმა მუშაობამ დიდა სამსახური გაუწია ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის

სრულყოფის საქმეს, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა განვითარება. მართალია, პრობლემა საბოლოოდ ვერ იქნა გადაჭრილი, მაგრამ ამ პერიოდში გამოჩნდა ვებულებული ტერმინოლოგიური პრინციპები შემდგომ მუშაობას დაედო ურყევ საფუძვლად.

უნივერსიტეტის საორგანიზაციო საქმემ სატერმინოლოგიო მუშაობა რამდენადმე შეანელა, მაგრამ არ შეუჩერებია — უნივერსიტეტის გახსნამ კიდევ უფრო მწვავედ დასვა მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი.

მოგვიანებით, 1924 წელს, პროფ. პ. მელიქიშვილის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში ივ. ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ: „უნივერსიტეტი ვერ გახდება ქართული მარტო ამას გამო. რომ აქ თავი მოიყარეს ქართველმა მეცნიერებმა და პროფესორებმა. საჭირო იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობისათვის მიგვეწოდებია მეცნიერება სამშობლო ენის საშუალებით, საჭირო იყო ქართულად სწავლება, ლექციების ქართულად კითხვა. უამისოდ ტყუილი იქნებოდა ჩვენი უნივერსიტეტის არსებობა“⁹².

1917 წელს, უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით ქუთაისში მოწვეულმა კრებამ ანდ. რაზმაძის თავმჯდომარეობით საგანგებოდ განიხილა ტერმინოლოგიის საკითხები. აქ ხაზი გაესვა სხვადასხვა დარგის მცოდნეთა და ენათმეცნიერთა თანამშრომლობის აუცილებლობას: „კამათის შემდეგ ერთხმად იქნა დადგენილი, რომ ამ ტერმინოლოგიის შემუშავება შესაძლოდ მიგვაჩნია მხოლოდ თვით მეცნიერული მუშაობის პროცესში. ეს შემუშავება მოხდება მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი მოქმედებს დაიწყებს, პროფესორებისა და ენის მცოდნეთა საერთო, შეთანხმებული ცდით“⁹³.

უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა ტერმინების შემუშავებელი კომისია, რომელმაც მიიღო რეგულაციამდელი ტერმინოლოგიური კომისიის მემკვიდრეობა; მაგრამ ამჯერად სამუშაო ვიწრო დარგებად იყო დაყოფილი. ივ. ჯავახიშვილმა სატერმინოლოგიო მუშაობაში სტუდენტებიც ჩააბა, რომელთა მოვალეობას, პეტერბურგის სამეცნიერო წრის მსგავსად, ტერმინების ამოკრეფა შეადგენდა.

15 ევნისიდან სექტიაში ინტენსიური მუშაობა გაიშალა⁹⁴. ივ.

⁹² ვახ. „სახალხო სიტყვა“, 1924, № 15.

⁹³ საისტ. მოამბე, გვ. 333—334.

⁹⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 14, ფურც. 54.

ჯავახიშვილის შუამდგომლობით ქ. შ. წ. კ. ვამაყრცელელები საზოგადოების გამგეობამ სექციას დროებით სარგებლობაში გადასცემელი ქართული ხელნაწერები. სია ამ ხელნაწერებისათვის⁹⁵ ჯავახიშვილის მიერ იყო შედგენილი და თან ერთვოდა შუამდგომლობას⁹⁶.

სტუდენტთა მიერ ამოწერილმა მასალამ შემდგომში დიდი სამსახური გაუწია მასწავლებელთა საზაფხულო კურსებსა და უნივერსიტეტის საგნობრივ ტერმინოლოგიებზე მომუშავე კომისიებს. ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია არა ერთი მასალა, რაც გარკვეულ წაროდგენას გვაძლევს სექციის მიერ ჩატარებული მუშაობის მასშტაბებსა და მიმართულებებზე⁹⁶. საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა დარგობრივი ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწერილია „წიგნი სააქიმოდან“, „ფეიერვერკიდან“, ი. ბაგრატიონის „ბუნებისმეტყველებიდან“, ვახტანგ VI-ის ქიმიის წიგნიდან, დ. ბაგრატიონის „შემოკლებული ფისიკიდან“ და სხვა ცნობილი შრომებიდან. იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც ეს მასალა მოაგროვეს, განსაკუთრებით ნაყოფიერად უშრომია მიხ. ხანანაშვილს, შემდგომში ცნობილ ქიმიკოსს. აღსანიშნავია მიხ. ხანანაშვილის აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა უნივერსიტეტის გახსნის პერიოდშიაც: პროფესორთა საბჭოს 1918 წ. 13 აპრილის სხდომის ოქმში მას გამოცხადებული აქვს მადლობა ქუთაისის ერთ-ერთი საზოგადოებიდან უნივერსიტეტისათვის ფულის შემოწირულების ორგანიზაციისათვის⁹⁷.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ, საქართველოში სწავლების ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნება სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრობლემას განსაკუთრებით მწვავედ სკოლების წინაშე აყენებდა. სწორედ ამ მიმართულებით წარმართა ძირითადად 1918 წლის აგვისტო-სექტემბერში თბილისში ჩატარებული მასწავლებელთა საზაფხულო კურსების მუშაობა. მის საქმიანობას წარმართავდა განათლების სამინისტროს კომისია (თავმჯდომარე — ივ. ჯავახიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე — დიმ უზნაძე). მასწავლებელთათვის ქიმიის ლექციების ჩატარება მიხ. შალამბერიძეს დაევალა, ფიზიკაში — რ. ხუციშვილს, მინერა-

⁹⁵ იქვე, საქ. 8, ფურც. 19; ივ. ჯავახიშვილის არქივი № 834.

⁹⁶ ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1976, გვ. 62—72.

⁹⁷ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 27ა.

ლოგია-გეოლოგიაში — ნ. ყიფიანს, ხოლო მათემატიკაში — ილ. ჭიშკარიანს.

ტერმინოლოგიის საკითხები კომისიამ 1918 წლის ივლისში განიხილა. ლექტორებს გადაეცათ ის ტერმინები, რომელიც ქართულ უნივერსიტეტთან არსებულმა ტერმინების შემუშავებელმა კომისიამ შეაგროვა.

კურსების მუშაობის ძირითადი მიზანი ტერმინოლოგიის საკითხების გარკვევა იყო. ლექტორებს დაევალიათ მათ მიერ მოწოდებულ ტერმინოლოგია წინასწარ წარედგინათ კომისიისათვის კურსების დაწყების წინ საერთო კრებაზე განსახილველად.

კომისიის უკანასკნელ სხდომაზე, 12 სექტემბერს, მოისმინეს ლექტორების ანგარიშები. მათი შინაარსიდან ნათლად ჩანს, თუ რადი უზრუნველობას იჩენდა ივ. ჯავახიშვილი სექციების მუშაობის მიმართ. ფიზიკის სექციის მოკლე ანგარიშში ვკითხულობთ: „სექციამ ჯერ გაიცნო ის მასალები, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტის მსმენელების მიერ პროფ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით იქნა ამოკრებილი და შემდეგ ტერმინოლოგიის შემუშავებას შეუდგა. ეს საქმე თითქმის დამთავრებულია“⁹⁸.

ქიმიის სექციის ლექტორმა მის. შალამბერიძემ აღნიშნა, რომ კურსებზე ჩატარებული მუშაობის შედეგად 400-მდე ქიმიური ტერმინი იქნა დამტკიცებული და რომ „პატივცემული პროფ. ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ამოკრეფილ და მის მიერ გადმოცემულ სიტყვებიდან მიღებული ტერმინებიც ამ რიცხვში შედის“. ეს ცნობა საკმაოდ ნიშანდობლივია: როგორც შემდეგ დავინახავთ, ტერმინოლოგიის დადგენის საქმეს ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა. ამასთანავე ცხადი ხდება, რომ ამ მიმართულებით მას უფრო ადრე, 1918 წლიდან დღემდე დიდი მონდომებით და ნაყოფიერად უმუშავებდა.

ამ პერიოდში ტერმინოლოგიის საკითხი არანაკლები სიმწვავეით იდგა თვით უნივერსიტეტის წინაშე. განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბების შემდგომ. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს პირველად უხდებოდათ ქართულ ენაზე იმ დარგების ამეტყველება, რომელთა მეცნიერული ტერმინოლოგია ფაქტიურად მანამდე არ არსებობდა. ამ რთულ საქმეში მათ კმედით დახმარებას უწევდა ივ. ჯავახიშვილი. პირადად მისი და სატერმინოლოგიო სექციის მიერ შეგროვილმა მასა-

⁹⁸ ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 2948.

ლებმა დიდი სამსახური გაუწიეს პროფესორ-მასწავლებლებს ლექციების კითხვის პირველ ეტაპზე. ტერმინოლოგიური საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, 1919 წლის ბოლოს რექტორის პოსტზე არჩეულმა ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა საერთო საუნივერსიტეტო ბრძანება, რომლის თანახმად კათედრებზე უმოკლეს ვადაში უნდა შემუშავებულიყო საგნობრივი ტერმინოლოგიები⁹⁹.

რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი ამ პრობლემას, მოწმობს ის ფაქტი, რომ ორიოდე თვის შემდეგ მან პირადად შეამოწმა კათედრების საქმიანობა¹⁰⁰.

მასწავლებელთა საზაფხულო კურსებისა და უნივერსიტეტის კათედრების მიერ შემუშავებულ ტერმინოლოგიებს დროებითი ხასიათი ჰქონდა. მათი გამოყენება ნაგარაუდღევი იყო იმ დრომდე. „სანამ საქართველოს სათანადო დაწესებულება ყველასათვის სავალდებულო ტერმინოლოგიას არ დააქანონებდა“¹⁰¹.

ამ მიზნით განათლების სამინისტროსთან დააარსდა სასწავლო კომიტეტი ცნობილ ქართველ მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით; კომიტეტის თავმჯდომარედ 1920 წ. 10 თებერვალს ივ. ჯავახიშვილი დანიშნა.

უწინარესად საჭირო გახდა ტერმინოლოგიის საყრდენი პრინციპების შემუშავება. კომიტეტის წევრების აზრთა სხვადასხვაობის გამო, ეს არც თუ ისე იოლი იყო. მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა შეძლო ისე წარემართა კომიტეტის სხდომები და მთელი საქმიანობა, რომ მოხერხდა ერთიანი სწორი თვალსაზრისის გამომუშავება.

კომიტეტის პირველმა სხდომამ განიხილა არსებული სახელმძღვანელოების ვადანსიჯვისა და ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხები.

ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით შეეხო ნაკლოვანებებს სკოლების მუშაობაში და მიუთითა როგორც სახელმძღვანელოების შექმნის, ისე ტერმინოლოგიის დამუშავება-დაქანონების აუცილებლობაზე.

სახელმძღვანელოების შესაქმნელად აირჩიეს დარგობრივი კომისიები — ფიზიკისა და ქიმიის (ალ. დიდებულიძე, გ. ნიკოლაძე, რ. ნიკოლაძე, ი. მოსეშვილი, მ. შალამბერიძე, მ. კონიაშვილი).

⁹⁹ ა. ბუხნიკაშვილი, გ. ვერსამია, ე. ლომინაძე. „მიხედნოლია“, 1976 წ., გვ. 7.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ საისტ. მოამბე, № 79.

ალ. ჯავახიშვილი და შ. ქარუმიძე); მათემატიკის (ანდ. რაზმაძე, გ. ნიკოლაძე მ. კონიაშვილი, მ. ჭოლოშვილი და შ. თაქთაქიშვილი); სპეციალური დარგების (ალ. დიდებულიძე, ე. კობახიძე, ილ. ყიფ-შიძე და მ. თაქთაქიშვილი).

ივ. ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ტერმინოლოგიის შემუშავებაში არსებობს ორი პერიოდი: სტიქიური და ნაციონალური. „სტიქიურ პერიოდში ახალ ცნებათა გამოსახატავად ერ-ს ცხოვრებაში იჭრებიან უცხო სიტყვები და არის ბრძოლა მოქალაქეობრივ უფლებათა მოპოვებისათვის. ეს გზა უკვე განვლეთ. მოგვეპოვება ამისი მასალები. ჩვენს ცხოვრებაში იწყება მეორე ხასიათის მღწაობაც — ყველა ცნებათა გამოსახატავად სიტყვების ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენება-შემუშავება“. უკანასკნელის მაგალითად მომხსენებელმა მოიყვანა ახლად გამოცემული ლექსიკონი, გაანალიზა დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაასაბუთა მისი გამოყენების შეუძლებლობა. ამის ძირითად მიზეზად მიაჩნდა ის, რომ ლექსიკონში უარყოფილია, და თანაც „ერთი ხელის დაკვრით“, სტიქიურად ჩვენს ცხოვრებაში შემოსული ტერმინები, რაც არ შეიძლება იყოს მართებული; ასეთი ნაბიჯი მხოლოდ ყოველმხრივი სერიოზული მუშაობის შემდგომ უნდა გადაიდგას. სწორედ ეს პრინციპი უნდა გახდეს მომავალი საქმიანობის წარმართველი ძალა“.

სიტყვის დასაბრუნებს ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ შემდეგ სხდომას იგი მოახსენებდა თავის აზრს ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითად დებულებათა შესახებ¹⁰².

ეს მოხსენება, რომელიც ერთი კვირის შემდეგ წარედგინა სხდომას, ღირსშესანიშნავია არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ღრმა მეცნიერული შინაარსითაც. მასში გააზრებული საკითხები დღესაც სიცოცხლისუნარიანია.

მოხსენების პირველი ნაწილი ეხება ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება-განვითარების წარსულს. ჩვენმა მწერლობამ ტერმინოლოგიის პრინციპები იმ დროიდან იცის, როდესაც იგი ბერძნულ მწერლობასა და ფილოსოფიას დაუახლოვდა. „ჩვენს მწერლობას უფრო ადრე ჰქონდა ენა, რომელიც კარგად და ღრმად გამოხატავდა აზრს, მაგრამ შემდეგ ახალმა მოთხოვნილებამ დაანა-

¹⁰² საქართველოს სსრ ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი (ცსსა), ფონ. 1935, ანაწერი 1, № 16252, ფურც. 18—21.

ხვა ენის უფრო შემუშავების საჭიროება... იოანე პეტრიწი... ახალი ცნებების გამოსახატავად ხმარობდა ქართულ სიტყვებს — ხმარად პირდაპირ სთარგმნიდა, ხან-და-ხან თუ სიტყვა ორნაწილიანად იყო, მაშ-ნაც კი პირველსაც და მეორესაც სთარგმნიდა... მაგრამ ყველა ცნების მონახვას ვერ ახერხებდა და ამისათვის ხშირად ითვისებდა ტერმინს, ზოგჯერ ბერძნულს და ზოგჯერ გადმოქართულებული სამოსელით“. იოანე პეტრიწმა ძველს ქართულ მწერლობაში შექმნა მიმართულება. მას ბაძავდნენ მთელი რიგი მოღვაწეები, მათ შორის ქართული და ბერძნული ენების კარგად მცოდნე ეფრემ მციარეც, რომელმაც ამ ენების შედარების გზით დაიწყო ტერმინოლოგიის დახვეწა.

შემდგომში ტერმინების ახალი ნაკადი შემოდის სხვა სამყაროდან, არაბულიდან და სპარსულიდან თარგმნილი წიგნების მეშვეობით. შეიქმნა ახალი მიმართულება, უცხო სიტყვების უფრო პირდაპირ შემოტანით. XVII საუკუნიდან საერთო გამოცობლების ატმოსფეროში, ითარგმნება მრავალი წიგნი, შეიქმნა ლექსიკონებიც. სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI «კრებენ ქართველ ერის საუნჯეს, ახალს ჰქმნიან ენის მიხედვით... ვახტანგ VI-ს აქვს გადმოთარგმნილი გეომეტრია და სხვა წიგნები, რომელთა ტერმინების შენობა ეხლაც ჩვენთვის ურიგო არ იქნებოდა“.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერდა რუსულიდან თარგმნა. ამ გზით საქართველო დასავლეთ ევროპის კულტურას ეწაფება. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტონ კათალიკოსის მიერ თარგმნილ და დაწერილ საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ წიგნებს.

ამგვარად, XVIII—XIX სს. ჩატარებულმა მუშაობამ შეავსო ის, რაც ძველ მეცნიერულ ტერმინოლოგიას აკლდა თავისი განუთარგმნის ზენიტში — XII საუკუნეში.

განსაკუთრებით საგულისხმოა მოხსენების მეორე ნაწილი, სადაც ივ. ჯავახიშვილი სადღეისო ამოცანებს ეხება. მას მიაჩნია, რომ საჭიროა წარსულის მემკვიდრეობის გარკვეული რაციონალური ნაწილს ათვისება.

მიზნის უკეთესად მიღწევისათვის ივ. ჯავახიშვილი აუცილებლად თვლის წინასწარ ორგვარი მუშაობის წარმოებას. ტერმინების ამოკრედას რაგორც ძველი ნაშრომებიდან, ისე ახალი სახელმძღვანელოებიდან. ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მუშაობის დაწყება. პირველი სახის სამუშაო უკვე იყო შესრულებული უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანე-

ლობით, მასწავლებელთა 1918 წლის ზაფხულის ყრილობისა და იქვე მოქმედი კომისიების მიერ. შერგოვილი მასალა და განსაკუთრებით ლექსიკონები არ შეიძლება დაზღვეული იყოს ხარვეზებისგან, მაგრამ ჩატარებულ მუშაობას ანგარიში უნდა გაეწიოს, რათა გამოიქმნა ვეღვანე მისაღები ვარიანტები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქართული ენის ბუნებასა და აგებულებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ენის დახასიათებას თავსართებისა და საკვეცების მიხედვით.

ივ. ჯავახიშვილმა აუცილებლად მიიჩნია ტერმინოლოგიის შემუშავება სპეციალობათა მიხედვით სათანადო კომისიებში.

ტერმინების შერჩევა მიზანშეწონილია ძველი ქართული მწერლობის მიერ დადგენილი წესით: „იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება და უცხო ტერმინი, რომელიც საკსებით გამოხატავს საჭირო ცნებას და აღმოცენებულია თითქმის ყველა ენებში ბერძნული და ლათინური ენების საფუძველზე, მაშინ იმით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ; ხოლო მას უნდა მივცეთ ქართული ენას აგებულება“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. კონიაშვილმა, ლ. ნათაძემ და ქიმიკოსებმა მ. შალამბერიძემ და ვ. კაკაბაძემ. უკანასკნელმა აღნიშნა, რომ ტერმინოლოგიის შემუშავებას ძირითად სარჩულად ქართული ენა უნდა დაედოს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოქმნილი წესით. მაგრამ იმისათვის, რომ ტერმინოლოგია გასაგები იყოს ხალხისათვის, საჭიროა არა უცხო (ატომი, კათოდი და სხვ.), არამედ ქართული სიტყვების გამოძებნა შესაფერისი ცნებების გამოსახატავად. საწინააღმდეგო მოსაზრებას ემხრობოდა მ. კონიაშვილი: ანოდი, კათოდი, ატომი და სხვ. ქართულ ენაშიაც უნდა დამკვიდრდესო.

მ. შალამბერიძე მისაღებად თვლიდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს, მაგრამ შიშობდა, რომ ტერმინების კომისიებში დამუშავებამ შეიძლება მთლიანობა დაუკარგოს ტერმინოლოგიას.

ლ. ნათაძის აზრით, ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩამოთვლილი თავსართები და პრეფიქსები არა უცხოურს, არამედ ქართულ ტერმინებს უნდა დართოდა¹⁰³. 29 თებერვალს შემაჯამებელ სიტყვაში ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა ორივე მოსაზრების გაუმართლებელი უკიდურესობა, რაც ქვეყნის დადგენას ვერ მოემსახურებოდა. მან გაიმეორა თავისი თვალსაზრისი ძველი ტერმინოლოგიიდან

¹⁰³ ცსსა (თბ.), ფონ. 1935, ან. 1, № 16252, ფურც. 25—27.

სარგებლობის მიზანშეწონილობაზე. აღინიშნა, რომ „თუ ამ გზით ახალი ტერმინოლოგია ვერ შეივსო, საჭირო იქნება უცხო ტერმინების შეთავსება ქართული ენის აგებულების მინიჭებით. ვინაიდან ცხოვრება ღიდი სისწრაფით მიდის წინ და ყოველთვის ახალ-ახალ მოთხოვნილებებს აყენებს ტერმინოლოგიის წინაშე, ამიტომ ეს უკანასკნელი საჩქაროდ უნდა შემუშავდეს. იგი გაეროვნებული უნდა იყოს, მაგრამ, რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში.“

სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გატარებული იყო ი. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული დებულება: „ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა უპირატესობა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ სიტყვას, ანდა ქართული ენის კანონებისამებრ შექმნილ ახალ სიტყვას. როდესაც საჭირო სიტყვა არც ძველსა და არც ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერო, ახალი ტერმინი უნდა იქნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვიდან“¹⁰⁴.

14 მარტის სხდომამ იმსჯელა ტერმინების ამოკრფის წესის შესახებ. ამისათვის საჭირო ინსტრუქციის გამომუშავების საქმე მიენდო აკ. შანიძეს, გ. ახვლედიანსა და ვუკ. ბერიძეს¹⁰⁵.

ეროი კვიციანი შემდეგ აკ. შანიძემ წარმოადგინა ინსტრუქციის პროექტი. მან მიზანშეწონილად ჩათვალა სასწავლო კომიტეტთან ფილოლოგიური განათლების მქონე პირთაგან შემდგარი მუდმივი სატერმინოლოგიო კომისიის დაარსება. კომისიას უნდა განეხილა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიერ შეკრებილი მასალები და მათთან ერთად გადაეწყვიტა ამა თუ იმ სიტყვის ტერმინად ქცევის საკითხი. სხდომის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ კომისიაში თანასწორი უფლება უნდა ჰქონოდათ როგორც სპეციალისტებს, ისე ფილოლოგებს, ან უნდა შექმნილიყო ორი — საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული კომისიები, რომლებიც თავიანთი მუშაობის შედეგს საბოლოოდ შერეულ კომისიაში გადაიტანდნენ და ა. შ.

ი. ჯავახიშვილი თავის გამოსვლაში მოკლედ შეეხო ამ მოსაზრებათა სუსტ მხარეებს და სხდომას მოაგონა, რომ „საქმე ტერმინების დაკანონებიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რომ ტერმინოლოგიის შემუშავება გაგვიადვილდეს“.

¹⁰⁴ იქვე, ფურც. 30—33.

¹⁰⁵ ცსსა (თბ.), ფონ. 1935, ან. 1, № 16252, ფურც. 42.

საქმის დასაჩქარებლად ივ. ჯავახიშვილი აუცილებლად თვლიდა, რომ სატერმინოლოგიო კომისიის დროის დაუეარგავად დაეწყო კომისიებში მოპოვებული მასალებიდან საერთო ტერმინოლოგიის გამოყოფა და მისი დამუშავება. სამწუხაროდ ეს საქმიანი წინადადება სხდომამ უარყო ხმების უმრავლესობით. ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა: „ამ წინადადების უარყოფა მომასწავებელია, რომ ტერმინოლოგიის დროზე ვერ შევიმუშავებთ და კომიტეტის მუშაობა დაჰკარგავს აზრს, რადგანაც ცხოვრება მას ვერ დაუტეის“¹⁰⁶. შემდგომ ნოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე და კომიტეტი იძულებული გახდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას დამორჩილებოდა.

25 აპრილის სხდომაზე ალ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების ტერმინთა რიცხვმა 20 000-ს გადააჭარბა. ასეთი დიდი მასალის მოკლე დროში დასაძლევად ერთადერთი გზა იყო ის, რომ კომისიის წევრებს მხოლოდ აღენიშნათ ტექსტებში სათანადო ტერმინები, ხოლო მათ ამოსაწერად დამხმარე პირები მოეწვიათ.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა მიზანშეწონილად სცნო მის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ გეგმას დაბრუნებოდნენ. კრება უკვე ამჟამად უყოყმანოდ დაეთანხმა მის წინადადებას — „ჯერ გამოიყოს საერთო-სალაპარაკო ტერმინოლოგია ყველა დარგებისა, ის დამუშავდეს და განიწმინდოს და როდესაც ეს მაინც გვექნება, მაშინ დაეიწყოს სპეციალურა ტერმინების დამუშავება“¹⁰⁷.

2 მაისის სხდომაზე აირჩიეს მოთავე სატერმინოლოგიო კომისია ცალკეული კომისიების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ კომისიას დაევალა საერთო ტერმინოლოგიის საჩქაროდ გამოყოფა¹⁰⁸.

სატერმინოლოგიო კომისიის 20 მაისის კრებაზე პრეზიდენტის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ახვლედიანი. მდივნის მოვალეობა დროებით იკისრა მ. შალამბერიძემ. 30 მაისის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილს ეთხოვა კომისიისათვის გადაეცა მისი ხელმძღვანელობით შეგროვილი ძველი ტერმინები. 13 ივნისის სხდომამ იმსჯელა არსებულ ჯაბრკოლებებზე. რ. ნიკოლაძის განცხადებით, მიღებული

106 იქვე, ფურც. 44.

107 ცსსა (თბ.), ფონ. 1935, ან. 1, № 16255, ფურც. 116.

108 იქვე, ფურც. 117.

იყო მხოლოდ ორმოცამდე ტერმინი, კომისიის წევრთა ძალზე სხვაგვარად სხვაგვარად მოსაზრებების გამო.

საზოგადოებრივ არდადეგებამდე ჩატარდა კომისიის ხუთი-სხდომის კომისიის აქტიური მონაწილეობით.

არდადეგების შემდგომ სასწავლო კომიტეტმა დაამტკიცა 400-მდე საერთო და პირველი 260 მათემატიკური ტერმინი¹⁰⁹.

სატერმინოლოგიო მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1921 წ. 13 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ივ. ჯავახიშვილის წინადადებით დაადგინა: „მიეცეს წინადადება ფაკულტეტებს, რომ მათ შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში, მაგრამ არა უგვიანეს მომავალი სემესტრის დასაწყისისა, წარმოადგინონ შეთანხმებული ტერმინოლოგია ფაკულტეტების მიხედვით“¹¹⁰.

რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა მთავრობის დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება შეადგენდა. საბჭოს წევრებად მიიწვიეს ცნობილი ქართველი მეცნიერები: მუშაობას წარმართავდა ივ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე). აქედან იწყება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების ახალი საფეხური¹¹¹.

1921 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა: „თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, აღვადგენთ იმ დაუმთავრებელ მემკვიდრეობას, რომელიც დაგვიტოვა სასწავლო კომიტეტმა, რომლის წევრებიც ჩვენ თითქმის ყველა ვიყავით და რომლის დამთავრებას გვაკისრებს ახალი წესდებაც, სახელდობრ სამეცნიერო ტერმინოლოგიის და ქართულის საერთო ლიტერატურული ფორმების დამუშავებას, დაერწმუნდებით, რომ საქმე დიდი და საპასუხისმგებლო გვაწევს“¹¹².

პირველი ტერმინოლოგია, რომლის გარჩევაც საბჭომ დაიწყო, ქიმიის დარგებს მოიცავდა.

1922 წლის 18 მაისის სხდომაზე ი. მოსეშვილმა ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები ამ ტერმინოლოგიის შესამუშავებლად: 1. ტერმინოლოგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, თუ

109 იქვე, ფურც. 10.

110 იქვე, ფურც. 235—296.

111 ორცხა (თბ.), ფონ. 300, ან. 3, საქ. 1, ფურც. 1.

112 იქვე, ფურც. 3.

როგორ წყდება ეს საკითხი სხვა კულტურულ ქვეყნებში. 2. ქართულ ენაში ბრმად არის ვადმოტანილი რუსული ტერმინები, რომლებიც არ ეგუებიან ქართული ენის ბუნებას. 3. საჭიროა ძველ ქართული ტერმინოლოგიის შესწავლა. 4. ყოველი ტერმინი სასურველია შედარდეს უცხო ენების (ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იაპონური) ტერმინებს.

ივ. ჯავახიშვილმა მიზანშეწონილად ჩათვალა ი. მოსეშვილის მოხსენების დაბეჭდვა და წინასწარ დარიგება საბჭოს წევრთათვის, რათა ყოველი მათგანი გაცნობოდა საკითხს და მომზადებულყო ახრთა გაზიარებისათვის¹¹³. ეს წესი შემდგომში საერთოდ დამკვიდრდა საბჭოს მუშაობაში, რამაც გარკვეული სარგებლობა მოუტანა ტერმინოლოგიურ საქმიანობას.

21 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს ე. კაკაბაძის მიერ თარგმნილი ვერხოვსკისა და სოზონოვის „ქიმია“. ივ. ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა საბჭოს წინაშე აღძრული საკითხის აქტუალობას და განაცხადა, რომ „ყველა სახელმძღვანელო უნდა წარმოდგენილი იყოს განსახილველად, რომ სკოლებში არ გაბატონდეს ყალბი ცოდნა როგორც შინაარსის მხრივ, ისე ტერმინოლოგიისა. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეცადოთ დავაჩქაროთ შეგქმნათ ქიმიის ტერმინოლოგია, რათა ბოლო მოეღოს მიუღებელ და მეტად მავნებელ ჩვენს სკოლებში გამეფებულ ენათა აღრევას“¹¹⁴.

1923 წლის თებერვლისთვის უკვე შეგროვდა ქიმიის ტერმინოლოგიის მასალები. მომზადდა მათემატიკისა და ფიზიკის ტერმინოლოგიები¹¹⁵. საბჭომ ჯერ მათემატიკის, ხოლო შემდგომ ფიზიკის ტერმინოლოგიის განხილვა დაიწყო, ქიმიის ტერმინოლოგიის საბოლოო განხილვა კი იმხანად ველარ მოესწრო.

უმაღლესი მათემატიკის ტერმინოლოგიის შესამუშავებლად 1922 წლის დეკემბრიდან უნივერსიტეტში მუშაობდა სპეციალური კომისია (ანდ. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, არჩ. ხარაძე). 1923 წ. 4 იანვრიდან სამეცნიერო საბჭომ კომისიის დამხმარედ მიავლინა გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე¹¹⁶.

სამეცნიერო საბჭოს 1923 წ. 8 თებერვლის სხდომაზე ანდ. რა-

113 იქვე, საქ. 22, ფურც. 14.

114 ორცხა (თბ.), ფონ. 300, ან. 3, საქ. 23, ფურც. 169.

115 იქვე, საქ. 67, ფურც. 107ა.

116 იქვე, საქ. 60ა, ფურც. 12—13.

ზმამემ მოითხოვა დამთავრებული სამუშაოს განხილვა. მასალის სრულიდის გამო, მიზანშეწონილად ჩაითვალა მხოლოდ სადავო ტერმინების განხილვა.

15 თებერვალს ანდ. რაზმაძემ გააკეთა მოხსენება მათემატიკური ტერმინოლოგიის შემუშავების პრინციპების შესახებ და წარმოადგინა 41 სადავო ტერმინი. ტერმინების განხილვის პროცესში საბჭოს წინაშე წამოიჭრა საკითხი: განიხილონ მხოლოდ სადავო, თუ საერთოდ ყველა ტერმინი.

თავის სიტყვაში ივ. ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც საბჭოს აწევს და რომ „შემდგენილი უფრო ტერმინის შესახებ აღძრულ დავას პასუხი უნდა მისცეს სამეცნიერო საბჭომ. ამისათვის დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უვარგისი ტერმინი არ გავიტანოთ ხალხში, თორემ წამდაუწუმ, ან ადვილად ტერმინის შეცვლა მომავალში შეარყევს ტერმინოლოგიის სიმკვიდრეს და არევ-დარევს კვლავ ჩვენს ენას. ამ დიადი ქართული საქმის საკეთილდღეოდ დამთავრება გვევალეზს უემქველად მეტრს მოფიქრებით გავითვალისწინოთ მდგომარეობა“¹¹⁷. კოლექტიური თანამშრომლობის იდეას ივ. ჯავახიშვილი თანამიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ტერმინოლოგიური საქმიანობის დაწყების პირველივე დღიდან და ამ შემთხვევაშიაც ამ დებულებიდან გამოდიოდა. საყურადღებოა მეორე გარემოება: თუ აღრეულ ეტაპზე ივ. ჯავახიშვილი აჩქარებდა ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეს, ახლა, როდესაც ერთ-ერთი ტერმინოლოგია თითქმის მზად იყო, მოითხოვდა უფრო დადინჯებულ მუშაობას, რათა სიჩქარით რაიმე არ წამხდარიყო.

22 თებერვლის სხდომაზე საბჭომ მათემატიკური ტერმინოლოგიისათვის გამოტანილი დადგენილება განაზოგადა სხვა ტერმინოლოგიებისთვისაც: „საჭიროა კომისიების მიერ სპეციალობის მიხედვით დამუშავებული ტერმინოლოგიიდან, რომელიც უნდა დაიბეჭდოს ჰექტოგრაფზე და დატურიგდეს წევრთ წინასწარ განსახილველად, ამოკრეფილი იყოს სადაო ტერმინები და მხოლოდ ესენი იყოს გარჩეული პლენუმში“. ამავე სხდომაზე აღინიშნა, რომ უვეე დამზადდა განსახილველად ქიმიის, ფიზიკისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია¹¹⁸.

22 მარტის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა გაიმეორა თავისი მო-

¹¹⁷ იქვე, საქ. 61, ფურც. 101.

¹¹⁸ ორცხა (თბ.), ფონ. 300, ან. 3, საქ. 61, ფურც. 107ა.

საზრება ტერმინოლოგიის საბჭოზე განხილვის აუცილებლობის შესახებ და სამუშაოს გადავიღების მიზნით ასეთი გეგმა წარმოადგინა: „1. ყოველმა წევრმა გადაიკითხოს ტერმინოლოგია და დაინშნოს ის ტერმინი, რომელსაც ის არ ეთანხმება. ასეთ ტერმინთა სიას შევადგენთ შემდეგ კრებაზე და შევუდგებით მათ განხილვას. 2. საჭიროა მსჯელობა ვიქონიოთ ძირითად ტერმინებით, რომელთაგანაც ნაწარმოებია სხვა ტერმინები, მათი მიღების შემდეგ ტერმინების განხილვა გაგვიადვილდება. 3. წარმოდგენილი ტერმინოლოგიის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ტერმინოლოგია, რომელიც სასწავლო კომიტეტმა დააკანონა, რადგანაც ამ უკანასკნელს უკვე სამი წლის პრაქტიკა აქვს სკოლის ცხოვრებაში. მათი ადვილად გამოდევნა ძნელია. მათი შეცვლა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ახალ ტერმინებს აქვს უპირატესობა“.

მსჯელობის შემდეგ საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ივ. ჯავახიშვილის გეგმის პირველი ორი მუხლი შევიდა¹¹⁹.

29 თებერვლიდან საბჭო შეუდგა ანდ. რაზმაძის მიერ წარმოდგენილი მათემატიკური ტერმინოლოგიის განხილვას. ამრიგის თვის ერთ-ერთ კრებაზე ივ. ჯავახიშვილმა კვლავ აღძრა საკითხი სასწავლო კომიტეტის მიერ დადგენილი ტერმინების მხედველობაში მიღების აუცილებლობის შესახებ. საჭიროდ ჩაითვალა სასწავლო კომიტეტისა და მათემატიკური კომისიის ორივე პროექტის შედარება და საჭირო ტერმინის ამორჩევისათვის შემდეგი დებულებით ხელმძღვანელობა: „1. თუ ტერმინებში ორგანვე თანხმობაა, უდავოდ იქნეს მიღებული. 2. სადაც განსხვავებაა და არსებობს ორი ტერმინი — საერთაშორისო და ქართული, და უკანასკნელი უკანონოთ (ენის მხრივ) არის წარმოებული, მიღებული იქმნას უდავოდ მხოლოდ საერთაშორისო, ქართული კი უარყოფილ იქნას. 3. თუ ორი სხვადასხვა ტერმინია, მაშინ ის იყოს მიღებული, რომელიც ქართულ ენის თვალსაზრისით კანონიერად არის ნაწარმოები“. ეს წინადადებანი მსჯელობის შემდეგ უცვლელად მიიღეს¹²⁰.

1924 წლის დასაწყისში ივ. ჯავახიშვილმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოს განათლების სახალხო კომისარს მათემატიკური ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ.

საბჭომ განიხილა აგრეთვე ფიზიკის ტერმინოლოგია და გადა-

¹¹⁹ იქვე, ფურც. 129.

¹²⁰ ორცხა (თბ.), ფონ. 300, ან. 3, საქ. 62, ფურც. 5ა.

სინჯა ლ. ცაგარლის მიერ 1920 წ. გამოცემული სამხედრო ტერმინოლოგია. ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსიკონით დიდად დაინტერესდა პატივცემული ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც თავის რჩევა-დარიგებით დიდი დახმარება გაიწია და სამხედრო ტერმინების და სიტყვების საკუთარ კრებულის თხოვნებით საშუალება მომცა ზოგიერთი ტერმინებით შესარგებლად, დიდს მადლობას ვუძღვნი ასეთ ზნეობრივ და მასალებით დახმარებისათვის ბ-ნ პროფესორს¹²¹.

ამ ტერმინოლოგიების გარჩევა-განხილვა საბჭომ ძირითადად 1924 წლის მიწურულისთვის დაამთავრა.

1925 წლის დასაწყისში განათლების სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა სამეცნიერო საბჭოს გადახალისება.

თავისი არსებობის მანძილზე საბჭომ შესძლო სამი ლექსიკონის გამოქვეყნება, ხოლო დასამუშავებლად მოამზადა რამდენიმე უოველივე ამან საკმაოდ მტკიცე საფუძველი მისცა ტერმინოლოგიური საქმიანობის ნაყოფიერად გაგრძელებას.

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს, ტერმინოლოგიაზე მუშაობა მას აციტოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

განსაკუთრებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის ზრუნვა ქიმიის ტერმინოლოგიის დადგენისათვის. ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისიდან მისი თაოსნობით უნივერსიტეტში დაარსებულმა სატერმინოლოგიო კომისიამ სხვა დარგების ტერმინებთან ერთად ქიმიის ტერმინების შეგროვება-დამუშავებასაც მიჰყო ხელი. შეგროვილი მასალა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სექტემბრის თვეში ივ. ჯავახიშვილმა გადასცა მასწავლებელთა კურსების ლექტორს ქიმიის დარგში მიხ. შალამბერიძეს ქიმიის სასკოლო ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. მ. შალამბერიძემ კურსების მუშაობის პერიოდში ამ ტერმინთა რიცხვი 400-მდე გაზარდა, რის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა შემდგარიყო „ერთგვარ შეთანხმებაზე დამყარებული ტერმინოლოგია, რომელსაც დროებითი ხასიათი ჰქონდა, სანამ საქართველოს სათანადო დაწესებულება ყველასთვის სავალდებულო საერთო ტერმინოლოგიას არ დააკანონებდა“¹²².

სასწავლო კომიტეტისა და სამეცნიერო საბჭოს მუშაობის პერიოდშიაც ივ. ჯავახიშვილი, საერთო ხელმძღვანელობის გარდა, უშუალოდ მონაწილეობდა ქიმიური ტერმინების შეკრება-დადგე-

¹²¹ ლ. ცაგარელი, „სამხედრო-ტერმინოლოგიური ლექსიკონი“, 1920 წ., გვ. 461.

¹²² ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 2948, ფურც. 11, საისტ. მოკმბე, № 79.

ნის საქმეში. პროფ. იოვ. ქუთათელაძის მიერ 1930—1931 წწ. გამოქვეყნებულ „ქიმიის ტერმინოლოგიის მასალების“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მართალია, პატივცემული პროფ. ივ. ჯავახიშვილი ნიშნული მუდამ ცდილობდა და განსაკუთრებით კი ამ ხუთი წლის წინათ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა ქიმიის ტერმინოლოგია, მის განკარგულებაში იყო კიდევ ქვემოთ მოყვანილი მასალები, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო ამის განხორციელება“...

ეს სიტყვები მრავალმხრივ არის საყურადღებო. „ქიმიის ტერმინოლოგიის მასალები“ წარმოადგენდა პირველ ქართულ ნაბეჭდ შრომას, რომელიც უშუალოდ ქიმიის მიეძღვნა. მასში ივ. ჯავახიშვილის მიერ გაწეული ღვაწლის მოხსენიება ბევრისმეტყველია. მართალია, ივ. ჯავახიშვილმა ვერ შეძლო თავის დროზე ტერმინოლოგიის გამოქვეყნება, მაგრამ მის მიერ დამკვიდრებულმა საფუძველმა სამახხური გაუწია საქართველოში ქიმიური აზროვნების წინსვლის საქმეს. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის შტრუქტურაობა ქიმიური ტერმინოლოგიის მიმართ მისი სიცოცხლის ბოლომდე არ შენელებულა. ი. ქუთათელაძე სამართლიანად აღიარებს, რომ „მასალების დამუშავებაში დაუფასებელი დახმარება აღმომიჩინა პატივცემულმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა, რომელსაც ეთხოვ მიიღოს ჩემგან გულწრფელი უღრმესი მადლობა“¹²³.

ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიური საქმიანობის ახალი საფეხური დაიწყო 1934 წ. 16 იანვარს, როდესაც იგი თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილების გამგედ დაინიშნა¹²⁴. ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია მრავალი საბუთი, რომელიც მის მუშაობას ასახავს. არაერთი მიმართვაა ინსტიტუტისა მის სახელზე რუსულ ენაში დამკვიდრებული სხვადასხვა ქიმიური ტერმინისათვის ქართული შესატყვისის გამოძებნის შესახებ. ყოველ მიმართვას თან ერთვის რუსული ტერმინების სია ივ. ჯავახიშვილის ხელით მინაწერი ქართული ტერმინით. ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა ამ ინსტიტუტში სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

ცენტრალური სამეცნიერო-ტერმინოლოგიური კომიტეტის მოვალეობა 1936 წლიდან დაევალა სამეცნიერო ტერმინოლოგიის

¹²³ იოვ. ქუთათელაძე, ქიმიის ტერმინოლოგიის მასალები, 1930—31 წ. გვ. 1.

¹²⁴ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 108.

განყოფილებას, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა. 1941 წლიდან ეს განყოფილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს გადაეცა. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხებში პროფ. ვუკ. ბერიძე. მისი ენერგიული და მრავალმხრივი მოღვაწეობის წყალობით ამ განყოფილებამ სხვადასხვა დარგის ორმოცამდე სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონი გამოაქვეყნა¹²⁵. მასთან ერთად საკმაო შრომა გასწია ამ მხრივ ტექნიკური დარგის ბერძნულ-მუშაკმა: რ. ნიკოლაძემ, დ. გვარამაძემ, ვ. კაკაბაძემ, ივ. ბერიძემ და სხვ. მტკიცება არ უნდა, რომ თუ ჩვენ დღეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის საქმეში წელგამართული მდგომარეობა გვაქვს, ეს უწინარესად ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ მიმართულებით გაწეული დიდი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის შედეგია.

რასაკვირველია, ტერმინოლოგიაზე მუშაობა, მისი სრულყოფა და გამდიდრება მომავალშიაც გაგრძელდება. ამ მხრივ საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ ივ. ჯავახიშვილის ნამოღვაწარი კიდევ იტყვის ახალ სიტყვას. ასეთი თითქოს და უცნაური განცხადებო-სათვის სრულიად რეალური საფუძველი გვაქვს. 1940 წლის 1 იანვარს, ე. ი. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, ივ. ჯავახიშვილმა (მაშინ შ. რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორმა) ხელშეკრულება გააფორმა ენიმკის დირექტორთან აკად. ს. ჯანაშიასთან სხვადასხვა დარგის 12 ლექსიკონის გამოცემის თაობაზე. ს. ჯანაშია, როგორც ერთგული მოწაფე, თავის მასწავლებელს ივ. ჯავახიშვილს არაერთხელ ამოდგომია მხარში. ახლაც, ენაიდან შ. რუსთაველის სახ. მუზეუმს საშუალება არ ჰქონდა დაეზღუდა ტერმინოლოგიური მასალები, ამ საქმეს ს. ჯანაშია იღებდა თავის თავზე.

„... რუსთაველის მუზეუმის დირექტორის მ. ა. აცხადებს, — კვითხულობთ ხელშეკრულების ტექსტში — რომ ენიმკის ინსტიტუტისათვის გადაცემული სხვადასხვა დარგის ყველა ქართულ ხალხური ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონები... საერთო

¹²⁵ რ. ლამბაშიძე, ქართული სიტყვის კულტურის მასალები, წიგნი II, 1972 წ., გვ. 14.

მოცულობით 3416 ხელნაწერი სასკოლო რეველის სიდიდის... შედგენილია მისივე ინსტრუქციის თანახმად მთელს საქართველოში 1935 წ. გაგზავნილი ექსპედიციის მიერ შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის ჩაწერილ მასალებზე დაყრდნობით, რომ იქიდან გამოსაწერი სალექსიკონო მასალა და განმარტება მის მიერ ხაზგასმული ამ ჩანაწერებიდან სათანადო მითითებით რუსთაველის მუზეუმის მეცნ. მუშაკთაგან არის ამოღებული და მისივე ხელმძღვანელობით არის ეს ამონაწერები ანბანის რიგზე დალაგებულ-დაწერილი, რომ რუსთაველის მუზეუმის იგივე დირექტორის შ. ა. კისრულობს ამ ლექსიკონზე პასუხისმგებლობას და თავისთავსაც ვალდებულად თვლის ამ გამოსაცემად დამზადებული ლექსიკონების საბოლოო რედაქციის ტვირთიც მიიღოს.¹²⁶

მოყვანილი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურება ქართული ხალხური ტექნიკური ტერმინების გამოვლენასა და გამოსაცემად მომზადებაში. როგორც ვიცით, ივ. ჯავახიშვილი თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავებისას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ძველ ქართულ მექვიდროებას, რაზედაც უკვე ვეჭონდა საუბარი.

შინამრეწველობის მასალების დამუშავებით კი ივ. ჯავახიშვილს წარსულის ინფორმაციის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი წყარო — ხალხში შემორჩენილი ძველი ტერმინოლოგია ამოჭონდა მზის სინათლეზე და მას მეორე სიცოცხლეს უბრუნებდა.

იმ ხანებში იგი პროფ. ვ. დონდუას წერდა: «ვერ აგიწერთ, რა უხვი, მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა — მრავალი ახალი ტერმინი და გამონათქვამებია ჩაწერილი, ურომლისთადაც ქართ(ულ) სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება.. თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისთადაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართ(ულ) სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას ვააყეთებს»¹²⁷.

ივ. ჯავახიშვილმა ექსპედიციის მიერ ჩამოტანილ აურაცხელ მასალაში პირადად ამოარჩია ამოსაწერი ტერმინები თავისი განმარტებებით. შემდეგ მუშაობა შ. რუსთაველის სახელობის მუზეუმში გაგრძელდა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის

126 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1097.

127 „მნათობი“, 1968 წ., № 9, გვ. 137—138.

წერილი ვ. დონდუასადმი: „მუზეუმისთვის საბიბლიოთეკო კატა-
კები გვჭირდება — ტერმინების წყაროებიდან ამოსაწერად...“
ჯერობით 40 000 ცალი უნდა შევიძინოთ“¹²⁸.

როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილ-
მა ტერმინების ანბანის რიგზე დალაგებაც მოასწრო და გამოსაცემად
დამზადებული ლექსიკონების საბოლოო რედაქციასაც აპი-
რებდა, მაგრამ საუბედუროდ, არ დასცალდა არა მარტო ტერმინო-
ლოგიის, არამედ ბევრი სხვა სასიკეთო საქმის დაგვირგვინება. შემ-
დგომი დროის მოვლენებმა (სამამულო ომი, ს. ჯანაშიას გარდაც-
ვალება და ა. შ.) კი საბოლოოდ შეაფერხა ამ ლექსიკონების გამო-
ცემა.

„ასალ-ასალი წიგნების შექენაზე ქსრუნველობა“...

„...სამერიკის დედა... სხვის ვინა...
ყოფილი მათი სხვის სხვისაჲს ზეჲი ეს აღაჲ მოქილა...“

1967 წელს, დაარსების 50 წლისთავზე, ჩვენი უნივერსიტეტის
წიგნადი ფონდი 2,5 მილიონზე მეტ ერთეულს ითვლიდა. უნივერ-
სიტეტის გახსნისას კი ბიბლიოთეკა საერთოდ არ არსებობდა.

კარგი ბიბლიოთეკის შექმნა ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ უპირ-
ველეს საზრუნავს წარმოადგენდა ჯერ კიდევ უნივერსიტეტის და-
არსებამდე. ამიტომ იყო, რომ უნივერსიტეტის გახსნის მეორე დღესვე
სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომამ ლექციების განა-
წილების განრიგთან ერთად, ბიბლიოთეკის ჩამოყალიბების საკი-
თზეც განიხილა. პირველ გამგედ პროფ. გ. ახვლედიანი დანიშნა.

ითვალისწინებდნენ რა შემდგომ სემესტრებში საბუნებისმეტ-
ყველო-სამათემატიკო და სხვა ფაკულტეტის გახსნას, უნივერსი-
ტეტის მესვეურნი თავიდანვე ზრუნავდნენ მათი საჭირო ლიტე-
რატურით უზრუნველყოფაზე. 1919 წლის მაისისათვის წიგნა-
ცავს უკვე ათასობით წიგნი მოეპოვებოდა, კერძოდ, ქიმიის
დარგში.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, მათ შორის ტექნიკური ხას-
ათის ლიტერატურის შევსება კერძო პირთა, სახელმწიფო და სხ-

¹²⁸ იქვე, გვ. 140.

ზოგადობრივ დაწესებულებათა შემოწირულებისა და დაკვეთა-გამოწერის გზით ხდებოდა.

ბიბლიოთეკის სრულყოფის საქმეს ივ. ჯავახიშვილი მომეტე-ბულ ყურადღებასა და დროს უთმობდა. მის მიერ 1920 წელს შედ-გენილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ იგი პირადად გასცნობია თბი-ლისის სხვადასხვა დაწესებულებათა ბიბლიოთეკებს და დიდი რა-ოდენობით გამოუვლენია წიგნები, რომლებიც მათთვის პირველი მთავრობის საჭიროებას არ წარმოადგენდა, უნივერსიტეტი-სათვის კი ძვირფასი შენაძენი იქნებოდა. ივ. ჯავახიშვილი მისთ-ვის ჩვეული ტაქტით მიმართავს დაწესებულებათა ხელმძღვანე-ლებს — დაუთმონ უნივერსიტეტს წიგნები, რომელთა ვაცემით შემოწირველთა ბიბლიოთეკა არ დაზარალდება.

ამ მიმართებებმა საჭირო გამოხმაურება ჰპოვა და მოკლე ხანში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წიგნების საგრძნობი ფონდი შეემა-ტა — თბილისის I გიმნაზიიდან 360 დასახელების 602 წიგნი, კავკასიის საოლქო შტაბის ბიბლიოთეკიდან — 5799 ტომი, ლიკანის სასახ-ლიდან — დიდი მთავრის ბიბლიოთეკა 2361 ტომის რაოდენობით და სხვ.¹²⁹

1918 წლის მაისში საკათალიკოსო საბჭოს სახელით დეკანოზი კალ. ცინცაძე აუწყებს ივ. ჯავახიშვილს, რომ მისი თხოვნა დაკ-მაყოფილებულია და სასულიერო სემინარიის წიგნების უნივერსი-ტეტისადმი გადაცემა მოხდება საგანგებო კომისიის მეშვეობით. მოკლე დროში კომისიამ ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით ამოარ-ჩია საჭირო წიგნები და ისინი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გა-დაეცა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საბუნებისმეტყველო და ტექ-ნიკური ფონდის განსაკუთრებულ შენაძენს წარმოადგენდა პრო-ფესორების ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის ქიმიური დარ-გის ბიბლიოთეკები.

1918 წლის 25 სექტემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-ზოგადოების გამგეობას ივ. ჯავახიშვილმა გაუგზავნა შემდეგი სა-ხის წერილი: „უნივერსიტეტის გამგეობა გთხოვთ გადმოსცეთ უნივერსიტეტის სასარგებლოდ თქვენს მუზეუმში დაცული წიგ-ნები პროფ. პ. მელიქიშვილის, განსვენებულის პროფ. ვ. პეტრია-შვილის და მრევლიშვილის. ეს წიგნები უნივერსიტეტს დიდად

¹²⁹ გ. ბაქრაძე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, კრებ. „ტფილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტი (1918—1928)“, 1928, გვ. 273—276; საისტ. მოამბე, გვ. 343.

ესაჭიროება, რადგანაც გაიხსნა საბუნებისმეტყველო და საშეუ-
ნეო ფაკულტეტები.

1919 წლის პირველ ნახევარში პროფ. ვ. პეტრიაშვილის ბიბ-
ლიოთეკა უნივერსიტეტმა ჩაიბარა. ამ აქტში გარკვეული შინა-
არსი იყო ჩაქოვილი: რეალური სახის კიდევ ერთი ფორმით
გრძელდებოდა ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ მეც-
ნიერის კავშირი დედასამშობლოსთან და ის ცოდნა, რომლის გა-
დაცემას უშუალოდ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში თვით ვერ
მოესწრო, ამიერიდან მის მოწაფეებთან ერთად ამ წიგნებსაც უნდა
გაეცრელებინათ.

ვ. პეტრიაშვილის ბიბლიოთეკას ერთდროულად მხარი დაუჭ-
შენა პ. მელიქიშვილის იმ ბიბლიოთეკამაც, რომელიც წერა-კითხ-
ვის გამავრცელებელ საზოგადოებას პ. მელიქიშვილმა ჯერ კიდევ
1914 წელს გადასცა.

ამ ორი მსოფლიო სახელის მქონე ქიმიკოსის წიგნებით ჩაეყ-
რა საფუძველი უნივერსიტეტის წიგნთსაცავში იმ დროისათვის
ძალზე მდიდარი ქიმიური ლიტერატურის ფონდს. ივ. ჯავახიშვილ-
თავის 1918—1920 წწ. მიმოხილვაში უნივერსიტეტის ბიბლიოთე-
კის განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენაძენთა შორის აღნიშნავს ამ
ფონდებსაც.

ტექნიკური ხასიათის ლიტერატურა გვხვდება აგრეთვე სამხედ-
რო შტაბის, ამიერკავკასიის უნივერსიტეტისა და დ. სარაჯიშვილის
ბიბლიოთეკებში.

სამთამადნო საქმისა და გეოლოგია-გეოგრაფიის დარგის წიგ-
ნები უნივერსიტეტს გადმოსცეს სამთო და წყალთა სამმართველო-
ებმა 3387 ტომის რაოდენობით; აგრონომიული ლიტერატურა —
მიწათმოქმედების კომისარიატმა (655 ტომი); 2-ე შრომის სკოლამ —
5495 ტომი, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ — ტექნიკურ-
ი და ეკონომიური ლიტერატურა — 799 ტომი, და სხვ. უნივერ-
სიტეტის გამგეობის 1921 წლის 25 აგვისტოს სხდომაზე ივ. ჯავ-
ახიშვილმა განაცხადა, რომ „მან გადაათვალიერა პედაგოგიურ ინ-
ტიტუტთან არსებული პედაგოგიური მუზეუმის კატალოგი, სადაც
აღმოჩნდა ბევრა ისეთი წიგნები, რომელთა ბევრი დამოკიდებუ-
ლება არა აქვთ პედაგოგიკასთან და უნივერსიტეტისათვის კი მე-
ტად საჭირო სიძვირფასეს წარმოადგენენ“¹³⁰.

გამგეობამ სათანადო შუამდგომლობა აღძრა მუზეუმის წინა-

¹³⁰ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 108, ფურც. 77.

შე, რის საფუძველზედაც მას გადმოეცა სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ლიტერატურა 6796 ტომის რაოდენობით.

ივ. ჯავახიშვილსა და მის თანამოაზრეებს მხედველობიდან არ გამოორჩენიათ აგრეთვე საქართველოს დანარჩენი კულტურული ცენტრები — ქუთაისი, ჭიათურა, ბათუმი და სხვა, სადაც საგულეებელი იყო საჭირო ლიტერატურის არსებობა.

საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მიმართვა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსადმი, 1918 წლის 21 თებერვალს მიწერილი: „ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დავალებით გთხოვთ დაეხმაროთ უნივერსიტეტს იმ წიგნების შემოწირვით, რომელნიც ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩემ მიერ შედგენილი სიის მიხედვით იყო უცხოეთიდან გამოწერილი“. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილი ჭერ კიდევ უნივერსიტეტს გახსნამდე დიდი ხნით ადრე იჭერდა თადარიგს მალალი დონის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის შესაქმნელად. ჭიათურის მრეწველთა საბჭომ მისი რეკომენდაციით მართლაც შეიძინა ისეთი წიგნები, რომლებიც უნივერსიტეტისათვის შემდგომში უალრესად საჭირო აღმოჩნდებოდა.

უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის სწრაფი ზრდა, რასაკვირველია, მართო ივ. ჯავახიშვილსა და უნივერსიტეტის სხვა მესვეურთა ოპერატიულობითა და გულმოდგინებით როდი იყო გაპირობებული. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა მთელმა შეგნებულმა ქართველმა საზოგადოებამ; ეს არც არის გასაკვირველი: საქმე მშობლიური უნივერსიტეტის კეთილდღეობას ეხებოდა! ჭერ კიდევ არ იყო გახსნილი უნივერსიტეტი, რომ მან უკვე მიიღო ამ სახის პირველი შემოწირულება: პროფესორთა საბჭოს სხდომაზე 1917 წლის 19 დეკემბერს „ივ. ჯავახიშვილმა კრებას აცნობა განსვენებული კიტა აბაშიძის ანდერძი მისი წიგნთსაცავის უნივერსიტეტისადმი გადმოცემის შესახებ. საბჭომ ფეხზე აღდგომით სცა პატივი განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა მთელი შემადგენლობით დასაფლავებაზე დასწრება“¹³¹.

პირველ შემოწირულებას შემდგომში სხვებიც მოჰყვა. მრავალრიცხოვან სიაში ყურადღებას იპყრობს, კერძოდ, ჭიმიური ხასიათის ლიტერატურა ვ. გაბაშვილის მიერ 1918 წელს შემოწირულ 92 ტომიან ფონდში¹³².

უნდა ითქვას, რომ ამ დარგში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას

¹³¹ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 8.

¹³² გ. ბაკრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

თავიდანვე წყალობდა ბედი. პირად და საზოგადოებრივ შემოწმარულებათა და სხვა წყაროებით მიღებულ ფონდში სულ არაა წელიწადნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური კვლევა-ება და სწავლა უნივერსიტეტში ჯერ კიდევ არ შეიძლება ყოფილყო გამოსული, ბიბლიოთეკა ფლობდა იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრ ქიმიურ ფონდს. „...უნივერსიტეტს ეხლაც ბევრი კარგი და იშვიათი წიგნები მოეპოვება, განსაკუთრებით ზოგიერთ დარგებში, როგორც მაგ. ქიმიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, კავკასიის, ოსმალეთის და არაბების შესახებ“ — აღნიშნავდა ივ. ჭავჭავიძელი უნივერსიტეტის 1919 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის განმარტებით მოხსენებაში¹³³.

მართალია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ თავისი არსებობის პირველ ათწლეულში მრავალრიცხოვანი წიგნადი ფონდი მიიღო (51000 წიგნი გადმოცემით და 29000 წიგნი შემოწირულებებით), მაგრამ ეს მთლიანად მაინც ვერ დააკმაყოფილებდა უნივერსიტეტის მზარდ მოთხოვნილებებს. ამიტომაც უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან გამგეობა წიგნების შესაძენად მნიშვნელოვან თანხას ითვალისწინებდა.

ვინაიდან მენშევიკური მთავრობის უღიმღამო არსებობის პერიოდში უნივერსიტეტისათვის განკუთვნილი სახსრები საერთოდ უმნიშვნელო იყო, ცხადია, რომ იქიდან ბიბლიოთეკისათვის გადანარჩენი თანხაც არ იყო საკმარისი საჭირო ლიტერატურის შესაძენად. ივ. ჭავჭავიძელი ყოველთვის დაეინებით მოითხოვდა მთავრობისაგან დაუინანსების გაზრდას. ამ მხრივ, აღსანიშნავია გერმანიაში და კონსტანტინეპოლში შეძენილი წიგნები.

გამგეობის 1918 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე განხილული იყო „პროფ. ივ. ჭავჭავიძელის შუამდგომლობა, რომ მიეცეს მას თანხა საზღვარგარეთ წიგნებისა და სხვადასხვა იარაღებისა და ნივთების შესაძენად“. როგორც ევროპაში მიმავალი დელეგაციის წევრი ივ. ჭავჭავიძელს არ უნდოდა ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება და ცდილობდა ის უნივერსიტეტის ინტერესებისათვის გამოეყენებინა. გამგეობამ მას 70 000 მანეთი გადასცა¹³⁴. ამ ფულით ივ. ჭავჭავიძელმა კონსტანტინეპოლში შეიძინა დიდძალი ლიტე-

¹³³ საისტ. მოამბე, № 36.

¹³⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 6.

რატურა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგებიდან. გ. ბაქრაძის მიხედვით, მათი რაოდენობა 961 ტომს აღწევდა¹³⁵.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან იმყოფებოდა ფორმირების პროცესში და ყოველ წიგნს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მისი მესვეურნი მარტო ლიტერატურის შექმნის პრინციპებით როდი ხელმძღვანელობდნენ. ქართული უნივერსიტეტის არსებობის მეორე წლისთავზე, 1920 წლის იანვარში სომხეთში გაიხსნა ამიერკავკასიაში მეორე უნივერსიტეტი. ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ თავის მოვალეობად ჩათვალა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად ჩამოყალიბებული უმაღლესი სასწავლებლისათვის და მისთვის საჭირო წიგნადი ფონდი გამოეყო. 1920 წლის 8 აპრილს უნივერსიტეტის გამგეობამ სომეხი კოლეგებისაგან მადლობის თბილი წერილი მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საშუალება მიეცა უკვე ფართო მასშტაბით დაეწყო წიგნების შექმნაზე ზრუნვა. დაარსების ათი წლისთავისათვის ამ ფონდის რაოდენობამ 65380 ტომს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა გაცვლითი ფონდის მეოხებით მიღებული წიგნების რაოდენობაც, ასეთი ურთიერთგაცვლა უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში, საჭირო სპეციალური ფონდის უქონლობის გამო, თითქმის არც წარმოებდა.

ბიბლიოთეკის ბედსა და მომავალზე ზრუნვის დამადაპტურებელია ის გარემოებაც, რომ მისი ხელმძღვანელობა ყოველთვის გამოჩენილ მეცნიერებსა და საქვეყნო საქმის მოამაგეებს ეკისრებოდათ. ამ მხრივ ბიბლიოთეკის მუშაობის სრულყოფის საქმეში განსაკუთრებით დიდი ამაგი აქვთ მის პირველ გამგეებს — აკად. გ. ახვლედიანს (1918—1919), აკად. ავ. შანიძეს (1919—1921), გ. ბაქრაძეს (1921—1923), აკად. გრ. წერეთელს (1923—1934). თქმა არ უნდა, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის ყოველ მხარეს შეუწელებელ ყურადღებას აქცევდა და ქმედით დახმარებას უწევდა პირადად ივ. ჯავახიშვილი.

მისი წინადადებით 1919 წლის 14 ივლისს გამგეობამ დაადგინა ბიბლიოთეკაში დროებით მომუშავეთა რაოდენობის გაზრდა, რათა შემოდგომისათვის უზრუნველყოთ წიგნებით შეუფერხებელი სარგებლობა როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის, ისე სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკის წესდების პროექტში ივ. ჯავახი-

¹³⁵ გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

შვილის ხელით შეტანილია მრავალრიცხოვანი შესწორებები და შენიშვნები. საინტერესოა გ. ბაქრაძის ცნობაც: 1925 წელს დადესაც დასრულდა მრავალწლიანი შრომა დიდი რაოდენობით დაკრთვილი წიგნების აღრიცხვისა, ივ. ჯავახიშვილის უშუალო რჩევითა და მითითებით ცალკე გამოყოფილ იქნა პერიოდიკის განყოფილება¹³⁶.

ივ. ჯავახიშვილი მუდამ ყურადღებით ეპყრობოდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ინიციატივას, რაც წიგნადი ფონდის შევსებისა და მუშაობის უკეთ წარმართვას ითვალისწინებდა. 1919 წელს, მავალითად, აკ. შანიძემ, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგემ, შეიმუშავა სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ახლად ფეხადგმული საბუნებისმეტყველო დარგების მეცნიერული საქმიანობის სრულყოფას ემსახურებოდა. ამ ფაქულტეტისათვის განსაკუთრებით ჭირდა ახალი უცხოური ქიმიური ლიტერატურა. 1919 წ. 16 აგვისტოს აკ. შანიძემ გამგეობაში შეიტანა შემდეგი სახის წინადადება: „სიბრძნისმეტყველების ზოგიერთი ფაქულტეტის ზოგიერთი კათედრისათვის, აგრეთვე ქიმია და ასტრონომიისათვის საჭიროა ისეთი წიგნები და ჟურნალები, რომელთა შეძენა მხოლოდ საზღვარგარეთ შეიძლება, ამიტომ საჭიროა კონტაქტის დაჭერა უცხოეთის საელჩოებთან, რომ მათი საშუალებით მოვაგვაროთ ეს საქმე“. აკ. შანიძის წინადადება გამგეობამ მოიწონა და ამ საქმისათვის იგი სათანადო რწმუნებით აღჭურვა¹³⁷. ამ გზით შეძენილმა ლიტერატურამ დიდი სამსახური გაუწია უნივერსიტეტს და კერძოდ ქიმიური აზროვნების შემდგომი განვითარების საქმეს საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურების დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ მის მიერ ჩატარებულ ქმედით ღონისძიებებს ისეთი თითქოსდა მეორეხარისხოვანი საკითხების მოსაგვარებლად, როგორც არის ბიბლიოთეკის სათავეს კეთილმოწყობის საქმე.

უნივერსიტეტის დაარსების მეორე თვის თავზე იგი თხოვნილ მიმართავს: თბილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქართველთა საზოგადოების გამგე კომიტეტს, რათა ბიბლიოთეკისათვის დაუთმონ ორი ოთახი, რომელიც ამავე შენობაში გიმნაზიას ეჭურა¹³⁸.

¹³⁶ გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

¹³⁷ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 69.

¹³⁸ საისტ. მოამბე, № 24.

1919 წლის შემოდგომაზე კი მისი და აკ. შანიძის ინიციატივით ბიბლიოთეკა პირველ სართულზე ჩამოაქვთ და საკმაოდ აფართოვდებიან მას¹³⁹.

ცენტრალურ არქივში დაცულია ივ. ჯავახიშვილის მიმართებული სხვადასხვა დაწესებულებებისადმი, სადაც ის ბიბლიოთეკისთვის ფიტრებისა და სხვა სამშენებლო მასალების შეღავათიან ფასებში დათმობას ითხოვს¹⁴⁰.

ბიბლიოთეკის მოწყობისა და სრულყოფისათვის ივ. ჯავახიშვილის ზრუნვის სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა. სწორედ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობა, შეთავსებული უშუალო შემსრულებლის ფუნქციებთან, მის თანამოაზრეთა შრომასთან ერთად, ბიბლიოთეკის საქმიანობის სწორად წარმართვისა და აღმავლობის მტკიცე საწინდარი გახდა. დღეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნსაცავია, როგორც საბუნებისმეტყველო-ტექნიკური, ისე ჰუმანიტარულუგანხრით. მან რესპუბლიკის ბევრ სხვა ბიბლიოთეკას მისცა დასაბამი.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში დაცულია მისი პირადი ბიბლიოთეკა. იქ საკმაოდ რაოდენობითაა ტექნიკური ხასიათის წიგნები. მათი ზერწლე გადახედვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ თვალნათლივ დარწმუნდეს — რა ფართო დიაპაზონის მოღვაწე იყო ივ. ჯავახიშვილი. ქართული და მსოფლიო კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ გამოცემათა გვერდით, აქ სათუთად ინახება უნივერსიტეტის მიერ პირველ წლებში გამოცემული წიგნებიც. ფაქტიურად სწორედ მათი მშვეობით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში განათლების სხვადასხვა დარგს. ყურადღებას იპყრობს ანდ. რაზმაძის, ალ. დიდებულის, ალ. ჯანელიძის და სხვათა შრომები. თვითეულ მათგანს ავტორისეული მიძღვნა ახლავს ივ. ჯავახიშვილისადმი. მათში გამოკვივის წრფელი მაღლიერების გრძნობა დიდი მეცნიერისა და მამულიშვილისადმი, რომლის უანგარო დახმარებით და რუდუნებით არის უზრუნველყოფილი თვითეული მათგანის გამოცემა.

აქვე არის უნიკალური გამოცემებიც ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურის საკითხებზე. მათი უმრავლესობა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მართალია, 1917 წელს პე-

¹³⁹ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 77.

¹⁴⁰ იქვე, საქ. 181, ფურც. 75—77.

ტერბურგიდან გამომგზავრებისას ივ. ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკა გზავივე დაიკარგა, მაგრამ მოკლე ხანში, მრავალჯერ სიძნელეთა და ხელმოკლეობის მიუხედავად, მისი გულმოდგინეობის წყალობით დანაკლისი შეივსო.

დღეს ამ ბიბლიოთეკით სარგებლობენ არა მარტო მისი მოწაფე-ისტორიკოსები, არამედ მრავალი სხვა დარგის მკვლევარი და მეცნიერი. ძალაუნებურად გახსენდება ივ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წ. 23 იანვარს ავადმყოფობის პერიოდში პროფ. ვ. დონდუასადმი მიწერილი თხოვნა ლენინგრადში წიგნების შეძენის თაობაზე, სადაც იგი ნაღვლიანად დასძენს: „ამას ვწერ და თან ეფიქრობ, რომ ჩემი ჯანმრთელობის პატრონისათვის ახალ-ახალი წიგნების შეძენაზე მზრუნველობა, ეგების ეს სასაცილოც იყოს, მაგრამ ჩვენში ისე ცოტაა სამეცნიერო წიგნები, რომ სხვებს მაინც გამოაღვებათ, თუ შე მათი სარგებლობისათვის ბევრი დრო აღარ მიწერია“.

„სტამბა დიდი და კარგად მოწყობილი...“

„... ამა დიდა დაჩქარება და ხელ შეწყობა
ჩინაყ სამეცნიერო ლიტერატურას“

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიის წარმატებისათვის, როგორც ჰუმანიტარულ, ისე ტექნიკურ დარგში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ავტონომიური საგამომცემლო დაწესებულების შექმნას. საშვილიშვილო საქმის — ქართული მეცნიერების აღორძინების ერთ-ერთ მთავარ პირობად ქართული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა და გამოცემა შეადგენდა.

„რაკი უნივერსიტეტის პროფესორთა და დაწესებულებათა დანიშნულებას მარტო მეცნიერების სწავლება კი არ შეადგენს, არამედ ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება და შემოქმედებითი მუშაობა, — უნივერსიტეტის საბჭოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ორგანოს და პროფესორთა გამოკვლევებისა, ტექსტებისა და ლექციების გამოცემა გადაწყვეტილი აქვს და ნაწილობრივ ამის გან-

ხორციელებას იგი შეუდგა კიდევ — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს¹⁴¹, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლების დროს ცხოვრების ყველა სფეროში საშინელი გაჭირვება და ანარქია სუფევდა. ასეთ პირობებში კი რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. მოუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრეები, სხვა საქმიანობასთან ერთად, შეუპოვრად იღვწოდნენ საგამომცემლო საქმის მოსაგვარებლადაც.

...„მოსწავლე ახალგაზრდობას არც ლექციები და სახელმძღვანელოები. არც წესაკითხი და სამეცნიერო შესწავლისათვის საჭირო ტექსტების გამოკვებები მოეპოვება, რომ მათი სწავლა და მუშაობა უნივერსიტეტში ნაყოფიერი იყოს. თვით პროფესორთა სამეცნიერო გამოკვლევანი და ნაშრომები უნივერსიტეტს უსახსრობის გამო ვერ დაუბეჭდია“ — გულისტკივილით აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი¹⁴².

მოუხედავად უნივერსიტეტის ფინანსური ხელმოკლეობისა, ივ. ჯავახიშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოცემული წიგნების ათეწერ (და მეტად) დაკლებულ ფასებში გაყიდვა: „უნივერსიტეტი ამით ჩვენს სტუდენტობას საშუალებას აძლევს საუნივერსიტეტო მეცნიერებაც ქართულად შეისწავლოს და ამ საზღაპრო გაჭირვების დროს შედარებით იაფ ფასად მათთვის საჭირო სახელმძღვანელოები და გამოცემანი შეიძინოს“. უნივერსიტეტის მესვეურთა ამგვარი ზრუნვა ხალხისადმი სიყვარულით და მეცნიერების განვითარების დიდი სურვილით იყო ნაკარნახევი.

გამომცემლობა, რასაკვირველია, მარტო სახელმძღვანელოების გამოშვებით როდი კმაყოფილდებოდა. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის შრომების გამოქვეყნებას. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს უნივერსიტეტის პერიოდულ ბეჭდვით ორგანოს „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეს“, რომლის პირველი ტომი (3 ნაკვეთად) 1920 წელს გამოვიდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე ნაკვეთში მოთავსებული შრომები, რომელთა დიდი ნაწილი ქიმიკოსებს ეჭუთვნის. ასეთებია, კერძოდ, თ. მებურიშვილისა და ნ. ციციშვილის „ქახური ღვინის ანალიზები“, პ. მელიქიშვილის „ჩვენი სასმელ-

141 საისტ. მოამბე, № 36.

142 იქვე, № 44.

საკმელის ქიმიური შემადგენლობა“ და „ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა“, აგრეთვე ნ. ციციშვილის „ამონიაკის განსახილველად“¹⁴³ ყველში“.

ქიმიკოსებისათვის განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის ბექდვით ორგანოებში დაარსების დღიდანვე ქიმიის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო წერილები გამოქვეყნდა, რასაც ივ. ჯავახიშვილის მზრუნველი ხელი ატყვია. მის პირად ფონდში, მაგალითად, დაცულია პ. მელიქიშვილის რამდენიმე წერილი. 1920 წ. 13 ივლისს ბორჯომიდან იგი მიმართავს ივ. ჯავახიშვილს:

„მე ყოველთვის გაწუხებთ თხოვნით და ეხლაც თხოვნა მაქვს: ჩემთვის ძლიერ საჭიროა, რომ ჩვენი ლაბორატორიის შრომება ყოფილიყო დაბეჭდილი სექტემბრამდის. კორექტურას დაიჭერს ბატონი შალამბერიძე“¹⁴³.

ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა საგამომცემლო საქმის შემდგომი გაფართოებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

უკვე 11 მარტს ივ. ჯავახიშვილი მიმართავს საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს თხოვნით უნივერსიტეტისათვის რომელიმე სტამბის გადაცემის თაობაზე: „უკვე გამოცემულია „უნივერსიტეტის მოამბის“ პირველი ნომერი და აგრეთვე ბევრი გამოკვედვა და სახელმძღვანელო სხვადასხვა სამეცნიერო დარგში. უნივერსიტეტს განზრახული აქვს, რომ ამიერიდან კიდევ უფრო გააფართოოს გამოცემლობის საქმე. მაგრამ ეს საქმე, რომ ჩქარის ნაბიჯებით წავიდეს წინ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას თავისი საკუთარი სტამბა ჰქონდეს, სტამბა დიდი და კარგად მოწყობილი, რომელმაც უნდა ადვილად შესძლოს უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის მრავალმხრივი საჭიროების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამიტომ გთხოვთ, რათა ჩამორთმეულ სტამბათაგან ერთი რომელიმე დიდი და კარგად მოწყობილი სტამბა (ან ორი პატარა, რომლებიც უნდა შეერთდნენ) გადმოეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სრულს განკარგულებაში. ამით მეტად დაჩქარდება და ხელი შეეწყობა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინებას“¹⁴⁴.

¹⁴³ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1994.

¹⁴⁴ საისტ. მოამბე, გვ. 416.

შზარდი მოთხოვნები გადაუდებლად ითხოვს უნივერსიტეტისათვის ცალკე საგამომცემლო განყოფილების დაარსებას. ივ. ჯავახიშვილი დაუყოვნებლივ მიმართავს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატს:

„უნივერსიტეტის გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. საქმის მოსაგვარებლად აუცილებელია დაარსდეს უნივერსიტეტთან საგამომცემლო განყოფილება, რომელიც არსებითად იმავე სახელმწიფო გამომცემლობის მიზნებს განახორციელებს, მაგრამ უნივერსიტეტსა და ეროვნულ მეცნიერების საქმეებს უშუალოდ ემსახურება“¹⁴⁵.

გამომცემლობის ტექნიკური და ფინანსური ბაზის სრულყოფასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნაბეჭდი შრომების მეცნიერულ დონეს; ამაზე მიუთითებს მის მიერ 1924 წელს შემუშავებული „უნივერსიტეტის მოამბის“ დებულების მკაცრი მოთხოვნები:

„1. „მოამბეში“ შეიძლება მხოლოდ ორიგინალური ანუ იმ საკითხების შესახებ გამოკვლევა დაიბეჭდოს...“

3. სამკურნალო კაზუსტიკური შემთხვევების შესახებ წერილის, თუ მოხსენების დაბეჭდვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ახალს სამეცნიერო დაკვირვებასა ან გაშუქების შესაძლებლობას წარმოადგენს.

4. ზოოფისიოლოგებმა და დოცენტებმა თავიანთ შრომების დაბეჭდვის შესახებ ფაქულტეტებისაგან დადგენილება უნდა წარუდგინონ რედაქციას“¹⁴⁶.

ივ. ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ ამ მიმართულებით გაწეულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. არსებობის 60 წლის მანძილზე უნივერსიტეტის გამომცემლობამ 3,5 მილიონი თაბახის მოცულობის 400-მდე სახელწოდების წიგნი და ბროშურა გამოსცა. სტუდენტებმა მიიღეს უნიკალური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა უმაღლესი მათემატიკა, ზოგადი ფიზიკა, მექანიკა, არაორგანული ქიმია, გეოლოგია, ორგანული ქიმია და სხვ.

უნივერსიტეტის სტამბას, რომლის დაარსებისა და სრულყოფისათვის ესოდენ იღვწოდა ივ. ჯავახიშვილი, ამჟამად საშუალება აქვს წიგნები ბეჭდოს არა მარტო ქართულად, არამედ რუსულსა

¹⁴⁵ იქვე, გვ. 454.

¹⁴⁶ საისტ. მოამბე, გვ. 458—459.

და დასავლეთ ევროპის ენებზე, აგრეთვე ძველ ქართულ, სომხურ, ბერძნულ, ებრაულ, ასირიულ, არაბულ და სხვა ენებზე.

„ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“...

„... საქალხანი ჟიან ჩიმიუსური ნახაჯსაიჩისა
და ჩახხნეოსაივის...“

ივ. ჯავახიშვილს ღრმად სწამდა და დიდადაც უწყობდა ხელს სხვადასხვა დარგის, მათ შორის ქიმიის განვითარებისა და წინსვლის საქმეს. ამ მიმართულებით მას არა ერთი ქმედითი ღონისძიება განუხორციელებია. ქიმიური ლაბორატორიების მოწყობაზე თადარიგი, მაგალითად, მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნამდე დაიწყო. იგი პირადად გამოიძიებდა ხოლმე — სად და რა მოწყობილობა-დანადგარები ან სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა შეიძლება ყოფილიყო შემორჩენილი, რაც უნივერსიტეტის რომელიმე კათედრას გამოადგებოდა. ვითარების გაცნობისა და მდგომარეობის შეფასების შემდეგ, იგი აწარმოებდა პირად მოლაპარაკებას, რათა საქმის შესატყვისი ესა თუ ის ღონისძიება განეხორციელებინა.

უნივერსიტეტის დაარსების პირველსავე დღეებში ივ. ჯავახიშვილმა, ასეთი წინასწარი გამოკვლევისა და პროფესორთა საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ, კიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გაუგზავნა თხოვნა „რათა დახმარებოდნენ საქმიო ლაბორატორიუმის მთელი მოწყობილობისა და იარაღების უნივერსიტეტისათვის შემოწირვით“, აგრეთვე სამინერალოგიო კოლექციის ვადმოცემით. „რაკი ეხლა ყველა ამის შეძენა შეუძლებელია და ჩვენ შემოდგომითგან სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო განყოფილებათა გახსნას ვაპირებთ, — წერდა ივ. ჯავახიშვილი — თქვენს დახმარებას ჩვენს მიერ დაწყობილ საქმის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დაწმუნებული ვარ, რომ საბჭო, რომელიც ყოველთვის ქართულ საზოგადოებრივ საქმეებზე ზრუნავდა, ეხლა თავისი უხვი შემოწირულებით ჩვენ ხელს შეგვიწყობს ამ დიად საქმის, ქართული სრული უნივერსიტეტის შექმნისათვის“¹⁴⁷.

¹⁴⁷ საისტ. მოამბე, გვ. 340.

შემდგომში ივ. ჯავახიშვილმა „საქირო ნაბიჯები გადადგა, და ზომები მიიღო, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმიანობა ლაბორატორია, მინერალოგიური კაბინეტი და წიგნთსაცავის ნაწილი უნივერსიტეტს გადამოეცეს“¹⁴⁸.

საქმის დადებითად გადაწყვეტის ის წინასწარი რწმენა, რომელიც ოქმის ამ სტრაქონებში გამოსტკვივის, მიგვიბრუნებს იმაზე, რომ ივ. ჯავახიშვილს, წერილის გარდა, ღონისძიებათა სხვა საშუალებებიც უნდა გამოეყენებინა. და მართლაც, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თანხმობას პროფესორთა საბჭო 13 აპრილს გაეცნო¹⁴⁹; ერთი თვით ადრე კი (15 მარტს) ივ. ჯავახიშვილი იუწყებოდა: „საქიროა შუამდგომლობის აღძვრა რკინიგზის გამგეობის წინაშე ვაგონის მოცემის შესახებ ქუთაისიდან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ უნივერსიტეტისათვის დათმობილი წიგნთსაცავისა და სხვა ნივთების გადმოსატანად“¹⁵⁰.

17 აპრილს პროფესორთა საბჭომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მადლობა გამოუცხადა შემოწირული ქონებისათვის და აღნიშნა, რომ მას ჩაიბარებდა პირველსავე მოხერხებულ დროს¹⁵¹. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ ეს დრო რამდენადმე უკან გადაწია. ქიათურიდან ლაბორატორიის ჩამოტანის საქმე პროფესორთა საბჭომ 17 აგვისტოს სხდომაზე ქიმიკოს მ. შალამბერიძეს დაავალა¹⁵². მაგრამ ლაბორატორიის ჩამოტანა იმ ხანებში ვერ მოხერხდა. გაზაფხულის არდადეგების შემდგომ უნივერსიტეტის გამგეობამ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ექიმ ს. ჯაფარიძისადმი მიწერილ წერილში დახმარებასთან ერთად ითხოვა პირობების გამორკვევა, თუ როგორი გზით შეიძლებოდა მოგვარებულყოფიერ ქიათურიდან ქიმიური ლაბორატორიის გადმოტანა¹⁵³.

შემდგომში ეს საქმე ისევ შეყოვნდა. სექტემბრის თვეში უნივერსიტეტს მიწათმოქმედების სამინისტრომ გადმოსცა ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ქიმიური ლაბორატორია, ცოტა ადრე კი, აგვისტოს თვეში, სასურსათო კომიტეტისაგან მიიღეს ქიმიური ლაბორატორიის აღკუთრებლობა. ასე, რომ პირველ ხანებში უნივერ-

148 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 21.

149 იქვე, ფურც. 27ა.

150 იქვე, ფურც. 23.

151 იქვე, საქ. 8, ფურც. 11.

152 იქვე, საქ. 2, ფურც. 42.

153 იქვე, საქ. 14, ფურც. 56.

სიტეტის ქიმიური ლაბორატორია ერთგვარად დაკმაყოფილებული აღმოჩნდა საჭირო აღჭურვილობით და ჭიათურის ლაბორატორიული მოწყობილობის სასწრაფოდ გადმოტანის საკითხი დროებით გადაიდო.

1919 წლის დასაწყისში ქიმიის კათედრის მუშაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. არაორგანული და ორგანული ქიმიის, თეხებითი და რაოდენობითი ანალიზის ცალკეულ საგნებად გამოყოფის ტენდენციამ თავისთავად გამოიწვია კათედრაზე მეორე პროფესორის მოწვევისა და ლაბორატორიების გაფართოება-მოწყობის აუცილებლობა. 2 აპრილს პროფესორთა საბჭომ ქიმიის მეორე პროფესორის თანამდებობის დამტკიცებასთან ერთად განიხილა ჭიათურის ლაბორატორიის საკითხიც. დაადგინეს: „დაევალოს გამოცემა, რომ ერთ რომელსავე პირს მიენდოს ჭიათურიდან ქიმიურ და მინერალოგიურ ლაბორატორიების გადმოტანა“¹⁵⁴.

გამგეობა შესაფერი კანდიდატურის გამოანახვას საკმაო ხანს მოუწინა, საბოლოოდ არჩევანი გამგეობამ აკ. შანიძეზე შეაჩერა¹⁵⁵. როგორც ეტყობა, ეს გადაწყვეტილება თვით აკ. შანიძის ინიციატივიდან გამომდინარეობდა; შექმნილ ვითარებაში საერთო საქმის ინტერესებმა ენათმეცნიერს აკ. შანიძეს მისთვის უჩვეულო საქმიანათვის მოაკიდებინა ხელი. ჩვენი საბიჭადულო მეცნიერის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ეს დავალება მან შესაშური ოპერატიულობით მოაგვარა. მცირე დროში აკ. შანიძემ შეძლო ჭიათურიდან ქიმიური ლაბორატორიის ჩამოტანა და უნივერსიტეტში დაბინავება.

10 აპრილს გამგეობის სხდომამ დაამტკიცა აკ. შანიძის ანგარიში ლაბორატორიული მოწყობილობის გადმოტანაზე გაწეული ხარჯების შესახებ¹⁵⁶. ამით დასრულდა ქიმიური ლაბორატორიების სრულყოფისათვის გაწეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა უნივერსიტეტში დამკვიდრებული კოლეგიალობის კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს. ქვემოთ ჩვენ კიდევ აღვნიშნავთ ივ. ჯავახიშვილის სხვა დამსახურებასაც ქიმიის კათედრების ჩამოყალიბება-სრულყოფის საქმეში, აქ კი აკ. შანიძის ამ ასპექტში მოღვაწეობის სხვა მხარეს შევხვებით. აკ. შანიძე იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი, რომ-

¹⁵⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 63.

¹⁵⁵ იქვე, საქ. 4, ფურც. 36ა.

¹⁵⁶ იქვე, ფურც. 91.



ველმაც ცხოველი ინტერესი გამოიჩინა ქიმიის დიდ შესაძლებლობათა, მისი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების, კერძოდ, უძველეს ხელნაწერთა წაშლილი ტექსტების აღდგენისადმი.

ივ. ჯავახიშვილის ცნობილ შრომას „ახლად აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერები“ მოჰყვა აკ. შანიძის გამოკვლევა „ხანმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“. აქ ავტორი აღნიშნავს, რომ პალიმფსესტები, „ქიმიურადაც გაცხოველებულია ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაცევტული ბოტანიკის ლაბორატორიაში“ და ჩატარებული კვლევებისათვის, რას შედეგადაც მოხერხდა ძველი გადაუხეცილი ტექსტების ამოკითხვა, მადლობით მოიხსენიებს პროფ. იოვ. ქუთათელაძესა და ასისტენტ ნ. მასხულიას¹⁵⁷.

სახელოვანი ენათმეცნიერის თანამშრომლობა ქიმიკოს იოვ. ქუთათელაძესთან შემდგომშიაც გაგრძელდა. ამას ადასტურებს არქივში შემონახული 1923 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული მიმართვა უნივერსიტეტის გამგეობისადმი, სადაც იგი ფარმაციისა და ფარმაცოგნოზიის კათედრისათვის ითხოვს პალიმფსესტების გაცხოველებისათვის საჭირო ქიმიურ რეაქტივებს¹⁵⁸.

სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ურთიერთშეგობრობისა და ერთმანეთის საქმიანობით ცხოველი დაინტერესებს მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის დაარსების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (1928 წ.) საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და პედაგოგიური ფაკულტეტების მოღვაწეობის მიმოხილვა აკად. აკაკი შანიძის მიერ არის დაწერილი. ეს ორი წერილი ფაქტიურად წარმოადგენს პირველ ნაშრომს, რომელშიც გაშუქებულია უნივერსიტეტში ზუსტ მეცნიერებათა, და მათ შორის ქიმიის განვითარების ისტორია.

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ამაგი დასდო თვისებითი ანალიზის ლაბორატორიის ჩამოყალიბების საქმეს. 1919 წელს, მას შემდეგ, რაც თბილისში ი. მოსეშვილი გადმოვიდა და თვისებითი ანალიზის ცალკე ლაბორატორიის დაარსება გადაწყდა, ამ ლაბორატორიისათვის სათავესო გამოიხატა აუცილებლობად იქცა. ვინაიდან თავისთავად უნივერსიტეტს ფართის უკიდურესი ვასპირი ჰქონდა, პროფესორთა საბჭომ 22 ივნისს გადაწყვიტა მთავრობი-

¹⁵⁷ აკ. შანიძე, ტფ. უნ-ტის მოამბე, ტ. II, 1923, გვ. 257.

¹⁵⁸ ორცა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 69.

საგან გამოეთხოვა სამხედრო-სააფთიაქო საწყობის შენობა ადგილობრივებისა და ლაბორატორიებისათვის¹⁵⁹. შენობა პირადად დაათვალიერა ივ. ჯავახიშვილმა და დაახუსტა ყოველგვარი წვრილმანი, რომელთა ვათვალისწინებასაც საქმის ვითარება მოითხოვდა. 3 ივლისს ივ. ჯავახიშვილმა წერილობით სთხოვა სამხედრო მინისტრს შენობის უნივერსიტეტისათვის გადმოცემა. „ადგილობრივი დათვალიერებისა და ხსენებული საწყობის გამგე პირთან მოლაპარაკების დროს გამოიჩინა, რომ ეს სრულებით არ შეავიწროვებს და არ შეუშლის ხელს სამხედრო-სააფთიაქო საწყობის წესიერ მოქმედებას“¹⁶⁰.

სამინისტრომ გამოყო სპეციალური კომისია აღძრული საკითხის შესასწავლად. კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია ოთახებს დათმობა, რადგან, მისი აზრით, სტუდენტების დაშვება შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დარღვევას გამოიწვევდა¹⁶¹.

კომისიის დასკვნა ივ. ჯავახიშვილმა ოფიციალურ შეტყობინებამდე კერძო არხებით გაიგო. მან ხელმეორედ დაათვალიერა შენობა. მის თვალს არ გამოპარვია მთელი რიგი დეტალები, რომელთა მოშველიებით შეიძლებოდა საკითხის უნივერსიტეტის სასარგებლოდ შემობრუნება. 14 ივლისს ივ. ჯავახიშვილი ხელმეორედ შეამდგომლობს სამხედრო მინისტრის წინაშე:

„სამკურნალო ფაკულტეტის დეკან პროფ. ა. ნათიშვილთან და ქიმიის პროფ. იას. მოსეშვილთან ერთად ვიყავით სამხედრო-სააფთიაქო მაღაზიაში და მის გამგე ფარმაცევტების დახმარებით ხელმეორედ დავათვალიერე ყველა შენობები. ადგილობრივმა დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ზემოაღნიშნულ საფრთხის თავი-თვან აცილება იმ სახით შეიძლება, თუ სააფთიაქო მაღაზიის იმ ნაწილს, რომელიც უნივერსიტეტს უნდა დაეთმოს დროებით ლაბორატორიის მოსაწყობად, სრულებით ცალკე შესავალი ექმნება ისე, რომ სტუდენტებს ეზოში შესვლა არ სჭირდებოდეთ. ეს ადვილად მოხერხდება, თუ რომ შესავალი კარები ქუჩითგან გაუკეთდა. რაც ტექნიკურად არაერთად სიმძნელეს არ წარმოადგენს“¹⁶².

ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებულმა შეამდგომლობამ, როგორც ჩანს, აიძულა სამინისტრო უფრო ყურადღებით მოპყრობოდა აღ-

159 ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 2, ფურც. 74ა.

160 იქვე, საქ. 32, ფურც. 21.

161 იქვე, ფურც. 22.

162 საისტ. მოამბე, გვ. 36ბ.



ჩულ საკითხს. შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც საკუთარ ზანს მოუხდა უნივერსიტეტისათვის ბინის გამოძებნას, ბოლოს მან შეძლო ამ საკითხის უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაჭრა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქიმიის ლაბორატორიისათვის სათავისოს გამოძებნის საქმე ამით დამთავრდებოდა. მაგრამ მოულოდნელად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გამგეობის 30 აგვისტოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „განცხადება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა: საქმიო ლაბორატორიის შენობა, რომლის გადაცემა უნივერსიტეტისათვის მთავრობის მიერ გადაწყვეტილი იყო, გადაუციათ მომარაგების კომიტეტის განკარგულებაში და იმას უნივერსიტეტი ველარ მიიღებს. უნებლიეთ დაისმის საკითხი: რა ექნათ, სად მოვაწყოთ საქმიო ლაბორატორია?“. საინტერესო დადგენილება, რომელიც გამგეობამ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა: „ეს გარემოება ეცნობოს პროფ. იასონ მოსეშვილს, ხოლო პროფ. ი. ჯავახიშვილს ეთხოვოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე საქმის უნივერსიტეტისათვის სასარგებლოდ შემობრუნებისათვის“¹⁶³. ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს, რომ გამგეობა უკანასკნელ იმედს, როგორც ყოველთვის, ისევ და ისევ ივ. ჯავახიშვილზე, მის პირად თაოსნობასა და ორგანიზაციულ ნიჭზე ამყარებდა. გამგეობის ამგვარი დავალება „საქმის უნივერსიტეტისათვის სასარგებლოდ შემობრუნებისათვის“ — პირველი და უკანასკნელი არ იყო ივ. ჯავახიშვილის მიმართ, როდესაც უნივერსიტეტის კეთილდღეობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. მისი „პირველი რაინდი“ ყოველთვის მოწოდების სიმალლეზე იდგა. რამდენადაც უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს ასეთ საქმეებში უაღრესად პრაქტიკული და საქმის მომგვარებელი ენერგიული კაცის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული.

ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, თუ რა იღონა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა, მაგრამ მისი გარჯის შედეგი კარგად არის ცნობილი: ორი კვირას შემდეგ გამგეობამ უკვე განიხილა „წერილობითი ცნობა იმის შესახებ, რომ სამხედრო-სააფთიქო საწყობის შენობის მაგიერ უნივერსიტეტს შესაძლოა გადაეცეს ეს შენობა, რომელშიაც ფერშლები და დაბალი მსახურნი არიან“. აღნიშნული შენობის შეკეთებას სამხედრო უწყება იღებდა თავის თავზე¹⁶⁴.

¹⁶³ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 73ა.

¹⁶⁴ ორცხა (თბ.), ფონ. 471, საქ. 4, ფურც. 79ა.

გადმოცემულ შენობაში დაიწყო თვისებითი ანალიზის ლაბორატორიის მოწყობა; 1920 წლის პირველ ივნისიდან კი მან კარი გაუღო სტუდენტობას. „ლაბორატორიუმი საკმაოდ ფართოა, ნათელი და მც-მდე სტუდენტს იტევს — წერდა ივ. ჯავახიშვილი თავის ცნობილ მიმოხილვაში — და ამ სემესტრში ოქტომბრითგან მოყოლებული დილის 9 საათიდან შებინდებამდის განუწყვეტლივ სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობა [სწარმოებს]. ელექტრონის უქონლობის გამო შებინდებისთანავე მეცადინეობა ლაბორატორიუში სწყდება“¹⁶⁵.

ივ. ჯავახიშვილს ამ ლაბორატორიისათვის შემდგომშიც არ მოუკლია თავისი მზრუნველობა. მისთვის დამახასიათებელი ყურადღებით ეკიდებოდა იგი ლაბორატორიის მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმესაც; ამ მხრივ ყრიად დამახასიათებელია ისეთი თითქოს და წვრილმანი საკითხი, როგორცაა ელექტროენერგიის განმანაწილებელ სამმართველოსადმი 1923 წლის 6 ნოემბრის მიმართვა: „უნივერსიტეტის გამგეობა შუამდგომლობს თქვენს წინაშე შეერთებულ იქნეს მისი თვისებითი ანალიზის ლაბორატორია (ტეხნიკურა ქუჩა) ელექტრონის ქსელთან. ლაბორატორიას დასჭირდება 30 ლამფის სინათლე. ამასთან ერთად გთხოვთ ელექტრონის ენერგია მოგვეთ უფილ ადამოვის სადგურიდან“¹⁶⁶. ივ. ჯავახიშვილის შუამდგომლობა აქაც წარმატებით დამთავრდა და ლაბორატორიას უკვე საღამოობითაც შეეძლო დაუბრკოლებლად მუშაობა.

ქიმიის კათედრის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და სამკურნალო ფაკულტეტის 1919 წ. 31 მარტის დადგენილება ქიმიის კათედრაზე მეორე პროფესორის თანამდებობის დაწესების შესახებ. პროფესორთა საბჭომ 2 აპრილს დაადასტურა ფაკულტეტის დადგენილება, ხოლო 3 მაისს ამ თანამდებობაზე დაამტკიცა ოდესის უნივერსიტეტის პრევატ-დოცენტი იას. მოსეშვილი¹⁶⁷. ი. მოსეშვილს უნივერსიტეტთან კავშირი ადრევე ჰქონდა და იგი იმთავითვე ემზადებოდა თბილისში გადმოსასვლელად. ჰერ კიდევ 10 თებერვალს ის წერილობით თხოვდა უნივერსიტეტის გამგეობას ოდესაში ვაგეზავნათ მისთვის ფულადი თანხა ქიმიის კათედრისათვის საჭირო ლიტერატურის შესაძენად. გამგეობამ დააკმაყოფილა

¹⁶⁵ საისტ. მოამბე, გვ. 393.

¹⁶⁶ ორცსა (თბ.), ფონ. 471, საქ. 198, ფურც. 574.

¹⁶⁷ იქვე, საქ. 2, ფურც. 67ა, 73.

ვისი თხოვნა, რამაც საშუალება მისცა ი. მოსეშვილს ოდესიდან წამოსვლისას თან წამოეღო კათედრისათვის ძალზე მნიშვნელოვანი შენაძენი¹⁶⁸. ჩამოსვლისთანავე ი. მოსეშვილი ენერგიულად ჩება კათედრის საქმიანობაში.

საქართველოს მუზეუმში მოღვაწეობისას (1931—1940 წწ.) ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბებას. იგი აუცილებლად თვლიდა ქიმიკოსებთან დამყარებული კავშირის გაძლიერებას. მუზეუმში მომწიფებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო იყო საკუთარი ლაბორატორია, საკუთარი ქიმიური ძალები, რომლებიც გამაზნულად იმუშავებდნენ ისტორიისა თუ არქეოლოგიის საკითხებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქიმიური მეთოდების გამოყენებას ისტორიულ მეცნიერებათა დარგებსათვის.

„სამუზეუმო მუშაკს სამი თვისება უნდა ჰქონდეს — მიუთითებდა იგი მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა მომზადების საკითხთან დაკავშირებით — 1). ის მეცნიერი მკვლევარი უნდა იყოს; 2). მან სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-კონსერვაციის წესები და საშუალებაც უნდა იცოდეს. ყველამ თეორიულად, ზოგმა მათგანმა კი საგანგებოდ პრაქტიკულადაც; 3). მან მუზეუმის ვითარცა საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანებიც კარგად უნდა იცოდეს“¹⁶⁹.

1938 წლის 8 ოქტომბერს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ მომავლის ღონისძიებათა პროექტში გაითვალისწინა ივ. ჯავახიშვილის წინადადება, რომელიც ნათ. ჯავახიშვილის გადმოცემით, შემდეგ საკითხებს ითვალისწინებდა: „დადგინდა ხელნაწერებისა და საბუთების ფიზიკური არსებობის გაჩანჯრძლიეების მიზნით მავნებლებთან ბრძოლა თანამედროვე ქიმიური საშუალებებით. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ხელნაწერთა განყოფილებისა და ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომელთა გაერთიანებული ძალებით სათანადო სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით“¹⁷⁰.

ქიმიური მეთოდების დანერგვის საჭიროება განსაკუთრებით აუცილებელი გახდა 1938 წელს, მცხეთა-სამთაეროს არქეოლოგი-

168. იქვე, საქ. 4, ფურც. 33ა.

169. ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 430.

170. ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს მუზეუმი, მრავალთავი, ტ. V, გვ. 16.

ური გათხრების პროცესში. მოზღვავებულ უამრავ არქეოლოგიურ მონაპოვარს უმოკლეს დროში ესაჭიროებოდა სათანადო ქიმიური დამუშავება. აუცილებელი იყო მათი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, ამიტომ ივ. ჯავახიშვილმა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი მთავრობის კომისიის წინაშე აღძრა საკითხი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის დაარსების შესახებ. ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. კუპერმანი ივ. ჯავახიშვილთან თანამშრომლობის დროს შეიმუშავა ლაბორატორიისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვას დაერთო ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათი, ეს ორი დოკუმენტი ქიმიური ლაბორატორიის დაარსების შუამდგომლობასთან ერთად წარდგენილ იქნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში.

1938 წლის 22 მაისს სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ფინანსთა კომისარიატს დაავალა მუზეუმის 1939 წლის ხარჯთაღრიცხვაში სათანადო თანხის (44000 მან.) გათვალისწინება ლაბორატორიის ორგანიზაციისათვის¹⁷¹. ცოტა მოგვიანებით მუზეუმის დირექტორის დ. ჰანტურაიას და ივ. ჯავახიშვილის ხელმოწერით მიმართვა გეგვზავნა განათლების სახალხო კომისარს ლაბორატორიის ხარჯთაღრიცხვისა და შტატის დამტკიცების დაჩქარების მიზნით „ვინაიდან — აღნიშნულია მიმართვაში — ლაბორატორიის ორგანიზაცია სწრაფად უნდა მოხდეს, რათა დროულად და სისტემატურად ხდებოდეს უკვე დიდი რაოდენობით დაგროვებული ლითონისა და ძვლების ნივთების ლაბორატორიული დამუშავება“¹⁷².

ლაბორატორიამ მუშაობა დაიწყო 1939 წლის ოქტომბრის თვეში (გამგე პ. კუპერმანი). პირველივე დღეებიდანვე მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ: ხელნაწერებისა და საბუთების დაცვასთან ერთად აუცილებელი იყო წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ძვ. წ. ა. მესამე ათასწლეულის ხანის ხის ეტლის კონსერვაცია.

5 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა სპეციალური კრება. კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ ქიმიკოსები პ. კუპერმანი, ე. თუშიშვილი, ჯავჭავაძე და მუზეუმის სხვა თანამშრომლები, მოისმინა ინფორმაცია ამ იშვიათი არქეოლოგიური

171 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 962.

172 იქვე, № 979.

მონაპოვრის კონსერვაციის თაობაზე. ახრთა ურთიერთგაცვლის შემდგომ გადაწყდა ექსპონატის წინასწარ ფორმალინის ხსნარში მოთავსება — სოკოსა და სხვა მავნებელთაგან დასაცავად. ამავდროულად ეტლის მომცრო ნაწილებზე საჭიროდ სცნეს კონსერვაციის იმ ძირითადი მეთოდების გამოცდა, რომლებსაც ამ დროს პრაქტიკაში იყენებდნენ უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის მუზეუმები. დადგენილების ოქმს ხელს აწერს ივ. ჯავახიშვილი.

კომისიის მეორე სხდომაზე, 26 დეკემბერს, განიხილეს საკონსერვაციო მეთოდის შერჩევის საკითხი. ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ამ საკითხის მნიშვნელობას და საჭიროდ სცნო 5 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად ჩატარებული ცდები და დეტალური განხილვა. საექსპერტო კომისიამ ქიმიურ ლაბორატორიაში სხვადასხვა მეთოდით დაკონსერვებული ხის ნაწილების გასინჯვითა და შემდგომ დეტალური მსჯელობის საფუძველზე დაადგინა ექსპონატის საბოლოო კონსერვაციისთვის გამოყენებინათ შემდეგი რეცეპტურა: ღვინის სპირტით სრული გაუწყლოების შემდეგ ექსპონატის გაკლენთვა სუფთა სელის ზეთით, რომელიც შეიცავდა სულემის ან კარბოლის მკავეს სუსტ ხსნარს¹⁷³.

ლაბორატორიამ ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა და მცირე ხნის შემდეგ მის მიერ დამუშავებულ ექსპონატთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

საგულისხმოა ერთი გარემოება: პრაქტიკული სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დიდი საჭიროების მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ლაბორატორიას გამიზნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც ეწარმოებინა. ჯერ კიდევ 1939 წ. ივლისის თვეში მუზეუმის სტრუქტურასა და გეგმებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: «უკანასკნელი საკითხი მუზეუმის სტრუქტურასთან დაკავშირებით შეეხება ქიმიური სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის მოწყობას, რომლის მუშაობასაც მართო პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება, მას საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებების მნიშვნელობაც მიენიჭება და მას შემდეგში საშუალება მიეცემა ბევრი ღირსშესანიშნავი დასკვნები გააკეთოს»¹⁷⁴.

ივ. ჯავახიშვილის ეს ხაზი ლაბორატორიამ ჩამოყალიბებისთანავე დასახა მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. მომდევნო 1940 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვე-

¹⁷³ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1539.

¹⁷⁴ იქვე, № 973.

ვის სესიაზე ივ. ჯავახიშვილმა სიამაყის გრძნობით აღნიშნა, რომ „მუზეუმის ქიმიკარესტავრაციო ლაბორატორიის მსგავსი ლაბორატორია სულ სამია საბჭოთა კავშირში“... და რომ „სადღესოდ ეს ლაბორატორია აღარ კმაყოფილდება მარტოდენ ანალიზებითა და რესტავრაციით, არამედ არაერთ სამეცნიერო საკითხების დამუშავებას ახდენს“¹⁷⁵.

დღეისათვის ლაბორატორია ღირსეულად აგრძელებს მისი დიდი მოამაგის ტრადიციებს. ფართოდაა გაშლილი როგორც სარესტავრაციო და საკონსერვაციო მუშაობა, ისე მეცნიერული კვლევები; მიმდინარეობს ახალი თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების ათვისება და კვლევის მეთოდების შემდგომი სრულყოფა როგორც ქიმიური, ისე სხვა საბუნებისმეტყველო დარგების (ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, კიბერნეტიკისა და სხვ.) მონაპოვართა გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მასზე დაკისრებული რთული საპასუხისმგებლო ამოცანების ჯეროვანი გადაწყვეტა¹⁷⁶.

„სსკადსსვა სამეცნიერო დარგის
წარმომადგენელთა მონაწილეობით“

„აქილ სეფილისმა შედეგისა და მთელი დარგის
მსკერა შიძინა, ხაღისა, რიანი და გივი სეიისი.
სსკადსსვა სსკონსერვის ივან სსხისი და შირს
ხსნე უხნილ უსკ“

ქიმიური კვლევის მეთოდების გამოყენება ისტორიული ძეგლების შესასწავლად ჩვენში პირველად ივ. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა. დღეს, მართალია, ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კავშირი ჰუმანიტარულ დარგებთან ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, თანაც იმდროინდელი საქართველოს პირობებისათვის, ეს მიმართულება ნაზღვილად ახალი სიტყვა იყო მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

¹⁷⁵ ნ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

¹⁷⁶ კრებ. „სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია“, I, 1974 წ.; II, 1977 წ.

ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ამ იდეას შემთხვევითი ხასიათი როდი ჰქონდა; იგი წარმოადგენდა მეცნიერი-ნოვატორის მკაცრად დასაბუთებულ სახელმძღვანელო მეთოდს. ივ. ჯავახიშვილმა, ქართული ისტორიოგრაფიის სხვადასხვა დარგის შექმნასთან ერთად, დაასაბუთა და საფუძველი ჩაუყარა მათი კოოპერირების საჭიროებას სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში, 1916 წლის აგვისტოში მის ქართულ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობისადმი წარდგენილ საგანგებო მოხსენებაში ნათლად არის დასაბუთებული ეს იდეა. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქართული ხელოვნების ძეგლთა დაცვა-აღდგენის სამუშაოები სამ მოქმედ საზოგადოებათა შორის უნდა განაწილებულიყო: საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას საქართველოს ყველა კუთხეში საეთნოგრაფიო და შინამრეწველობის ნიმუშები უნდა შეეგროვებია და მუზეუმში მოეყარა თავი. ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას ევალებოდა ამ მასალების შესწავლა და დამუშავება მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების, ნიმუშებისა და სამაგალითო ესკიზების შედგენით. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას კი (რომელიც 1915 წელს შეიქმნა და 1921 წლამდე არსებობდა) ეთნოგრაფიული მასალები და შინამრეწველობის ნიმუშები არა მარტო უნდა შეესწავლა, არამედ გაეთვალისწინებია და გამოეძებნა კიდევ მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები¹⁷⁷.

რევოლუციამდელ პერიოდში, როცა საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა მხოლოდ თითქმის სათუღალო იყო, ხოლო სამეცნიერო დარგები საერთოდ არ არსებობდა, მეცნიერული ძალების რაიმე კოოპერირებაზე ოცნებაც კი უნაყოფოდ ითვლებოდა; მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით, როცა ქართულმა უნივერსიტეტმა ფრთები გაშალა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული მრავალდარგოვანი მეცნიერება, ივ. ჯავახიშვილს საშუალება მიეცა დღის წესრიგში ხელახლა, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო შედეგიანად დაეყენებია ეს საკითხი.

1937 წელს „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნდა მისი დიდი საპროგრამო წერილი „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“; წერილში განხილულია ქართული

¹⁷⁷ ძეგლის მეგობარი, № 7, 1966 წ., გვ. 44—49.

კულტურის ისტორიის წინაშე წამოჭრილი პრობლემები და დასა-
ხულია მათი წარმატებით დაძლევის გზები. უკანასკნელის საწინა-
დრად დიდ მეცნიერს მიაჩნდა კოოპერირების იდეის პრაქტიკუ-
ლად განხორციელება: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასახული
ფართო მიზნის მისაღწევად და ამოცანების სისწორით გადასაჭრე-
ლად, ყველა ძირითადი საკითხების სხვადასხვა მხრითა და სხვა-
დასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით
არის განხილვა საჭირო“. ამ აზრის გასამტკიცებლად მას მოყავს
ერთი თვალსაჩინო მაგალითი, რომელშიც, მართალია, ბოტანიკა-
ზეა ლაპარაკი, მაგრამ ასევე გულისხმობს სხვა დარგებსაც და მათ
შორის ქიმიასაც:

„რამდენიმე მაგალითი საქმარისი იქნება იმის დასაარწმუნებ-
ლად, თუ რამდენად უფრო საგულისხმო შედეგისა და მტკიცე
დასკვნის მოპოვება შეიძლება, როდესაც ერთი და იგივე საკითხი
სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით არის ხოლმე განხილუ-
ლი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის 12 წიგნში თავმოყრი-
ლი მაქვს ყველაფერი, რაც ბოტანიკოს-აგრონომებს პურგელის,
იფქლის, ასლის, ზანდურის, მახას და სხვ. შესახებ დაკვირვებისა
და ცდების საშუალებით გამორკვეული ჰქონდათ. მაგრამ მათი დასკ-
ვნა ბუნებრივად ბოტანიკისა და აგრონომიის არეს არ სცილდებო-
და და ამიტომაც არაერთი კულტურის ისტორიისათვის პირველხა-
რისწივენი პრობლემები, როგორც მათი ნამდვილი ადგილობრივი
ძველი და თანამედროვე სახელები, მათი სადაურობა და მათი ხნი-
ერება-გაჩენის საკითხებია, გამოურკვეველი დარჩა. ქართულ ძეგ-
ლებში და უცხო წყაროებში გაფანტული ცნობების ცოდნამა და
გათვალისწინებამ და პურგელის სახელების ანალიზმა კი ზემოაღ-
ნიშნული გაურკვეველი საკითხების გამორკვევა გაგვიადვილა. ისევე,
როგორც ბოტანიკოსებს უისტორიკოსოდ ამ პრობლემების გადაჭ-
რა არ შეეძლოთ, ცხადია, ისტორიკოსიც თავის ამოცანის გადაწყ-
ვეტას ვერ მოახერხებდა, ბოტანიკოს-აგრონომებს რომ პურგულ
წინასწარ ბოტანიკურად საფუძვლიანად შესწავლილი არ ჰქონო-
დათ და ისტორიკოსს მათ მიერ მოპოვებული ცნობების გამოყენე-
ბის საშუალება არ ჰქონოდა“¹⁷⁸...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოოპერირების საქმეში ივ. ჯავახიშვილი მარტო ბოტანიკით არ იფარგლებოდა. ამ მეცნიერების

¹⁷⁸ ენიმკის მოამბე, I, 1937 წ., გვ. 2—5.

გარდა, სხვა დარგებთან ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაზე მიუთითებს აქვე მოყვანილი სია იმ ოთხი მთავარი ჯგუფისა, რომელთა მიხედვითაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, უნდა დაიყოს კულტურის ამოცანები. აქედან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ჯგუფი, რომელიც ლითონისა და ნივთიერი კულტურის ისტორიის საკითხებს შეეხება. აქ, რასაკვირველია, პირველი სიტყვა ქიმიის ეკუთვნის, რადგან იმ დროისათვის ლითონებისა და შენადნობების შედგენილობის, მოპოვებისა და თვისებების დადგენის ძირითადი საშუალებები სწორედ ქიმიურ მეთოდებზე იყო დამყარებული. ამასვე გულისხმობდა ივ. ჯავახიშვილიც: ამ იდეის ხორცშესხვად მოგვევლინა მცირე ხნის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან მისი (და არა ქიმიკოსების!) თაოსნობით ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბება. ლაბორატორია მოწოდებული იყო არა მარტო ანალიზური და სარესტავრაციო, არამედ სამეცნიერო კვლევა-ძიების მომცველი სამუშაოებიც ეწარმოებინა ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახული პროგრამის მიხედვით.

კომპლექსური სახის მუშაობათა სრულყოფის მიზნით, ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა განსაკუთრებული ორგანოს შექმნა, რომელსაც სხვადასხვა სპეციალისტთა საკოორდინაციო და შემაპირისპირებელი ფუნქციები დაეკისრებოდა. ამასთან დაკავშირებით იგი მიუთითებს:

„VI. კულტურის ისტორიის ამოცანების სხვადასხვა სპეციალობათა შორის განაწილებისა, მუშაობისათვის ხელის შესაწყობად, კვლევა-ძიების მიმდინარეობის საცოდნელად, სხვადასხვა დარგის მკვლევართა შორის კონტაქტის გასაადვილებლად და დამზადებული ნაშრომების გამოცემაზე მზრუნველობისათვისაც აყადენიის ფილიალის პრეზიდიუმთან სათანადო ორგანო უნდა მოეწყოს.

VII. სპეციალობათა შორის ამოცანების განაწილების შემდგომ, კონკრეტული საკითხების მკვლევართა მიერ არჩევა-განაწილების მოგვარება სათანადო სპეციალობის სექტორებს, ანდა დაწესებულებებს დაეკისრებათ, რომელთაც, როგორც განაწილების შედეგო, ისევე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ უნდა პრეზიდიუმთან მყოფ ორგანოს აცნობონ ხოლმე“¹⁷⁹.

როგორც ვხედავთ, ეს ორგანო თავისი კომპლექსური და სინ-

¹⁷⁹ ენიმკის მოამბე, I, 1937 წ., გვ. 7.

თეზური შინაარსით ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებათა ელემენტებს მოიცავს და საკავშირო და რესპუბლიკურ აკადემიათა პრეზიდიუმთან დღეს არსებული საკოორდინაციო საბჭოების პროტოტიპია.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული საკითხებისათანადო სამოქმედო გეგმით ქართულ მეცნიერებაში ჯერ არნახულ მასშტაბების მქონე პერიოდის წინათქმად უნდა მივიჩნიოთ.

ამ სამოქმედო პროგრამას დღესაც არ დაუქარგავს აქტუალობა. პირობით მეცნიერების დღევანდელი განვითარების პირობებში იგი უფრო მიზანდასახული ხდება.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვა და საქმე ყოველთვის მოზომილი იყო, ამ შემთხვევაშიც პროგრამა ლიტონ სიტყვებს როდი შეიცავდა. პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ, სამწუხაროდ, დროის მცირე მონაკვეთში, ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკული თვალსაზრისით მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოასწრო. მაგრამ ვიდრე ამ საკითხებზე გვექნება საუბარი, ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ადრეულ ხანებს უნდა დაუღებრუნდეთ.

კოოპერირების პროგრამაში გამოკვეთილ იდეას წინ უძღოდა მისი მრავალწლიანი მუშაობა. ზემომოყვანილი მაგალითი ბოტანიკოსებისა და აგრონომების შესახებ ივ. ჯავახიშვილისეული მეცნიერული მეთოდის სწორედ ერთ-ერთ დამახასიათებელ მონაკვეთს შეადგენს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ამ ურთიერკავშირში ივ. ჯავახიშვილი ისტორიკოსის გარკვეულ ზღვრებში ჩაკეტილი მეცნიერის როლით როდი იფარგლებოდა. იგი თვითონ სწავლობდა და ამუშავებდა წმინდა აგრონომიული და ბოტანიკური დარგის საკითხებს, რამაც მას საშუალება მისცა ბრწყინვალედ გარკვეულიყო ისტორიისა და ამ მეცნიერებათა სინთეზურ საკითხებში. მის ცნობილ მონოგრაფიაში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნში სწორედ ასეთი საკითხებია განხილული: „სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემეღია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს აგრონომების მოვალეობას შეადგენს“¹⁸⁰.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილი ისტორიკოსის მოვალეობის ფარგლებს სცილდება და გვევლინება, როგორც ამ მეცნიერებათა ის-

¹⁸⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I², გვ. 5.

ტორიის მკვლევარი. „ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსად სჩანს და ამისათვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჭერ არავის გააჩნია“ — შენიშნავს იგი.

მეორე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მედიცინის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. 1935 წელს ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა პატარა შრომა სათაურით „ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში“. წიგნში არაერთი საინტერესო ისტორიული მასალაა მოყვანილი. ავტორი დამაჯერებლად უჩვენებს, რომ ძველად თბილისის მოსახლეობა აბანოებს სამკურნალო მიზნითაც იყენებდა და რომ ამ ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი აბათილებს აკად. გიულენშტადტის ცნობას იმის შესახებ, რომ მან 1773 წელს ქიმიურად შეისწავლა რა ჩვენი ბუნებრივი წყლების შედგენილობა და დაადგინა მათი გოგირდშემცველობა, თითქოს პირველმა გამოთქვა აზრი მათ სამკურნალო თვისებებზე. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ფრანგი მოგზაურის ე. შარდენის 1672—1673 წლების ცნობა „ამ აბანოებით მოსარგებლე სხვადასხვა ავადმყოფთა რიცხვი მხოლოდ საბანაოდ და სისუფთავეისათვის მოსულ პირთა რიცხვზე ნაკლები არ არისო“ და შენიშნავს: „შარდენის ცნობა იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ იქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ტფილისის გოგირდის წყლის აბანოებით სამკურნალო მიზნით მაშინაც ფართოდ უსარგებლიათ“.

შრომში მოყვანილი მასალების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „საქართველოში ძველად მიღებული ყოფილა სამკურნალო წყლებით მკურნალობა გარეგანი საშუალებების სახით, აბანანებად და დასაღვეად, სასმელად ან ერთსადაიმთხვე დროს გარეგან და შინაგან საშუალებად. ამას გარდა ცნობილი ყოფილა ორთქლით ან აირებით წამლობაც „სასუნებელი მიწის“ ერთგვარი ინჰოლაციის სახით“¹⁸¹.

შრომის დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ „საინტერესო იყო სამკურნალო წყლებით მკურნალობის საქართველოში მიღებული წესი და რეჟიმი ყოფილიყო შესწავლილი, მაგრამ ამ საკითხის გამოსარკვევად სულ სხვანაირი ძეგლების გადასინჯვა და გადაკითხვა იყო საჭირო“¹⁸². დროის უკმარისობამ, სამწუხაროდ, ამ მი-

¹⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში, 1935 წ., გვ. 35.

¹⁸² იქვე, გვ. 40.



მართლებით მას შემდგომი კვლევა-ძიების გაშლის საშუალებებში მისცა. აქვე დავსძენთ, რომ მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ მესამე ტომის წინასიტყვაობაში, ამ მეცნიერების წინაშე ივ. ჯავახიშვილის დიდი ამაგის მოხსენიების შემდეგ, აღნიშნავენ: „არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ მსცოვან მეცნიერს სპეციალური გამოკვლევა ჰქონდა შესრულებული საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ. მას ამ თემაზე სხვადასხვა ადგილას მოხსენებებაც კი გაუკეთებია, მაგრამ თვით შრომა თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია და მისი მიკვლევა დღემდე არ მოხერხდა“¹⁸³.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ნათლად მეტყველებენ ივ. ჯავახიშვილის ნიქის მრავალმხრიუობაზე და ამავე დროს მისი ყოველი მეცნიერული ნაბიჯის მკაცრ ლოგიკურ გააზრებულობაზე. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება მისი განსაკუთრებული ყურადღება ქიმიის მიმართაც.

კვლევის მეთოდების კომპლექსური ხასიათი, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, თანამედროვე მეცნიერებისათვის ჩვეულებრივად ითვლება. ერთმანეთთან ირწყმება არა მარტო მონათესავე, არამედ ერთი შეხედვით საკმაოდ განსხვავებული სამეცნიერო დისციპლინები. ერთ-ერთი მათგანის როლში განსაკუთრებით ზშირად გამოდის ქიმია. ეს არც არის გასაკვირი: დღეისათვის ძნელია მოინახოს დარგი, რომელშიც ქიმიური კვლევის მეთოდებს საგრძნობი წვლილის შეტანა არ შეეძლოს. მან ღრმა ფესვები ფაიდგა ისტორიულ და საერთოდ ჰუმანიტარულ დისციპლინებშიაც. ზოგიერთ შემთხვევაში მის გარეშე უკვე შეუძლებელია თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერის დონეზე კვლევა-ძიების ჩატარება. ამ მხრივ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად უნდა მივიჩნიოთ არქეოლოგიისა და ქიმიის კავშირი, რამაც განაპირობა საერთოდ ახალი მიმართულების — არქეოლოგიური ქიმიის წარმოშობა. ეს სახელწოდება მოგვიანებით (1948) იქნა შემოტანილი და დამკვიდრებული მეცნიერებაში ცნობილი ამერიკელი არქეოლოგიისა და ქიმიკოსის რ. კელის მიერ. ამ მიმართულების სათავეებთან იდგა დიდი გერმანელი ქიმიკოსი მ. კლაპროტი (1743—1817) და სხვები. დღეისათვის არქეოლოგიური ქიმია გულსხმობს გამოყენებითი ქიმიის დარგს, რომელიც ადგენს სხვა-

¹⁸³ ვ. მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი I, გვ. 9.

დასხვა არქეოლოგიური ნივთის ქიმიურ ბუნებას (შედგენილობა, დამზადების დრო, ადგილი და მეთოდი)¹⁸⁴.

ამ საქმეში პირველდამაარსებლად ისევ ივ. ჯავახიშვილი გვევლინება; იმდროინდელი საქართველოს პირობებისათვის ასეთი მიმართულების დაკანონება ნამდვილად პროგრესულად და ნოვატორულად უნდა მივიჩნიოთ.

1923 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის ცნობილი შრომა „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“. ამ შრომის მნიშვნელობაზე და მის მიერ საზოგადოებაში გამოწვეულ გამოხმაურებაზე ბევრი დაწერია. ჩვენ ამ შემთხვევაში ეს გარემოება სხვა თვალსაზრისითაც გვაინტერესებს. ნაშრომს ამავე დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტიც, რომ მკვლევარმა დასახული მიზნის მისაღწევად ქიმიური ტექნიკის მიღწევებიც გამოიყენა. მხედველობაში გვაქვს პალიმფსესტების ქიმიური მეთოდით გაცხოველება¹⁸⁵. აღსანიშნავია, რომ ქიმიური დამუშავება უკვე ადგილობრივი კადრების საშუალებით, თვით უნივერსიტეტის კედლებში შესრულდა. ყოველივე ეს დაწვრილებით თვით ივ. ჯავახიშვილს აქვს აღწერილი:

„როდესაც ყველაფერი, რის წაკითხვაც ჩვენს პალიმფსესტებში აღჭურვილი თუ აღუჭურველი თვალთ შესაძლებელი იყო, უკვე გადმოწერილი მქონდა, რადგან ხ. ხ. № 89 და № 844 იმდენად გადარეცხილ-გადაფხეკილია, რომ თავდაპირველი ნაწერის ამოკითხვა უიმედო საქმედ ჩანდა, ამიტომ, ან ამ პირველხარისხოვანი ძეგლების უუდიდესი ნაწილის წაკითხვაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგვედო, ან ქიმიური დამუშავების საშუალებით მისი ძველი ტექსტის გაცხოველება და წაკითხვა გვეცადნა. სათანადო დასტურის შენდგომ, მეორე გზა ვარჩიე და ამისათვის პროფ. იოველ ქუთათელაძეს ვთხოვე, რომ გამოერკვია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ პალიმფსესტების პირვანდელი ნაწერის გაცხოველება. იგი დიდი ხალისით შეუდგა ამ საკითხის შესწავლას და სრული სიფრთხილით წარმოებულ ცდების წყალობით გამოარკვია, რომ საქარ-

¹⁸⁴ История химических наук, т. 39, 1962 г., стр. 260.

¹⁸⁵ პალიმფსესტი ეწოდება ცხოველის ტყავისაგან დამზადებულ ნაწერ მასალას — პერგამენტს, რომელზედაც პირველად დაწერილი ტექსტი წამდილია (გადარეცხვით, გაუფრთხლებით ან ამოფხეკით) და შემდგომ ზედ სხვა ტექსტია დაწერილი.

თველოში უძველეს ხანაში და შემდეგში X—XII სს-შიც ლითონის, რკინისაგან შემზადებული, მელანი უხმარიათ. ამ ვარეშობამ მას საშუალება მისცა ხელნაწერები ქიმიურად ისე დაემუშავებინა, რომ ძველი ტექსტის აღდგენის დროს მერმინდელი არ დაზიანებულაყო. მრავალგზისი ცდის წყალობით პროფ. ქუთათელაძემ ისიც მოახერხა, რომ ეტრატს დამუშავების შემდგომაც ფერს საგრძნობლად არ შეცვლოდა, თავდაპირველი ტექსტი კი, სადაც წინათ სრულებით გადაფხევილი არ აღმოჩნდა, იმდენად გამოაშფარადა, რომ მისი წაკითხვა იქაც, სადაც წინათ ასოთა ნაალაგების მეტი არაფერი ეტყობოდა, შესაძლებელი გახდა¹⁸⁶. პირველყოფლისა აქ ყურადღებას იპყრობს ცნობა ძველად ხმარებულ მელანზე ჩატარებული ცდების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვერ მივაკვლიეთ თვით ი. ქუთათელაძის მიერ ჩატარებული კვლევის აღწერილობას, რაც საშუალებას მოგვცემდა უფრო დეტალურად გავცნობოდით ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს ქიმიურ-ტექნოლოგიურ მხარეს. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ი. ქუთათელაძეს მუშაობის ამ პირველ ეტაპზე უნდა შეემუშავებინა მელნების შედგენილობის განმსაზღვრელი სპეციალური ქიმიური მეთოდები, რაც შემდეგ საფეხურზე მას საშუალებას მისცემდა პალიმფსესტების გაცხოველების გზებიც გამოენახა. საერთოდ ეს წესი, ე. ი. ვერ მელნების შედგენილობის დაზუსტება, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე გარდასული ნაწერის გაცხოველების სათანადო მეთოდები უკვე ათვისებული ჰქონდათ მსოფლიოს მოწინავე დაწესებულებებს. საქართველოს და საკავშირო მასშტაბით კი ეს იყო პირველი ცდები. ასეთი სახის სამუშაოებს რუსეთში, კერძოდ, ლენინგრადში, მხოლოდ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი¹⁸⁷.

როგორც ივ. ჯავახიშვილის ცნობიდან ჩანს, რკინის მელანი საქართველოში უხმარიათ უძველესი დროიდან, X—XII სს-მდე. ამ ცნობას ავსებს მისსავე „ქართულ პალეოგრაფიაში“ მოყვანილი ფრაგმენტები: „ჩემი თხოვნით V—VI სს. ქართული პალიმფსესტების ქიმიური დამუშავების დროს პროფ. იოველ ქუთათელაძემ გამოარკვია, რომ იმ ხანაში საქართველოში რკინისაგან

¹⁸⁶ ტფ. უნ-ტის შოამბე, II, 1923 წ., გვ. 344.

¹⁸⁷ В. А. Щ а в и н с к и й, Очерки по истории техники живописи и техники красок в древней руси, 1935 г., стр. 38.



შემზადებული მელანი უხმარიათ, შემდეგ XIII—XIV სს-ში კა
 უკვე სხვანაირი მელანი ჩანს¹⁸⁸.

ამგვარად, რკინის მელნის გამოყენება საქართველოში V—
 XII სს. უნდა მოიცავდეს. ეს ფაქტი თავისთავადაც ძალზე
 საყურადღებოა. როგორც ცნობილია, ისტორიულად საწერი მელ-
 ნის რამდენიმე სახეობა არსებობდა, რომელთა შორის ძირითად
 ტიპებად მეცხიერებაში მიღებულია: მურისა და გუმჯისისაგან,
 ფლაბოფენისაგან ან ლითონური რკინისაგან დამზადებული მე-
 ლანი¹⁸⁹. ქრონოლოგიურად რკინის მელანი უფრო გვიანდელად ითვ-
 ლება და მის გამოყენებას X—XI სს. შემდგომ გულისხმობენ.
 ყოველ შემთხვევაში ჰერაკლეს (IX ს.) რეცეპტებში მურო-
 ანი მელანი იხსენიება, ხოლო თეოფილესაში (X ს.) — ფლაბო-
 ფენიანი. რკინის მელანს კი არც ერთი მათგანი არ იცნობს. ამ
 თვალსაზრისით, რასაკვირველია, საქართველოში უკვე V საუკუ-
 ნიდან რკინის მელნის არსებობის დამადასტურებელ ცნობას ძალ-
 ზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამ საკითხის შემდგომ, უფრო
 ფართო კვლევა-ძიების აუცილებლობაზე მიგვივლითებს. შექველთა,
 რომ ამ მიმართულებით, რომელიც ქიმიკოსებისა და ისტორიკოსე-
 ბის კოოპერირების კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს, მრავალმ-
 ხრივ საინტერესო დასკვნების გამოტანაა სავარაუდო. ივ. ჯავახიშ-
 ვილის ინიციატივით საფუძველჩაყრილ ამ განხრავ დიდი მომა-
 ვალი ესახება.

რაც შეეხება თვით პალიმფსესტების გაცხოველებას, სამწუ-
 ხაროდ, ამ მიზნით გამოყენებული ქიმიური მეთოდთა ჩვენთვის
 უცნობია, მაგრამ თვით ფაქტი ამ სახის სამუშაოთა ჩატარებისა, და
 ისიც 20-იანი წლების დასაწყისში, ბევრისმეტყველია. ქიმიური მე-
 თოდის გამოყენებამ ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა ჩვენი წარ-
 სულის უმნიშვნელოვანესი მონაცემები ამოეკითხა და პრაქტიკუ-
 ლად დაემტკიცებინა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ურ-
 თიერთთანამშრომლობის იდეის დიდი თეორიული და პრაქტიკუ-
 ლი მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობა, ისევე, როგორც
 სხვა მრავალ შემთხვევაში, მეტად ნაყოფიერი გამოდგა. შესაძ-
 ლოა თვით ლიტერატურაც პალიმფსესტების ქიმიური მეთოდებით
 დამუშავების შესახებ იოველ ქუთათელაძისათვის ივ. ჯავახიშვილის
 მიერ იყო მიწოდებული. მართალია, ამის დასადასტურებლად მო-

¹⁸⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ., გვ. 45.

¹⁸⁹ В. А. Шавинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—27.

ცემული კონკრეტული შემთხვევისათვის პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვა შემთხვევების საფუძველზე ეს ვარაუდი სააწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ თუ საერთოდ სხვადასხვა დარჯის სპეციალისტთა ურთიერთთანამშრომლობა უმეტეს შემთხვევაში ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთა ინიციატივით მყარდებოდა (ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია ქიმიკოსების საქმიანობა არქეოლოგიური მეთოდების სრულყოფისათვის, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი), ივ. ჯავახიშვილი ამ ტრადიციის „დამრღვევია“ და მისი სახით უკვე ისტორიკოსი ვეველინება ამგვარი თანამშრომლობის სულისჩამდგმელად. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მეტყველებს ივ. ჯავახიშვილის შორსმჭერტელობაზე და ღრმა ერუდიციაზე.

იოვ. ქუთათელაძესთან თანამშრომლობას რომ დროებითი ხასიათი არა ჰქონდა, ამას მოწმობს აკ. შანიძის თხოვნით ჩატარებული ანალოგიური სახის სამუშაოები სხვა ხელნაწერებზედაც.

პალიმნესტების გაცხოველების მიზნით ქიმიურ დამუშავებას, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ ძლიერ საშუალებას“ შემდგომ წლებშიც წარმატებით მიმართავდნენ ქართველი მეცნიერები¹⁹⁰.

პალეოგრაფიულ გამოკვლევებში ივ. ჯავახიშვილს დიდ დამატებას უწევდა გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი ალ. დიდებულისძე. ამ პრაქტიკულ ნიჭიერი, თვითმყოფადი და ღრმად ერუდიტირებული მეცნიერის შემოქმედებით არსენალში გამოიმუშავდა არაერთი ორიგინალური ფიზიკური და ქიმიური მეთოდი, რომელთა გამოყენება საგრძნობლად აფართოებდა კვლევის შესაძლებლობებს. ივ. ჯავახიშვილი ერთგან აღნიშნავს: „მე პროფ. ალ. დიდებულისძეს ვთხოვე ბოლნისის სიონის წარწერის ნეგატივი გაეძლიერებინა, რომ მქრთალად გამოსული ადგილები და ასოების მოხაზულობა დაბეჭდვის დროს მკაფიოდ გამოსულიყო... პროფ. დიდებულისძემ თავისი განსაკუთრებული ღონეობით ამ წარწერის ნეგატივი მართლაც ისე გააძლიერა, რომ დანაბეჭდზე ის ადგილსადაც ასო ბანი იყო, სრული სიმკაფიოთ გამოჩნდა“¹⁹¹. ცნობილია, რომ ალ. დიდებულისძე ბევრს მუშაობდა ფოტოგრაფიულ პროცესების საკითხებზე — რიგსა და ოდესაში 1915 წ. იგი ფო-

¹⁹⁰ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6, 1931 წ., გვ. 466.

¹⁹¹ ივ. ჯავახიშვილი, თბ. უნტის მოამბე, ტ. 11, 1922—23 წ., გვ. 274—

ტოგრაფთა საზოგადოების თავმჯდომარეც კი იყო. იქ მან გამოსცა შრომა „ფერადი ფოტოგრაფია“. მის მიერ შემუშავებული გინაღური ფოტოგრაფიული წამლები სამუალებას იძლეოდა საგონობლად გაზრდილიყო ფოტოგრაფიულ გამოსახულებათა სიკვეთრე.

უნივერსიტეტში მოღვაწეობის დაწყებისას (1919 წ.) მან დასაბუქდად მოამზადა შრომა „ფაქტორების გავლენა საფოტოგრაფიო ემულსიების გრძნობიერებაზე“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. დიდებულის მიერ ჩატარებული სამუშაოები პალიმფსესტებს პირველადი ტექსტების ამოსაკითხავად. 1923 წელს უნივერსიტეტის „მოამბეში“ მან გამოაქვეყნა წერილი სათაურით „პალიმფსესტების რეპროდუქციისათვის“¹⁹². მასში განზოგადებულია ავტორის მიერ ჯერ კიდევ რიგასა და ოდესაში პრაქტიკულად შესრულებულ კვლევათა შედეგები. ავტორი აღნიშნავს, რომ მას განზრახული ჰქონდა ქართული პალიმფსესტების გამოკვლევა. ქიმიური მეთოდების გამოყენებისას, მართალია, შესაძლებელი ხდება პირველადი ტექსტების გაშიფრვა, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის არა ეართ დაზღვეული მეორად ტექსტსა და საერთოდ პერგამენტზე გამოყენებული რეაგენტების არასასურველი ზემოქმედებისაგან. ამ გარემოებას ივ. ჯავახიშვილიც დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი ხაზს უსვამს, რომ მიღებული შედეგები იოვ. ქუთათელაძის მიერ „სრული სიფრთხილით წარმოებულის ცდების წყალობით იქნა მიღებული“. სწორედ ამიტომ შემდგომში მან იმ მეთოდებზე გაამახვილა ყურადღება, რომელთა გამოყენებით უზრუნველყოფილი იქნებოდა პერგამენტის სრული უსაფრთხოება: ასეთებია, კერძოდ, ფიზიკური (ოპტიკური) და ფოტოგრაფიული მეთოდები; სწორედ ამ განზრახვით დაუკავშირდა ივ. ჯავახიშვილი ალ. დიდებულის. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალ. დიდებულის ქიმიური მეთოდების გამოყენებასაც მიმართავდა. მაგრამ ეს მეთოდები უშუალოდ არა პალიმფსესტის დამუშავებისათვის, არამედ მათი რეპროდუქციის გასაძლიერებლად იყო საჭირო.

ალ. დიდებულისემ საგულისხმო გამოკვლევები ჩაატარა ფიზიკურ-ოპტიკური მეთოდებით უხილავი ობიექტის ფიქსირებისათვის. ამ კვლევათა შედეგები დაედო საფუძვლად მის ვაჟთან, მეცნიერული ფოტოგრაფიის სპეციალისტთან, გ. დიდებულისთან

¹⁹² ა. დიდებულისძე, ობ. უნ-ტის მოამბე, ტ. III, 1923 წ., გვ. 299.

თანაავტორობით 1946 წ. გამოცემულ მონოგრაფიას „უხილავის ფოტორეპროდუქცია“¹⁹³.

ამ წიგნის გამოცემა უნიკალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არა მარტო საქავეშირო, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. პირველად გამოიცა ფუნდამენტალური შრომა, რომელშიც განხილულია ყველა საკითხი არა მარტო პალიმფსესტების, არამედ საერთოდ ისტორიულ-არქეოლოგიური მონაპოვრების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დამუშავების ირგვლივ. მანამდე ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი მცირეფორმატიანი შრომა იყო ცნობილი სასამართლო ფოტოექსპერტიზის დარგში¹⁹⁴. რამდენიმე ცალკეული წერილი კი სხვადასხვა ვიწრო სპეციალობის მქონე ჟურნალებში იყო გაბნეული.

მონოგრაფიაში დაწვრილებით არის განხილული სხვადასხვა მეთოდის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საფუძვლები. უხილავის რეპროდუქციისათვის იმ დროს გამოყენებულ მეთოდებში ქართულ ავტორებს ბევრი ორიგინალური გაუმჯობესება აქვთ შეტანილი.

წიგნში აღნიშნულია, რომ უხილავის ფოტორეპროდუქცია მოწოდებულია გახდეს მეცნიერული კვლევების ადგილის მქალაქი საშუალება. განსაკუთრებული მნიშვნელობა მას ისტორიული მეცნიერებისათვის აღმოაჩნდა.

შრომის უმეტესი ნაწილი ეთმობა ავტორების კვლევა-ძიებათა პრაქტიკულ შედეგებს.

ვ. დიდებულისებმ შეიმუშავა ფონისაგან ძნელად გასარჩევი გამოსახულების სრული კონტურის გამოყოფის წესი. ეს წესი ამჟამადაც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ რელიეფური, მაგრამ უხილავი საგნების გამოსავლინებლად.

ა. დიდებულისებმ ე. წ. ფლუორესცენციის ეფექტის ხელოვნურად გამოწვევის მეთოდის ახალი ვარიანტი შეიმუშავა. მაგლფორესცირებელი ხსნარების ნაცვლად მან გამოიყენა ფხვნილოვანი ნაერთები, რაც გამორიცხავდა დამუშავების პროცესში პალიმფსესტის დაზიანებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ა. დიდებულისის მეორე

¹⁹³ А. И. Дидебулидзе, Г. А. Дидебулидзе, Фотопро-
дукция невидимого, 1946 г.

¹⁹⁴ Kögel P. R. Die Palimpsestphotographie, Enzykl d. Phot., H. Verl.
W. Knapp., 1920.



კომპლექსური მეთოდი, რომელიც უხილავის ფოტორეპროდუქციის პროცესში ითვალისწინებს ობიექტის გადაღებას ერთდროულად ოთხ ვარიანტში: ჩვეულებრივი (ხილული), ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით და მაფლუორესცირებული სინათლით; მიღებული 4 სურათი ერთმანეთს ავსებს: ერთ სურათში გამოვლინებული ზოგი დეტალი შეიძლება მეორეში თვალსაჩინო იყოს. ამიტომაც ამ კომპლექსურ მეთოდს ავტორი დიდ პერსპექტივებს უწინასწარმეტყველებდა, რაც არ იყო საფუძველს მოკლებული. დღეისათვის, როდესაც უხილავის ფოტორეპროდუქციისათვის ძირითადად ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებს და ფლუორესცენციის ეფექტებს იყენებენ, მათი კომბინირება კიდევ უფრო შედეგიანი იქნება.

აღ. დიდებულიძეს დიდი წვლილი აქვს აგრეთვე გადაღებული სურათების დამატებით დამუშავების ტექნიკაში, რომელიც ქიმიური ხერხებით ნეგატივის გაძლიერებას ითვალისწინებს.

ამ სახელმძღვანელო-ცნობარის შექმნით გადაიდგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ურთიერთდასაკავშირებლად, რისთვისაც ესოდენ იღვწოდა ივ. ჯავახიშვილი. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას. მით უფრო დასანანია, რომ ივ. ჯავახიშვილს ამ შრომასთან მარტო თეორიული თანამოაზრობა როდი აკავშირებდა. უფრო მეტიც: წიგნის 269-ე გვერდზე ვკითხულობთ: „გამსუენებელი აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის თხოვნით... ჩვენ 1923 წელს შევეუდგით სრული მონოგრაფიის დამუშავებას არა მარტო პალიმფსესტების (პარველადი ნაწერის) ფოტორეპროდუქციის კერძო შემთხვევის, არამედ საერთოდ უხილავის ფოტორეპროდუქციის საკითხის შესახებ“.

ეს პატარა ცნობა უაღრესად ბევრის მეტყველია: აღ. და გ. დიდებულიძეების მონოგრაფია უხილავის ფოტორეპროდუქციის შესახებ ივ. ჯავახიშვილის ჩაგონებით არის შექმნილი. ყალიბდებოდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლა, რომლის საძირკველშივე ივ. ჯავახიშვილს გათვალისწინებული ჰქონდა კვლევის ახალი და ყველაზე მოწინავე ელემენტების დანერგვა.

უნივერსიტეტის ჩამოყალიბებასთან და საქართველოში სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა ფეხისადგმასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი, როგორც საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ყოველმხრივ ცდილობდა უზრუნველყო ამ მეცნიერებათა მომავალი წინს-



ელა: როგორც ისტორიკოსს, ამ მეცნიერებათა მიმართ მას უწინარესად აინტერესებდა — როგორი სახით და შინაარსით შეიძლება ზოდა ამ მეთოდების ისტორიოგრაფიაში გამოყენება და სათანადო ძალების მოზიდვა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ალ. დიდებულისე, საქართველოში პოლიტექნიკური სწავლების ერთ-ერთი თანაშინაი, ისტორიოგრაფიის საკითხების კვლევითაც იყო დაინტერესებული. ზემოხსენებული სტრიქონებიც ხომ ივანე ჯავახიშვილთან ერთად ამ მიმართულებით შემუშავებულ პროგრამას გულ-სხმობს, რომ აღარაფერი ვთქვათ პალიმფსესტების პრობლემაზე.

საქართველოში, ალ. დიდებულისეის ცნობით, 3000-მდე ფურცელი პალიმფსესტი იყო აღრიცხული, გულმოდგინე ანალიზს კი შესაძლოა ორჯერ მეტიც გამოეველინებია¹⁹⁵. ალ. დიდებულისეც გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მათი გამოკვლევა: „პალიმფსესტების რეპროდუქციის ტექნიკას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე აქამდე ექცეოდა. ისტორიულ-ფილოლოგიურ კაბინეტებს უნდა ჰქონდეს პალიმფსესტების ფოტორეპროდუქციის სპეციალური ლაბორატორია; ეს საკითხი დიდი ხანია, რაც მომწიფდა“¹⁹⁶.

მეცნიერის ამ სიტყვებში ივ. ჯავახიშვილის მოწოდებაც იგრძნობა.

ივ. ჯავახიშვილის როგორც ისტორიკოსის შემოქმედებითი კუთხირი ალ. დიდებულისესთან მართო ზემოხსენებულით არ ამოიწურება. ალ. დიდებულისის ვაჟიშვილი გ. დიდებულისე იგონებს, რომ ივ. ჯავახიშვილი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, სადაც ხანგრძლივი მსჯელობა იმართებოდა სამეცნიერო პრობლემებზე. ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით აწუხებდა ძველი ხელნაწერების შენახვა-კონსერვაციისა და რესტავრაციის საკითხები. იგი ხშირად ესაუბრებოდა და ეკამათებოდა კიდევ ალ. დიდებულისეს არსებული რეცეპტების აეკარგიანობაზე, აინტერესებდა — უარყოფითად ხომ არ იმოქმედებდნენ ისინი ხელნაწერებზე და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხელნაწერების უსაფრთხოების სრული გარანტიისათვის ივ. ჯავახიშვილი დიდ იმედებს აყვარებდა ფიზიკური მეთოდების შესაძლებლობებზე და ამ მიმართულებით სთხოვდა ალ. დიდებულისეს ნიადაგის მოსინჯვას¹⁹⁷.

¹⁹⁵ А. И. Дидебулидзе, Г. А. Дидебулидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 130.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 268.

¹⁹⁷ ჩვენს სასამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია დიდი მადლობა გამოვეცხადოთ გ. ა. დიდებულისეს და გ. ა. დიდებულისეს, მათ მიერ მოწოდებული ცნობებისათვის.

აღ. და გ. დიდებულებების მიერ წამოწყებულმა საქმემ, სამ-
წუხაროდ, შემდგომში ვერ პოვა სათანადო განვითარება: საქმე შე-
აფერხა საჭირო რეაქტივებისა და აპარატურის ნაკლებობამ და მხ-
ამას დაერთო აღ. დიდებულების გარდაცვალება. დიდი ხანია
აღარ იყო ივ. ჯავახიშვილი, რომლის ქმედითი დახმარება არა მარ-
ტო ამ პრობლემას მოაყლდა და ეს მნიშვნელოვანი წამოწყებაც
თითქოს ჩაქრა.

მაგრამ შრომაში წამოჭრილ საკითხებს აქტუალობა არ და-
უქარგავს. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების
პირობებში აუცილებელია და გარდუვალი მათი ხელახლა გადახედ-
ვა და პრაქტიკულად გადაჭრა.

ამას გვიკარნახებს არა მარტო ისტორიოგრაფიულ მეცნიერე-
ბათა ინტერესები, არამედ ის გარემოებაც, რომ ამ სახის სამუშა-
ოების ტრადიციას საქართველოში ჯერ კიდევ 1923 წელს ჩაეყარა
საფუძველი. მის ერთგვარ აღორძინებად შეიძლება მივიჩნიოთ
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო. მუზეუმის ფოტოლა-
ბორატორიის გამგის ი. გილგენდორფის მიერ სამოციან წლებში
დაწყებული კვლევები. ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივე-
ბის საშუალებით ი. გილგენდორფის მიერ გამოვლენილია და ფიქ-
სირებული მრავალი ვიზუალურად უხილავი ფრესკული წარწერა-
სა და კედლის მხატვრობის ნიმუში. ამ მონაცემების საფუძველზე
ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხის გადაჭრა გახდა შე-
საძლებელი. გილგენდორფის კვლევის შედეგებს მაღალი შეფასება
მისცეს 1975 წელს კონსერვაციის კომიტეტის საერთაშორისო კონ-
ფერენციაზე ვენეციაში. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს სხდო-
მაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ულტრაიისფერი და ინფრა-
წითელი სხივებით კედლის მხატვრობის შესწავლა პრაქტიკულად
ი. გილგენდორფამდე არავის განუხორციელებია და რომ ეს პრი-
ორიტეტი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ეკუთვნის¹⁹⁸.

საამაყო, რომ სწორედ ჩვენთან აღორძინდა ის კეთილშობი-
ლური საქმიანობა, რომელიც, აღ. დიდებულების ხატოვანი სიტყვე-
ბით რომ ვთქვათ, „მოწოდებულია ამჟამად შემორჩენილს შემატოს
დაკარგული წარსული“.

ქიმიასთან და საერთოდ ზუსტ მეცნიერებებთან ივ. ჯავახიშვი-

¹⁹⁸ И. Н. Гильгендорф, Выявление невидимых фресковых надписей. «Мачне», 1970 г., № 4, стр. 161—176; ი. გილგენდორფი, ვენეციის საერთაშორისო კონფერენციაზე, ძეგლის მეგობარი, 1976 წ., № 41, გვ. 36—41.



ლის კავშირი მარტო ზემოაღნიშნულით როდი ამოიწურება. უარესად ნიშანდობლივია მის მიერ არქეოლოგიური ნივთების შესწავლისათვის ქიმიური ანალიზის კვლევის შედეგების გამოყენება. არქეოლოგიისა და ქიმიის კავშირის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. ჩვენთან ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები სწორედ ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით გადაიდგა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა ცნობილ ქართველ ქიმიკოსთან დოც. გ. ციციშვილთან. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა იმ ქართველ ქიმიკოსთა პლეადას, რომელთაც პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში ქიმიური აზროვნებისა და კვლევის საწყისებს ჩაუყარეს მკვიდრი საფუძველი.

ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში ინახება გ. ციციშვილის წერილი, რომელშიც ძალზე საინტერესო ცნობებია დაცული. ივ. ჯავახიშვილის დავალებით მას ჩაუტარებია ამორძალთა ცულების შედგენილობის ქიმიური ანალიზი. წერილში დაწვრილებით არის აღწერილი აღნიშნული ობიექტებიდან საანალიზოდ სინჯების აღების წესი. სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შემდგომ გ. ციციშვილის მიერ შერჩეულ იქნა ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი და სანჰიგიენის ინსტიტუტში ქიმიკოს ნ. აბულაძესთან ერთად ჩატარდა გამოკვლევები. ანალიზის შედეგები რვა ქიმიური ელემენტისათვის ცხრილის სახით არის მოყვანილი.

გ. ციციშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სპილენძის სავნების ქიმიური ანალიზების მიხედვით შესაძლო იქნება დადგინდეს ის საბადო, სადაც არის მოპოვებული სპილენძის ნედლეული. ამისათვის, მისი აზრით „კარგი იქნებოდა პატარა მასშტაბით, პრიმირულად, ისე როგორც დარჩენილი ძველი ხელოსნები აკეთებენ, ჩვენში გამომდნარიყო სხვადასხვა ადგილიდან აღებული სპილენძის მადნის ნიმუშები“. წერილის ბოლოს გ. ციციშვილი აღნიშნავს: „თქვენს მიერ ნაჩვენებმა და გადმოცემულმა წიგნმა მუშაობის დროს დიდი სამსახური გამიწია, რისთვისაც აგრეთვე დიდ მადლობას გწირავთ“¹⁹⁹.

წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ ის 1932 წლის თებერვალ-მარტის თვეში უნდა იყოს დაწერილი. ამაზე მიუთითებს გ. ციციშვილის სამუშაო რეველში ამ ცულებზე ჩატარებული ანა-

¹⁹⁹ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 2386.

ლიზის თარიღი — 1932 წლის 22 თებერვალი; თარიღის დადგენას უთუოდ მნიშვნელობა ენიჭება: სწორედ 30-იანი წლების დასაწყისში დაიწყო საქართველოში არქეოლოგიური ნივთების ქიმიური ანალიზი (გ. ნიორაძე; ბ. კუფტინი, ა. იენსენი) და, როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილიც ამ საქმის ერთ-ერთ დამწყებად გვევლინება.

დოც. გ. ციციშვილი იგონებდა, რომ ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ქიმიური ანალიზის მონაცემებზე. ის ყურადღებით შეხვდა მის წინადადებას ძველი წესით სპილენძის მადნების გამოდნობის შესახებ და გარკვეული გეგმებიც კი დასახა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი ქართული ფულის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა და მისი დამზადების ტექნოლოგიური მხარეების შესწავლა. სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს ღონისძიებები ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს პერიოდი უდავოდ საყურადღებოა მის მეცნიერულ თვალთახედვაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გ. ციციშვილთან ურთიერთანამშრომლობის ინიციატივა, ისევე, როგორც სხვა მეცნიერებთან, ივ. ჯავახიშვილისაგან მომდინარეობდა.

როგორც განხილული წერილიდან ჩანს, პრობლემა ივ. ჯავახიშვილის მიერ არის დასმული. უფრო მეტიც: იგი უთითებს და აწვევს გ. ციციშვილს სპეციალურ ლიტერატურას არქეოლოგიური ნივთების ქიმიური ანალიზის მეთოდების შესახებ.

პირველ ხანებში ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი კავშირი სხვადასხვა დარგის და მათ შორის ქიმიის წარმომადგენლებთან პირადი ნაცნობობის გზით ხორციელდება.

ოცდაათიან წლებში, როდესაც უამრავი ისტორიული მასალა დაგროვდა, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური აპარატურა იმდენად აღარ წარმოადგენდა საოცნებო იშვიათობას, რეალურად მომწიფდა პირობები სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ურთიერთკავშირის უფრო ქმედითად განხორციელებისათვის; ამ საკითხს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1937 წელს შეეხო თავის საპროგრამო წერილში; მომდევნო წელს კი, როდესაც მცხეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა დიდი მასალა მოახლევა, ივ. ჯავახიშვილმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქიმიური ლაბორატორიის ორგანიზაციის საქმეს.

„შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის
ისტორია საქართველოში“...

...„ა ყბი, შავა მხივი და სინფიქს მასა და
ქვივა: მასუკ ვ ყუხუხის ყუანსურე ვ
ანხუკ ის მიგე ვ ენსიკლ მუდიაა!
... მახუკ ვ ვაჩ, ხმ ჩემი მუდმოი ნუჯა
და ღრევა მქოსხუკ და...“

საქართველოს ისტორიის კვლევის საკითხებს ივ. ჯავახიშვილ-
მა საფუძვლად დაუდო: სრულიად ახალი მეცნიერული მეთოდი,
რომელიც წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას ემყარებო-
და და ისტორიული წარსულის ყველა კომპონენტის შესწავლას ით-
ვალისწინებდა. „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში — აღ-
ნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი — ივანე ჯავახიშვილი ახალი ეტა-
პის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩ-
ვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა
განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის საკითხები: პოლიტიკა,
ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სუ-
ლიერი კულტურა“...²⁰⁰

მართლაც, ძნელია მოინახოს ისტორიულ და მის დამხმარე
დისციპლინებს შორის ისეთი დარგი, რომელშიც ივ. ჯავახიშვილს
არ ეთქვას თავისი სიტყვა

ამ მხრივ არც საქართველოს შინამრეწველობის და წვრილ-
ხელოსნობის ისტორიაა გამონაკლისი. ამ დარგზე და მის მიმართ
ივ. ჯავახიშვილის ღვაწლზე ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება გაჩერე-
ბა, ვინაიდან შინამრეწველობასა და წვრილ ხელოსნობაში დამ-
კვიდრებული წეს-ჩვეულებები უმთავრესად ტექნიკისა და ბუნე-
ბისმეტყველების დარგებს განეკუთვნებიან. ამ წეს-ჩვეულებებს
სტიქიური სახით მეცნიერულად გამართლებული მეთოდები ეღო
საფუძვლად და დღეისათვის მათ შესწავლას როგორც პრაქტიკული,

²⁰⁰ ნ. ბერძენიშვილი, ენიშკის მოამბე, 13, 1943, გვ. 263.

იან თეორიული მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით ფართო პერსპექტივები ესახება ტექნიკისა და ბუნებისმეტყველების ტორიასაც.

ტექნიკისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის შესწავლას მსოფლიოში ფართო სარბიელი ეთმობა. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოშიაც. ამ თვალსაზრისით საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მთელი რიგი საკითხები ავტომატურად ტექნიკისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის სფეროშიაც ექცევა. განსაკუთრებით უხვი მოსავალი ამ მხრივ ქიმიის ისტორიკოსებმა უნდა მოიმკან, ვინაიდან წვრილ ხელოსნობასა და შინამრეწველურ საქმიანობაში არსებითი წილი სწორედ ქიმიურ წეს-ჩვეულებებზე მოდის — სამღებრო საქმე იქნება ეს, კერძანოვანი წარმოება, წვენების მომზადება, მეღვინეობა, თუ საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება და სხვ. ყოველი მათგანის, ასე ვთქვათ, კლასიკური დარგები საუკუნეების მანძილზე ვამომუშავებელი ხალხური ქიმიის ტრადიციებზეა დაფუძნებული.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ამ დარგში უფრო რელიეფური ხდება არა მარტო ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. დღეისთვის. განვითარებული ტექნიკისა და წარმოების დიდი მასშტაბების პირობებში, წვრილი ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება თითქმის აღარ არსებობს და, თუ არა ივ. ჯავახიშვილის ენერგიული და დროული ჩარევა მათი აღრიცხვის უაღრესად საშურ საქმეში, ბევრი ძვირფასი და საინტერესო მასალა დაიწვევბას მიეცემოდა და მომავლისათვის უკვალოდ დაიკარგებოდა.

რევოლუციამდელ პერიოდში, როცა შინამრეწველობა და წვრილი ხელოსნობა ჩვენთან ჯერ კიდევ საკმაოდ იყო ფეხმოდგმული, აუარებელი მასალის მოგროვება შეიძლებოდა; სამწუხაროდ, ამ საკითხს ფაქტიურად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ 1900 წელს დაარსდა კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი. მაგრამ მისი საქმიანობა, მატერიალური ხელმოკლეობის გამო, უსუსური აღმოჩნდა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისი მუშაობა არსებითად ნუხურ-ყარაბახული ხალიჩების ქსოვაზე, დაღესტანურ ნახელოვანსა და ახალციხურ ნამუშევარზე მზუნველობას არც გასცილებია. მისი მუშაობის გეგმა და მოქმედება არც წარსულის ცოდნაზე და არც თანამედროვე სინამდვილის გაღრმავებულს შესწავლაზე იყო დამყარებული, რომ

შინამრწველობისათვის საქირო ხელმძღვანელობის გაწევა შესაძლებლობდა და მისი აღდგენა-აღორძინებისათვის ხელი შეეწყო²⁰¹ თვით ივ. ჯავახიშვილის მუშაობა ამ საკითხზე ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში იწყება. მართალია, ამ მიმართულებით სამუშაოების გაშლისათვის საქირო პარობები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ ის მოსაპზადებელი სახის ღონისძიებები, რაც ივ. ჯავახიშვილმა ჩაატარა, უთუოდ ყურადღების ღირსია. მით უმეტეს, რომ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ შევვხებით, ცხადად ვლინდება დიდი მეცნიერის სამოქმედო გეგმის მთლიანობა და მიზანდასახულობა.

1915 წ. პირველ ნახევარში ივ. ჯავახიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინაშე აყენებს საკითხს საქართველოს ყველა კუთხისათვის გზის მაჩვენებლების შედგენის აუცილებლობის შესახებ. ამ გზის მაჩვენებლებში, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გარდა ამათუ იმ კუთხის აღწერისა (გეოგრაფია, ისტორია, ბუნების საკვირველებანი და ა. შ.), შეტანილი უნდა ყოფილიყო ცნობები შინამრწველობის შესახებაც. წერილიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ივ. ჯავახიშვილს უკვე გადაუდგამს საქირო ნაბიჯები „რაკი ი. ყიფშიძე რამდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურობდა სამეცნიერო მიზნით სამეგრელოში, ხოლო ა. შანიძეს ამგვარადვე შესწავლილი აქვს მთიულეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ამიტომ პირველს მე მივიანდე სამეგრელოსთვის გზის მაჩვენებლის შედგენა, მეორეს თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთისათვის. საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის წიგნის შესადგენად მუშაობა სამეცნიერო წრის წევრებს შორის გავანაწილე. ისინი ამ ზაფხულს ადგილობრივ შეისწავლიან და დაათვალიერებენ“²⁰².

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს მანამდე არსებულ მასალებსაც. მას ექსპედიციის წევრთათვის გადაუცია ნუსხა სპარსული და ქართული წყაროებისა და ამ კუთხეთა დამახასიათებელი ცნობებით. შეგროვილი მასალის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1915 წ. ოქტომბრისათვის განსაზღვრული იყო გზის მაჩვენებლის შედგენა. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი ამ საქმეს, იქიდა-

²⁰¹ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1155.

²⁰² საისტ. მოამბე, № 10.

ნაც ჩანს, რომ წერილის ბოლოს ის უცხადებს რედაქციას: „თუ ვინცობაა თქვენ ხელსაყრელად არ სცნოთ ამ წიგნების გამოცემა, მე ამ საქმეს მაინც თავს არ დავანებებ და მის გამოქვეყნებას როგორმე მოვახერხებ, — მეტად საჭიროა ამგვარი წიგნები ჩვენთვის“²⁰³.

ივ. ჯავახიშვილის შინაპრეწველობის საკითხებით დაინტერესებაზე მიუთითებს ერთი პირადი წერილიც, კერძოდ, საქართველოდან პეტერბურგში ალ. რჩეულიშვილის მიერ გაგზავნილი ბარათი; ეს არის იმ კვლევათა ანგარიში, რაც ავტორს თვით ივ. ჯავახიშვილის მიუთითებით ჩაუტარებია. როგორც წერილიდან ჩანს, ალ. რჩეულიშვილი მოხუცი გლეხის საშუალებით ეცნობოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დანიშნულებას. განსაკუთრებით საინტერესოა წერილის ის ნაწილი, რომელშიც მოყვანილია ადგილობრივი წესით საღებარის დამზადებისა და ღებვის პროცესის დაწვრილებით აღწერა (აღწერილობის მეთოდია თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო ადრე მიცემული), მოცემულია საღებარის სხვადასხვა მცენარეული ყვავილისაგან მიღების ხერხები, ღებვის ცალკეული საფეხურის ხანგრძლივობა და თავისებურებანი. იქვე პევრი საყურადღებო ცნობაა მოტანილი ჩვენ წინაპართა ჩვევებსა და ძველი ხელოსნური ქიმიის საკითხებზე²⁰⁴. უეჭველია, რომ ამგვარი წერილი არაერთი ექნებოდა მიღებული ივ. ჯავახიშვილს. მისი მუშაობის მეთოდი სრულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლის პირველ ხანებში ერთადერთ წყაროს ამ სახის ცნობების მიღებისა შეადგენდა სწორედ კერძო პირთა ენთუზიაზმზე დამყარებული გამოკვლევები. ამიტომაც არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გამოვთქვათ სინანული ივ. ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკისა და საბუთების დაკარგვის გამო, რაც პეტროგრადიდან თბილისში გადმოსვლის დროს მოხდა 1917 წელს. მათ შორის ალბათ ბევრი ასეთი სახის წერილი უნდა ვიგულოთ. ამავე დროს არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი გადაჩა და ინახება პირად არქივებში. ეს გარემოება კი იმედს იძლევა, რომ დროთა განმავლობაში ზოგიერთი ამ საბუთთაგანი მაინც აღმოჩნდება და გარკვეულ სამსახურს გაუწევს ჩვენს მეცნიერებას.

²⁰³ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაკვლიეთ ცნობას იმის შესახებ, თაისტამბა თუ არა ასეთი გზის მაჩვენებელი.

²⁰⁴ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 2509.

ივ. ჯავახიშვილის რევოლუციამდელი მოღვაწეობა აღნიშნული მიმართულებით, რასაკვირველია, არ შეიძლება ძლიერ ფართო და ყოველსმომცველი ყოფილიყო. რევოლუციის შემდგომ, როცა საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შექმნა მეცნიერული მუშაობის გაშლისათვის საქართველოში, ივ. ჯავახიშვილი კვლავ უბრუნდება შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიის შესწავლას, მხოლოდ ამჯერად უფრო ფართოდ და მიზანდასახულად.

1934 წლის 27 სექტემბერს საქართველოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის წინაშე იგი დამაჯერებლად ასაბუთებს თავის მოსახრებას საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის შედგენის აუცილებლობის შესახებ²⁰⁵. წერილში ხაზგასმულია, რომ ძველად სოფლის მოსახლეობაში, მეტადრე შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის შორის მეტად მცირე განსხვავება იყო. სოფელურ ხელოსნობაში შინამრეწველური თვისება ჰარბობდა. აქედან გამომდინარე ავტორს საკიროდ მიაჩნია, რომ „შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორია საქართველოში ერთად დაიწეროს“.

წერილში ჩამოყალიბებულია სამოქმედო პროგრამა, რომელიც გამოირჩევა ივ. ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელი მიზანდასახულობით და ყოველგვარი წერილმანის გათვალისწინებით.

ვინაიდან შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის საკითხებზე „არამც თუ სამეცნიერო გამოკვლევა, არამედ აქამდე ჯერ მასალებიც კი გამოქვეყნებული არ არის“, ავტორი საკიროდ თვლის შემდეგი ხუთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას. ეს ღონისძიებები მეთოდოლოგიურად და შინაარსითაც ტექნიკის ისტორიისათვის ბევრ საინტერესო მომენტს შეიცავს.

I ნაწილი — ძველ სიგელ-გუჯრებიდან შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის გამოსადეგი ცნობების ამოკრება-გადაწერა და ცალკე წიგნად გამოსაცემად მომზადება.

II ნაწილი — XIX და XX ს. დამდეგს რუსულ საგაზეთო წყაროებიდან ამავე სახის ცნობების ამოკრება და ცალკე მონოგრაფიად დამუშავება.

III ნაწილი — ექსპედიციების მოწყობა თანამედროვე ზეპირი გადმოცემების ჩასაწერად წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციით და მოწყობილობა-იარაღების აღწერილობის შესადგენად.

²⁰⁵ სისტ. მოამბე, № 89.

IV ნაწილი — „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის“ მასალების ზემოთ მოყვანილი პუნქტების მიხედვით სამ ნაწილად დაყოფილი სერიების გამოცემა.

V ნაწილი — მთლიანად მონოგრაფიის გამოშვება შინამრეწველობისა და წვრილი მრეწველობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ ხუთ პუნქტში მეტად მნიშვნელოვანი საცნობარი მასალაა მოყვანილი და განსაზღვრულია ამ მასალის მიღებისა და დამუშავების ყველა გზა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. მომავალში ქიმიისა თუ სხვა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების ისტორიის შესწავლის დროს სწორედ ამ საკითხების დამუშავებაა საეარაუდო.

მართალია, ივ. ჯავახიშვილი ამ დოკუმენტს „მოსაზრებას“ უწოდებდა, ხოლო მასში მოყვანილ პროგრამას და ხარჯთაღრიცხვას „საეარაუდოდ“ მიიჩნევდა, მაგრამ ყოველი პუნქტი იმდენად დახვეწილი და დასრულებული ჩანს, რომ სარწმუნო კავშირის პრეზიდენტში ყოველგვარი შესწორების გარეშე ამტკიცებს მას და ერთი კვირის შემდეგ კი აფორმებს სათანადო ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების თანახმად, ივ. ჯავახიშვილს ევალებოდა საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების მომზადება და რედაქცია იმ სახით, როგორც ეს არის მოცემული ჯავახიშვილისეულ გეგმაში. მასვე უნდა დაეწერა საკმაოდ ვრცელი ორმოცთაბახიანი მონოგრაფია ამ საკითხზე. მზა მასალის ჩაბარება გათვალისწინებული იყო ერთი წლის შემდეგ, ხოლო მონოგრაფიის დასაწერად ორი წელი იყო ნაეარაუდები. ივ. ჯავახიშვილს მიენდო აგრეთვე სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო დამხმარე და ტექნიკური აპარატისა და მეცნიერ თანამშრომელთა შერჩევა²⁰⁶.

1934 წლის 27 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილმა პრეზიდენტს წარუდგინა იმ მეცნიერ მუშაკთა სია, რომელთაც უნდა შეეკრიბათ მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში²⁰⁷. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სიაში მოხსენებული ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის — ნ. რეხვიაშვილის, კ. კახიანის, კ. გრიგოლიას და სხვათა სახელი დღეს ფართოდაა ცნობილი. მათ მიერ ჩატარებულ საინტერესო გამოკვლევათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკა-

206 საისტორიო მოამბე, № 91.

207 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1149—1150.

ვია საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორი-
ათან დაკავშირებულ საკითხებსაც.

ექსპედიციების გაგზავნას წინ უძღოდა კიდევ ერთი მოსამზა-
დებელი სახის ღონისძიება, რომელიც, როგორც ჩანს, ივ. ჯავა-
ხიშვილის ინიციატივით იყო წამოწყებული. 1935 წლის 10 აპრილს
გაზეთ „საქართველოს შინამრეწველში“ გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშ-
ვილის საპროგრამო წერილი სათაურით „შინამრეწველობისა და
წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი“.
წერილს წამძღვარებული აქვს რედაქციის კომენტარი, რომელშიაც
აღნიშნულია საქართველოში შინამრეწველობისა და წერილი ხე-
ლოსნობის შესახებ კაპიტალური შრომის შექმნის მიზანშეწონა-
ლობა. „ამ დიდ შრომას, აღნიშნულია კომენტარში, ხელმძღვანე-
ლობს ისტორიკოსი პროფესორი ივ. ჯავახიშვილი. მასთან ერთად
მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები.
ახლო ხანებში წამოვლენ აღნიშნული პირები რაიონებში
ადგილობრივ შესასწავლად და დასათვალისწინებლად შინამრეწვე-
ლობის სახელოსნოებისა, ხელსაწყოებისა და ნაწარმოებებისა, რათა
შეკრიბონ საჭირო მასალები, თანახმად აქ დართული პროგრამისა“.
რედაქცია თხოვს ყველას — ხელი შეუწყონ ამ დიდი კულტურული
ღონისძიების ჩატარებას.

მიმართვისა და პროგრამის გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა, ვინაიდან ითვალისწინებდა მოსახლეობის ფართო ფე-
ნების მონაწილეობას ამ საშვილიშვილო საქმეში.

პროგრამა ივ. ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელი კონკრე-
ტულობითა და სიმართლით გამოირჩევა. აქ გათვალისწინებულია
ყველა წვრილმანი, ფსიქოლოგიური მომენტიც კი. მისი სახელმძ-
ღვანელო მნიშვნელობა ამჟამადაც ექვს გარეშეა. ეთნოგრაფი კ. კა-
ხიანი წერს: „მეცნიერული მეთოდი, რომელსაც ჩვენ საჭირო მა-
სალის მოსაპოვებლად ვიყენებდით 1935—36 წლებში და დღესაც
არ დაუკარგავს მნიშვნელობა, საფუძვლიანად შეგვასწავლა ივ. ჯა-
ვახიშვილმა“²⁰⁶.

ქვემოთ მოგვყავს პროგრამიდან მცირე ნაწყვეტი, რომელიც
ჭიმის ისტორიის თვალსაზრისითაც არის საყურადღებო: „...კირი-
სა და გაჯის გამოწვა, გაჯისა და საკირე ქვის შედარებითი თვისე-
ბები... გამოწვის წესი და ხანგრძლივობა (კრამიტის, აგურის და

²⁰⁶ კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., „მეცნიერება“, 1961, გვ. 21.

წყლის მიღების კეთება)... გამრობისა და გამოწვის წესი, თუ აბ-
სოვთ, რომ მოჭიქული კრამტი კეთდებოდა, როგორ და რისგან? (მკედლობა)... ლითონი, რომლისაგანაც აკეთებდნენ ნივთებს, რა
და რა ნივთს აკეთებდნენ, ჰედვით თუ ჩამოსხმით და როგორ და
რა დანიშნულებისათვის... (ოქრომკედლის) იარაღი და მოწყობი-
ლობა, რას აკეთებდნენ და რა ხნის განმავლობაში, ტექნიკა და
ტერმინოლოგია“²⁰⁹.

პროგრამა ნათლად ასახავს — რაოდენი სიღრმით, საქმის
ცოდნით და საინტერესოდ არის შერჩეული საკითხები, კერძოდ,
ქიმიის ისტორიის თვალსაზრისით ძველი და განსაკუთრებით უძ-
ველესი პერიოდისათვის. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა
ქვეყნებში, ხალხური ქიმიური წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვანი
ნაწილი ხომ სწორედ შინამრეწველურ და წვრილხელოსნურ საქ-
მიანობასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილ მეცნიერ მუ-
შაკთა მისია წარმატებით შესრულდა 1935 წლის ზაფხულში. მო-
პოვებული უამრავი მასალის რედაქტირება-დამუშავება თვით იე-
ჯავახიშვილმა აიღო თავის თავზე. „თქვენ გეხსომებათ, რომ ამ ზა-
ფხულს მთელ საქართველოში 23 კაცი მყავდა წარვლენილი საქარ-
თველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორი-
ისათვის ზეპირგადმოცემითი მასალების შესაგროვებლად — წერს
იგი ვ. დონდუას 1935 წ. 12 დეკემბერს — წარვლინებულებმა სა-
ინტერესო ჩანახატი და ფოტოსურათები (ნივთიერი ნაშთებისა)
წარმოადგინეს და ვერ ავიწყრთ რა უხვი, მრავალმხრივი და საინ-
ტერესო მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი
ანარეკლის მთელი ენციკლოპედია! მრავალი ახალი ტერმინი და
განმონათქმეზია ჩაწერილი, ურომლოდაც ქართული სამეცნიერო
ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება. მოხა-
რული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება შემისრულდა
და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარ გაიგონებს
და ვეღარც გაიგებს, რათგან საიქიოსაყენ მიდის უკანასკნელი თაო-
ბა, რომელსაც წარსულისა კიდევ რამე ახსოვს და გაეგება, რომელ-
საც იმდროინდელი კულტურის ნივთიერი ნაშთიც კიდევ საკმაოდ
შენახული ჰქონდა ისე, რომ სამუზეუმოდ შესაძენიც ბევრი რამე
ყოფილა. დღე და ღამე ამ ჩამოტანილი მასალების განოსაცემად

²⁰⁹ ვახ. „საქართველოს შინამრეწველი“, № 9 (58), 1935 წ., 10 აპრილი.

დამზადებისათვის ვმუშაობ. ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი და დამლული ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ. რომ დაიბეჭდება მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე ვაკეთა“²¹⁰.

ასევე კმაყოფილების გრძნობით არის გამსჭვალული მეორე, 1936 წლის 10 თებერვლის წერილიც ვ. დონდუასადმი:

„საქართველოს შინაშრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალებს რომ კრებდნენ ამ ზაფხულს მთელ საქართველოში, საუცხოო ცნობები, დიდძალი ტერმინები და ჩანახატები შეგროვდა. ჩემი დაბეჭდილი გეგმა 26 კაცმა მთლიანად შეასრულა და არანეტუ იმედი არ გამტყუნებია, მოლოდინსაც კი ვადააჭარბა. თავნოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას ვაკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა. 6000-მდე გვერდია ზეპირგადმოცემითა და ცნობებით დაწერილი, ამოდენა მასალის გადაკითხვას, რედაქციასა და დასაბეჭდათ დამზადებას დიდი მუშაობა სჭირდება“²¹¹.

მოყვანილი ნაწყვეტებიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებს, სამართლიანად უწოდებს რა მას „წარსულ კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელ ენციკლოპედიას“. ამ სტრიქონებში იგრძნობა მეცნიერის ნამდვილი აღტაცება და სიხარული. ეს გასაგებიცაა: წარმატებით იქნა ფიქსირებული წარსულის დიდმნიშვნელოვანი ფურცლები და თანაც ისეთი ცნობები, რომელსაც მოკლე ხანში საერთო გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა.

სამწუხაროდ, თავის დროზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ მასალების გამოქვეყნება არ მოხერდა. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში მან გარკვეული სამსახური გაუწია ქართული კულტურის ისტორიას. ვრცლად გამოიყენა მოკრებილი ცნობები თვით ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევებში ქართული კულტურის შე-

²¹⁰ ჟურნ. „მნათობი“, 1968 წ., № 9, გვ. 137.

²¹¹ იქვე.

სახე²¹², ზოგიერთი საკითხი დამუშავდა ექსპედიციის წევრთა შემდგომ წლებში გამოქვეყნებულ შრომებში. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მათგანში მოყვანილია ქიმიის ისტორიკოსებისათვის ძალზე საინტერესო შემდეგი ცნობა: „ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის ნიადაგზე, 1936—38 წწ. ინჟინერ-ტექნოლოგმა ფეიქარმა ვარლამ ისაყის ძე ახვლედიანმა მოახდინა მცენარე „კუმელის“ ქიმიური თვისებების დადგენა და დადასტურდა, რომ მუქი ლურჯი ფერის შემცველი „კუმელი“ თავისი მაღალი ხარისხის თვისებების გამო... არ ჩამორჩება საღებავ ინდიგოს“²¹³.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობებია დაცული წერილში, რომელიც თვით ვ. ახვლედიანმა გაუგზავნა ივ. ჯავახიშვილს 1940 წლის 5 ოქტომბერს: „1. სარეწაო საბჭოს ცენტრალურ სამეცნიერო-საგამოკვლევო ლაბორატორიაში წელს ინჟ. ვ. ახვლედიანის მიერ დამუშავებულია თემა „საქართველოს მღებავი მცენარეები და მათი გამოყენება ნოხ-ფარდაგების დარგში“. 2. დამუშავდა 115 რეცეპტი ყველა ძირითადი ფერისა და მრავალი გარდამავალი ნიუანსისა. 3. შეღებილი შალის შულოები 2,5 თვე მზეზე იყო გადუბული. ფერი იცვალა მხოლოდ ორმა ნიმუშმა, დანარჩენი საუკეთესო სიმტკიცისა აღმოჩნდა... ეს შრომა გაგრძელება არის პირველი დიდი შრომისა „საქართველოს მღებავი მცენარეების ხალხური რეცეპტები“. ეს მასალა შეგროვებული იყო ექსპედიციის მიერ საქართველოს ყველა კუთხეებიდან აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით... დამუშავებულ თემას თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საბჭოთა კავშირის ნოხ-ფარდაგების წარმოების დაცემის მიზნით იყო ანილანის საღებავების ხმარება; მცენარეული საღებავებით შეიძლება ნოხ-ფარდაგების ძველი სახელის აღდგენა“... წერილის დასასრულს ვ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ძველი რეცეპტურის გამოყენებისას, ტექნიკური გაფორმების საკითხებმა სპეციალისტთა შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ამასთან დაკავშირებით იგი თხოვს ივ. ჯავახიშვილს პრესის საშუალებით გამოთქვას თავისი ავტორიტეტული მოსაზრება, რაც უთუოდ გადამწყვეტ როლს შეასრულებს ერთიანი თვალსაზრისის გამომუშავებაში. სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს არ დასცალდა პასუხის გაცემა.

²¹² ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურისათვის, ნაწ. I, 1946; ნაწ. III—IV, 1962.

²¹³ კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, 1961, გვ. 54.



როგორც ვხედავთ, ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალების ერთი ნაწილი თავიდანვე მოექცა პრაქტიკული გამოყენების საფარში. დღეისათვის, მართალია, საღებავების ქიმიის განვითარების დონე ძალზე მაღალია, მაგრამ მას ჯერ კიდევ მრავალი ემპირიული წეს-ჩვეულება აქვს გასაშიფრი და ასათვისებელი ძველი პრაქტიკული ქიმიის არსენალიდან. ამ მოსაზრებას დამაჯერებლად ადასტურებს ვ. ახელედიანის ცდების შედეგი და ას მომავალშიც მრავალჯონ დადასტურდება, როცა ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები ქიმიკოსთა უფრო ინტენსიური კვლევის ობიექტი გახდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1975 წლის 17 აპრილის სპეციალური დადგენილებით ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყდა ექსპედიციის მასალების გამოცემა ხუთ ტომად. შეიქმნა სპეციალური სარედაქციო კოლეგია აკად. გ. ჩიტაიას თავმჯდომარეობით. 1976 წელს ვ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოვიდა პირველი ტომი, რომელშიც შევიდა მასალები აღმშენებლობასა და ავეჯზე²¹⁴. სხვა დარგებისადმი მიძღვნილი 4 ტომიც უახლოეს ხანში იხილავს დღის სინათლეს.

დღეისათვის ამ გამოცემის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე ორი აზრი არ არსებობს. მრავალრიცხოვან სპეციალისტებს შორის, რომლებიც ამ წიგნებში უთუოდ ბევრ საინტერესო მასალას ნახავენ, სხვადასხვა პროფილის ქიმიკოსები და ქიმიის ისტორიკოსებიც იქნებიან. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ძველი პრაქტიკული ქიმიის შესახებ ეს იქნება ძირითადი ლიტერატურული წყარო.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მაღლიერების გრძნობით მოგვაგონებს ივ. ჯავახიშვილის უდიდეს ღვაწლს, რომლის წყალობითაც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაურჩა დაღვიწყების საფარველს და რომლის მეცნიერული მნიშვნელობაც 40 წლის შემდგომაც ფასდაუდებელია.

²¹⁴ მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი, 1976 წ.

ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ — РЕВНИТЕЛЬ ТЕХНИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ В ГРУЗИИ

Жизнь и деятельность выдающегося ученого, организатора высшего образования и науки, академика Ивана Александровича Джавахишвили занимает особое место в истории грузинской культуры. Являясь основоположником грузинской историографической школы, он вместе с тем внес неоценимый вклад в дело становления и развития ряда других научных направлений. С его именем связано основание колыбели грузинской науки — Тбилисского государственного университета, 60-летие которого состоялось в январе 1978 года. В стенах этого первого в Грузии высшего учебного заведения, наряду с гуманитарными направлениями, развились очаги естествознания и техники, которые впоследствии переросли в самостоятельные научные центры республики.

Цель предлагаемой книги — ознакомить читателей с теми сторонами деятельности И. А. Джавахишвили, которые до сих пор может быть не с должной полнотой были освещены в отечественной литературе. И. А. Джавахишвили всемерно способствовал творческому содружеству точных наук с гуманитарными дисциплинами, в частности, с историографией, археологией и др. Именно ему принадлежит инициатива успешного привлечения с данной целью исследовательских методов химии, физики, ботаники и др.

С самого начала предметом большой заботы И. А. Джавахишвили и его соратников являлось создание полного университета, т. е. учебного заведения как с гуманитарными, так и естественно-научными и техническими факультетами.

Вместе с выдающимися грузинскими учеными, — с известным химиком П. Г. Меликишвили, математиком А. М. Размадзе, геодезистом и астрономом А. Н. Бенашвили, физиком А. Г. Дидебулидзе и многими другими, И. А. Джавахишвили провел огромную работу по организации и последующего расширения факультетов математики и естествознания, сельскохозяйственного и политехнического. Он бесценно возглавлял различные комиссии, которым поручалось обоснование направления новых отделений и кафедр, подбор и привлечение научно-преподавательских кадров, разработка планов методического характера, налаживание нормальной их деятельности. При этом

И. А. Джавахишвили не прекращал свою титаническую научную работу.

Первые годы существования университета характеризовались крайними затруднениями — из-за отсутствия необходимой финансовой поддержки со стороны меньшевистского правительства. Предельно скудное оснащение кафедр и лабораторий научно-исследовательской и учебной аппаратурой, нехватка необходимых помещений, литературы и др., создавали серьезную помеху в деле дальнейшего развития университета. Однако, благодаря энергичным мерам, предпринятым И. А. Джавахишвили, университет с честью справился со всеми невзгодами.

И. А. Джавахишвили много сделал и для создания богатой университетской библиотеки. Под его руководством в короткие сроки было налажено издательское дело и уже в 1919 году появились первые оригинальные труды по различным отраслям науки.

Особо следует отметить многолетнюю деятельность И. А. Джавахишвили по разработке основополагающих принципов грузинской научной терминологии. Работы в этом направлении стали особо плодотворными после установления Советской власти в Грузии.

В своей научной работе И. А. Джавахишвили всегда подчеркивал необходимость применения методов точных наук в историографических исследованиях. Подобная творческая связь позволила И. А. Джавахишвили успешно решать множество сложных исторических проблем. Именно по его просьбе академик А. Г. Дидебулидзе создал фундаментальную монографию, в которой обобщил все известные в то время методы физико-химического и химического исследований различных археологических объектов. Высоко оценивая возможности точных наук, И. А. Джавахишвили стал инициатором создания специальной химической лаборатории при Государственном музее, в которой широко развернулись успешные научные изыскания с помощью химических методов.

В трудах И. А. Джавахишвили большое место уделялось истории материальной культуры. По его инициативе был собран и систематизирован ценнейший материал по истории кустарных ремесел в Грузии, во многом способствующий развитию ряда отраслей техники.

В сегодняшнем небывалом расцвете научной мысли в Грузии, занимающей одно из почетных мест в Советской стране, немалая заслуга И. А. Джавахишвили — великого ученого и гражданина, внесшего неоценимый вклад в дело становления и развития как гуманитарной, так и технической культуры республики.

შინაარსი

1. „მამულიშვილობა და მეცნიერება“	5
2. „აღორძინებას ფესვები გავუმაგრეთ“	11
3. „არაერთი დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“	28
4. „მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვნებით და მრავალმხრივობით“	35
5. „სულ სხვაა უნივერსიტეტი...“	50
6. „მეცნიერება სამშობლო ენის საშუალებით“	60
7. „ახალ-ახალი წიგნების შექმნაზე მზრუნველობა“	82
ბ. „სტამბა დიდი და კარგად მოწყობილი“	90
9. „ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“	94
10. „სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით“	104
11. „შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორია საქართველოში“	122
12. Иванэ Джавахишвили — ревнитель технической культуры в Грузии	133

Аполлон Шалвович Авалиани
Рауль Владимирович Чагунава

ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ — РЕВНИТЕЛЬ
ТЕХНИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ В ГРУЗИИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ი. ვოლკოვა
ტექნორედაქტორი ე. ბოკერია
მხატვარი ლ. ავალიანი
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 13.7.78; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.10.1978;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 8,50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.07;
უე 12695; ტირაჟი 2000; შეკვეთა 2352;
ფასი 85 კაბ.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мещереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ფასი 85 კპ.

2/51/2

